დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 12 - 18 თებერვალი

N 8 1526

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ეს ყველას გვეხება!

*მამა შალვა კეკელია:*



### პირადად მე ამ ბრძოლაში უკან დახევას არ ვაპირებ!



2



3

„კლუბში მარტო 19 წლის ელენე არ დაღუპულა, უამრავი ადამიანი იღუპება და ნადგურდება სულიერად!“

BASSIANI

## ელენე ყველას შვილია!



*თეონა ჭედია:* უკვე მე-40 ახალ წელიწადს მამის გარეშე ვხვდებით!

«ვის ვაპატიო ჩემი ბავშვობა?!»

„მთელი ბავშვობა მამა ძალიან მენატრებოდა და შემდეგ ჩემთვის სრულიად აუხსნელი იყო, როცა მისი მკვლელების გამართლება დაიწყეს. 90-იანი წლების მერე იმის მტკიცება გვიწევს, რომ მამა გმირებს არ მოუკლავთ, რომ არ შეიძლება, გმირები მკვლელები იყვნენ!“

დათო თურაშვილი

„ნუთუ, სავექტაკლი იმის მიხედვით დადგეს, დათო ტურაშვილს რა სჯეროდა და რა არა?“

*იგორ გიორგაძე:*

### ან თეონა ჭედიას მამა უნდა იყოს გმირი, ან მისი მკვლელები, მათ ერთ საზოგადოებაში არ ეცხოვრებათ!



7-12

## პირველად ქართულ პრესაში:

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ექსმინისტრი 1983 წელს თბილისში თვითმფრინავის გამტაცებელთა წინაალმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის გაუხმაურებელ დეტალებზე საუბრობს!



22

*გოჩა ძასოხოვი*

### ხელისუფლებისადმი ერთადერთი თხოვნა მაქვს: ჩემს სიმართლეს ნუ დამიკარგავთ!

*ლალი მოროშკინა:*



### დღეს გვაქვს ისტორიული შანსი, დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ!

მოვრჩეთ ლოლიაობას მახრჩობელ საკაშვილთან და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება!

21

# „კლუბში მარტო 19 წლის ელენე არ დაღუპულა, უამრავი ადამიანი იღუპება და ნადგურდება სულიერად!“



*თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის დეკანოზი მამა შალვა კეკელია კლუბ „ბასიანში“ 19 წლის გოგონას — ელენე ეფრემიძის გარდაცვალების ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ მსგავსი ჯოჯოხეთური ადგილები საქართველოში არ უნდა იყოს:*

**წიფომ მიიღო კანონი ნარკოლიბერალიზაციის შესახებ, საგრძნობლად გაიზარდა ადამიანებში ნარკოტიკის მოხმარება. ჩემი სულიერი შვილები, რომლებსაც ნარკოტიკებისთვის თავის დანებება სურთ, ცდუნებას ვერ უძლებენ, იმდენად ხელმისაწვდომია ეხამი.**

**— „ბასიანმა“ გაავრცელა განცხადება — ჩვენთან ნარკოტიკები არ იყიდება და კლუბი ვერ იქნება პასუხისმგებელი იმაზე, რაც ჩვენი მოქმედების არეალს სცდება...**

— ეს არის ტყუილი! რა ნარკოტიკები არ იყიდება? ერთი რამ ავიწყდება „ბასიანს“, რომ ჩვენ, სასულიერო პირებს, საზოგადოებასთან ყველაზე ახლო შეხება გვაქვს. ჩვენთან აღსარებაზე ძალიან ბევრი ადამიანი მოდის და სწორედ იმ ისტორიებს გვიყვებიან, რაც იქ ხდება. დიახ, რეალობა ვიცით!!! **ძალღზე რომ ამხელა ამბავი ატეხეს, ეს ულამაზესი ადამიანი რომ დაიღუპა, რატომ დუმს ყველა?** ტელევიზიებმა ძაღლის თემას მართლაც ნაში ნარკობიზნესს მფარველობენ. ამ ბიზნესში დიდი ფულია! როგორც ვიცი, კლუბში შესვლა 50 ლარი ღირს. ერთი ბოთლი წყლის საარაკო ღირებულებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ვერ გეტყვით, რამდენად სწორია, რომ კლუბში 3 ათას კაცამდე ეტევა. ამ შემთხვევაში მარტო ბილეთებიდან დღეში 150 ათასი ლარი შეიძლება შეუვიდეთ. ამხელა ფულს ვინ დათმობს?

რამდენიმე წლის წინათ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით კანონი რომ უნდა მიეღოთ, მთელი ამბები იყო ატეხილი — თუ აზარტული თამაშები აიკრძალება, ესა და ეს გადაცემა დაგვეხურებაო.

**— ამ ყველაფერზე სტანდარტული პასუხი აქვთ — ადამიანს თავისუფალი არჩევანი არ უნდა წავართვათო...**

## – „კოვიდის“ დროს ყველაფერი რომ შეგვიზღუდეს ადამიანებს, მაშინ არ გვქონდა თავისუფალი არჩევანი?! სამწუხაროდ, სადაც ფული ტრიალებს და სარგებელია, იქ არის მხოლოდ თავისუფალი არჩევანი!

კლუბში ჩვენი მრევლი სპეციალურად მივიდა და პოლიცია გამოიძახა — ნარკოტიკები იყიდება და იმოქმედეთო! მიუხედავად ამისა, იქ პოლიცია არ შევიდა. ზაფხულში ლისზე ორი შვილის დედა კლუბური ნარკოტიკით რომ დაიღუპა, არც ეს გამოუძიებია არავის. სადაც ფულია, იქ ყველა დუმს!

**— როგორ აპირებთ წინ აღუდგეთ ამ გაუგონარ ბოროტებას?**

— ყველაზე მეტად, ვინც შეიძლება დაგვეხმაროს, არის ღმერთი და დედაღვთისმშობე-

## მამა შალვა კეკელია:

# ეს ერის გენოციდია!

— რამდენიმე დღის წინათ კლუბ **„ბასიანში“** ნარკოტიკის მიღების შედეგად 19 წლის ულამაზესი გოგონა გარდაიცვალა. წესის აგებისას ძალიან ცუდად გავხდი — ღვთისმსახურების ჩატარება ასე არასოდეს გამჭირვებია და საკუთარი თავიც დავადანაშაულე მომხდარში. დიახ, ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, არის ახალგაზრდობის, ერის გენოციდი! **ეს ადამიანი მოკლეს, ჩვეულებრივად, ნარკოტიკით მოკლეს და ასე კვდება ძალიან ბევრი ახალგაზრდა.** მე მხოლოდ კლუბ „ბასიანზე“ არ ვსაუბრობ — ჯოჯოხეთურ გასართობ ადგილზე, ზოგადად, ნარკოტიკებისადმი ზედმეტ ლიბერალიზაციას ვაპროტესტებ!

**— ამ პრობლემით ბევრი ახალგაზრდა მოდის თქვენთან?**

— ძალიან ბევრი — მომხმარებლებიც და დაავადებული ადამიანების ოჯახის წევრებიც — მშობლები, მეუღლეები, შვილები... ეს პრობლემა მხოლოდ კაცებს არ ეხებათ, ბოლო წლებში ბევრი ქალი გახდა ნარკოდამოკიდებული. ნახეთ სტატისტიკაც — რამდენი ნარკომანი იყო 5-10 წლის წინათ და რამდენია დღეს!

**მას შემდეგ, რაც სახელმ-** მთელი გადაცემები მიუძღვნეს, ექსპერტები საათობით ეძებდნენ გამოსავალს, რათა ცხოველებს ასე აღარ მოექცნენ, მაგრამ ბავშვის მკვლელობასთან დაკავშირებით რატომ არავინ საუბრობს? რატომ არ ეძებენ გამოსავალს, რომ ახალგაზრდები ნარკოტიკებით აღარ დაიღუპონ?!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყა-




## კლუბი ,,ბასიანი‘‘ კვლავ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როგორც სიკვდილის მთესველი!

BASSIANI

## კვირგვინოსნები

### ირაკლი კობახიძე
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენთვის **ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა,** რა თქმა უნდა, **არის ოცნება** და მეორე — **ეს არის ამოცანა!**

„ინტერპრესნიუსი“

### ილია მეორე
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



მის აღმატებულებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, **ბატონ ირაკლი კობახიძეს — ბატონო ირაკლი, გულითადად გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას.** კარგად მოგეხსენებათ, ეს მეტად საპატიო თანამდებობაა და, ამასთან, დიდი პასუხისმგებლობაც, მითუმეტეს, ჩვენს რთულ დროს. **ინებოს ღმერთმა, თქვენი მოღვაწეობა იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და შემდგომი წარმატების მომტანი საქართველოსთვის.** გისურვებთ ღვთის მფარველობასა და შეწევნას ჩვენი ერისა და ქვეყნის სამსახურად.

„პირველი არხი“

### რატი ბრეგაძე
*იუსტიციის მინისტრი*



**სააკაშვილთან** დაკავშირებით განაჩენი დამდგარია და **ჩვენ გვაქვს ვალდებულება, აღვასრულოთ სასჯელი,** მეგობრების თუ პოლიტიკური განცხადებების საფუძველზე არ ვიმოქმედებთ.

„რეზონანსი“

### არნო ხიდირბეგიშვილი
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



**ბიძინა ივანიშვილი** ერთადერთი ფარია, რომელმაც საქართველო მტრული სულიერი და ფიზიკური ექსპანსიისგან **დაიცვა,** როგორც ეს თავის დროზე **მემედ აბაშიძემ** შეძლო!

# „დიახ, ეს ყველას გვეხება, მთელ ქვეყანას! ელენე ყველას შვილია!“



ლი. კლუბ **„ბასიანთან“** იმისთვის როდი მივედი, რომ ვილაცას შიგნით შესვლა ავუკრძალო. იქ პარაკლისი გადავიხადე მხოლოდ იმიტომ, რომ დედაღვთისმშობელს თავისი შვილების მფარველობა შევთხოვო!!!

ღვთის მადლით, სანამ შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მსგავსი ტრაგედიები აღარ მოხდეს. სასულიერო პირებს ერთადერთი იარაღი გვაქვს — **ლოცვა!** სადაც საშუალება მომეცემა, ყველგან ვილაპარაკებ ამ თემაზე.

**მე ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს, მისთვის ჩემმა წინაპრებმა ბევრი სისხლი დაღვარეს და ვიცი, რომ მათ წინაშე პასუხისმგებელი ვარ მთელი ჩემი ცხოვრებით.**

მინდა, სახალხო დამცველს მივმართო — მაინტერესებს, ახალგაზრდა გოგონას სიკვდილის შესახებ რომ შეიტყვეს, რა გააკეთეს? მარტო პოლიტიკოსების დაცვაა მათი საქმე?! ისევე უნდა დაინტერესდეს სახალხო დამცველი ამ პრობლემებით, როგორც მე, სასულიერო პირი! დიახ, ეს ყველას გვეხება, მთელ ქვეყანას! **ელენე ყველას შვილია!**

**— მამაო, ხელისუფლებას, რომელსაც ხელეწიფება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემის მოგვარება, არაფერს ეტყოდით?**

— პირველ რიგში, ხალხი უნდა დავფიქრდეთ, რა გვჭირს და გონს მოვეგოთ. მშობელმა უნდა გააცნობიეროს, რომ ხვალ შეიძლება მისი შვილი გახდეს ნარკოტიკის მსხვერპლი. **პანაშვიდზე გარდაცვლილი ელენეს დედა ამბობდა — ჯანმრთელი ბავშვი გავუშვი და მკვდარი მომიყვანესო.** ისე მარტივად არ არის საქმე, როგორც ბევრს ჰგონია. ისევ ვიმეორებ, ეს არის ჩვენი ერის გენოციდი და ეს პრობლემა, უპირველესად, ჩვენი მოსაწესრიგებელია. საზოგადოება არის კანონის შემქმნელი. როგორი საზოგადოებაც არის, ისეთი კანონები გვაქვს.

პრემიერობის დროს მიღებული კანონი აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით ბევრ ადამიანს დაეხმარა, დაფიქრებულიყო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ნარკოტიკით რომ ახალგაზრდები იხოცებიან, ამასაც სჭირდება სერიოზული მიხედვა. ესეც ომია, ეშმაკისგან მომართული სულიერი ომი ჩვენი შვილების წინააღმდეგ!

მხოლოდ **„ბასიანის“** დაკეტვა საქმეს ვერ უშველის. ნარკოტიკები მთელ საქართველოში იყიდება. ვფიქრობ, 5 წლის წინათ ნარკოლიბერალიზაციის შესახებ მიღებული კანონია გადასახედი! **მაინცდამაინც რომელიმე მთავრობის წევრს ან პარლამენტარს უნდა მიუსვენონ შვილი სახლში, რომ რაღაც შეცვალონ?! ვისთვის გვინდა ეს ქვეყანა?!**

**პირადად მე ამ ბრძოლაში უკან დახევას არ ვაპირებ!**

*ესაუბრა* **ნატო ფოცხიშვილი**

# გამოფხიზლდით!

კლუბში მარტო 19 წლის **ელენე** არ დაღუპულა, უამრავი ადამიანი იღუპება და ნადგურდება სულიერად. კლუბური ნარკოტიკის მიღების შემდეგ ძალიან ბევრ ადამიანს შიშები და სტრესი ეუფლება. ერთი თვის წინათ მეგობრის შვილი მომიყვანეს. უნიჭიერესი ბიჭი დღეს გათიშული დადის, დედის გარეშე ქუჩაში გასვლა აღარ შეუძლია.

მუშაობა სკოლებიდან არის დასაწყები. ახალგაზრდას ეროვნული პასუხისმგებლობა უნდა ავუმაღლოთ. უნდა იგრძნოს, რომ მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნის და მთელი საზოგადოების ნაწილია!

**ირაკლი ღარიბაშვილის**





პარაკლისი კლუბ „ბასიანთან“. 2024 წლის 9 თებერვალი

**„კლუბ „ბასიანთან“ იმისთვის როდი მივედი, რომ ვილაცას შიგნით შესვლა ავუკრძალო. იქ პარაკლისი გადავიხადე მხოლოდ იმიტომ, რომ დედაღვთისმშობელს თავისი შვილების მფარველობა შევთხოვო!!!“**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, თბილისის მერი*



დაგვტოვა **სოსო ჯაჭვლიანმა** — თავის სამშობლოზე, სვანეთზე, სპორტსა და კინოხელოვნებაზე შეყვარებულმა კაცმა. **მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცი დააკლდა თავის ქვეყანას.**

მთელი გულით ვიზიარებ **სოსო ჯაჭვლიანის** ოჯახის, ახლობლების მწუხარებას ამ **დიდი დანაკარგის** გამო.

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



გააქტიურებულები ვართ, რაც შეგვიძლია მაქსიმუმს ვაკეთებთ — **მსოფლიო პრობლემაა იაფიანი ნარკოტიკი, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია** და იწვევს ძალიან ცუდ შედეგებს.

საფრთხე, რომ **საქართველოში რუსებს შემოიყვანენ და შემდეგ რუსეთის ჯარი შემოვა მათ დასაცავად,** მითია.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ბერაია**
*თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე*



ჯერ იყო და **უკრაინიდან მოხდა სააკაშვილის შემოგზავნა,** იცით რა მიზნით, **ახლა უკვე ასაფეთქებელი მოწყობილობები შემოაგზავნეს. როგორც ირკვევა, უნდა ყოფილიყო განხორციელებული თავდასხმები რუსეთის ფედერაციაში, შემდეგ ეს უნდა დაბრალებოდა საქართველოს და ლოგიკურად ეს ყველაფერი ხელ-ფეხს გაუხსნიდა ოკუპანტ სახელმწიფოს ახალი სამხედრო ესკალაციისთვის** და ჩვენს ქვეყანას აქცევდა სამხედრო მოქმედებების სამიზნედ.

„TV იმედი“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*თავდაცვის მინისტრი*



დიახ, ვიზიარებ განცხადებას, რომ **2008 წელს ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების სათავეში რომ ყოფილიყო, ომი არ იქნებოდა** — მაშინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, აეცილებინა ეს ძალიან საზარელი, მძიმე ომი.

„ინტერპრესნიუსი“



# მაყვალა ბერიანიძე:

# ბატონო ბიძინა, ნუ მალავთ ამ ჭკვიან ქალს!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წლის №54, 2024 წლის №1-7*

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ცვლილებას ეხმიანება და აცხადებს, რომ 2024 წელს საქართველოში ჩატარდება პირველი არჩევნები, როცა ქართველის სიტყვა და პოლიტიკური ნება გადამწყვეტი არ იქნება:***

— საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ **ბუნებაში მართლა არსებობს მსოფლიოს საიდუმლო მთავრობა,** რომელსაც ყველა რეგიონში თავისი წარმომადგენელი ჰყავს!!! ე.წ. „მაყურებელი“ იქნება, პრეზიდენტი, რეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი, ფაქტია, რომ მსოფლიო მთავრობას საქართველოშიც ჰყავს თავისი „ნამესტნიკი“! აქედან გამომდინარე, **ქართველმა კაცმა ისიც უნდა იცოდეს, რომ დღეს თავის თავს არ ეკუთვნის.** ადრე მითქვამს, რომ სულ მალე გამოვა ჩემი წიგნი — **„შევი: გამოაქვეყნეთ ჩემი სიკვდილის მერე!“** რაზეც ახლა ვსაუბრობ, შევარდნაძე ამას ჩემთან საუბარში ადასტურებდა და ამტკიცებდა, რომ **მსოფლიოს საიდუმლო მთავრობა** ნამდვილად არსებობს! აი, ამის შემდეგ, ყველაფერს რომ გამოვაქვეყნებ და შევარდნაძის საუბრის ჩანაწერს გავშიფრავ, გამოვიდნენ ე.წ. ექსპერტები, **ექსპერტიზა ჩაუტარონ ედუარდ შევარდნაძის ნალაპარაკევს და მითხრან, რომ საქართველო თავის ბედს წყვეტს!**

ძალიან მეშინია, რადგან, როგორ სულელურადაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, სწორედ ის სიტუაციაა თანამედროვე მსოფლიოში. მაშინ **მიხაკო წერეთელმა** ჟენევაში საქართველოს დამოუკიდებლობა რომ მოითხოვა, გამოვიდა ვინმე **ბიქტორ თევზაია** და ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაილაშქრა. სხვათაშორის, ცნობილი მწერლის **ეკატერინე გაბაშვილის** ვაჟი **რეზო გაბაშვილი** თევზაიას „სულით, გონებითა და სახით მახინჯს“ უწოდებდა. **ნოე ჟორდანიას** დროს **გიორგი მაჩაბელი** საქართველოში რომ ჩამოვიდა, განაცხადა — **საქართველო გერმანიის მთავრობის მიერ იმართებაო!** თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ახლაც შემოსულია ძალიან გავლენიანი გერმანული ნაკადი!!!

**— რას ნიშნავს „გერმანული ნაკადი“? გახსენით ფრჩხილები და აგვიხსენით, რას გულისხმობთ!**

— 1998 წელს ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისი ინიციატივით გერმანიაში გაგზავნეს ორასი ბავშვი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს. **კარგად დააკვირდით, შევარდნაძის გეგმა ხომ არ სრულდება?** პირველი მსოფლიო ომის დროს **ლეო კერესელიძე** და მისთანა სულელები თურქეთში ფაფახებით დარბოდნენ და ქართველებს თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. იმავე **რეზო გაბაშვილის** თქმით, ეს სიგიჟე დროზე აღკვეთეს, თორემ, რაც 1915 წლის აპრილში თურქებმა სომხებს დამართეს, უარესს ჩვენ გვიზამდნენ! განა სწორედ ასე არ გვაქეზებდა ახლა დასავლეთი და რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას არ გვაიძულებდა? **თუ ვინმეს ჰგონია, რომ 2024 წლის არჩევნები ჰაიჰარად ჩაივლის, მწარედ ცდება! 2024 წელს საქართველოში ჩატარდება პირველი არჩევნები, როცა ქართველის სიტყვა და პოლიტიკური ნება გადამწყვეტი არ იქნება!**

**— მაშ, ვისი საარჩევნო ხმა და პოლიტიკური ნება იქნება გადამწყვეტი?**

— ქვემო ქართლში არჩევნების სასწორს გადაწონის **აზერბაიჯანელების ხმა,** ჯავახეთში — **სომხების,** თბილისში — **სომხებისა და თურქების,** ხოლო აჭარაში — **თურქებისა და ნაცების!** აფხაზეთი და შიდა ქართლი განზეა, ხოლო ოსური მოსახლეობა საითკენაც იყურება, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. აქედან გამომდინარე, **2024 წლის არჩევნები საბედისწერო იქნება!** აქ იმდენი სახელმწიფოსა და სპეცსამსახურის ინტერესები ეჯახება ერთმანეთს, არ გამოვრიცხავ, ქართველები ისე დაეცნენ, როგორც 1918 წლის 23 მარტს **აკაკი ჩხენკელი** დაეცა და თურქეთში ვიზიტის დროს საბედისწერო განცხადება გააკეთა — **ართვინის, არდაგანისა და ყარსის ოლქების სამხრეთი ნაწილი თურქებს უნდა გადაეცეთო!**

ამერიკის ერთ-ერთ პრეზიდენტს ეკუთვნის ასეთი ფრაზა — როცა ღმერთის არსებობას ვიხსენებ, ჩემი ქვეყნის მიერ ჩადენილი ცოდვების გამო შიშის ჟრუანტელი მივლისო! ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვაცხადებ — **შესაძლოა, ამერიკის შეერთებული შტატები დაიშალოს!** შესაძლოა, პალესტინის სახელმწიფოც შეიქმნას და ქურთისტანმაც მოიპოვოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ — **ქრისტიანობის საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლის გამო და იმის გამო, რასაც რუსეთი საქართველოს უკეთებს, კრემლი აუცილებლად დაისჯება!**

**— საქართველო რატომ და რის გამო ისჯება?**

— **საქართველო სააკაშვილის გამო ისჯება!** სააკაშვილსა და მის სექტას ტვინი რომ ჰქონდეთ, „ვივამედის“ ეზოში ბიძინა ივანიშვილს ძეგლი უნდა დაუდგან! როგორც შევარდნაძემ გადაარჩინა **ჯაბა იოსელიანი** ციხეში გამოკეტვით, სწორედ ისე ბიძინამ სააკაშვილი „ვივამედში“ წამოკოტრიალებით ხალხის რისხვისგან იხსნა! **სააკაშვილი უკვე 60 წელს არის მიღწეული...** იცით, რა მაინტერესებს? **60 წლის პატიმარს სადმე დედა უზის პალატაში? სხვა პატიმრების ღირსებას რომ ფეხით თელავენ, მაინცდამაინც ციხის ბუნტი უნდა მოხდეს და ქვეყანა დაიქცეს, რომ სააკაშვილი ციხეში გადაიყვანონ?**

**— თქვენ მაინც არ მითხარით, თუ რატომ დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში?**

— დღეს საქართველოში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სწორედ ბიძინა ივანიშვილია! ბიძინას ახლა გველის ჭკუა მართებს, რადგან მსოფლიოც არეულია და საქართველოც... შესაბამისად, საფრთხე და გამოწვევები ორმაგად გაზრდილია.

**— ე.წ. ექსპერტი „ხუხა“ — გია ხუხაშვილი გამოვიდა და განაცხადა — ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში პირადი უსაფრთხოებისა და ოჯახის დაცვის მიზნით დაბრუნდაო!**

— **„ხუხამ“ ხმა ჩაიკმინდოს!** კი მაგრამ, **2011 წელს რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა და მანიაკ სააკაშვილს ღიად დაუპირისპირდა, მაშინაც საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობდა?** ბიძინაზე მეტი ფული დღეს ოპოზიციას აქვს, მაგრამ ხომ ხედავთ, რომ მარტო ფული საქმეს ვერ შველის? **სალომე ზურაბიშვილი,** როგორც სოროსისა და ბჟეზინსკის გოგო, თამაშობს, როცა აცხადებს — ერთობის პლატფორმა შევქმნათ „ევროპისთვისო!“ **ანუ ქალი საქართველოსთვის კი არ ქმნის ერთობის პლატფორმას, „ევროპისთვის“ ქმნის...** ამაზე მეტი ტრაგიკომედია რაღა გინდათ?

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას, **ირაკლი ღარიბაშვილმა** გარკვევით თქვა — **2008 წელს ბიძინა ივანიშვილი რომ ყოფილიყო, ომი არ იქნებოდაო!** მართალია. სხვათაშორის, სააკაშვილი 2006 წელს აპირებდა ომის დაწყებას, მაგრამ მაშინ ბიძინა ივანიშვილმა აღკვეთა ეს სიგიჟე, რადგან **ბოკერიასა** და სხვა დაჯგუფებებზე მოახდინა ზემოქმედება. 2008 წლის იანვრის შემდეგ, რაც სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევები ტოტალურად გააყალბა და ინაუგურაცია ჩაატარა, ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს სამუდამოდ გაემიჯნა. ცნობილია, რომ **სააკაშვილი** ივანიშვილს მაშინ თოთო ბავშვივით გაეკიდა უკან — რაო, მტოვებ?! არ მინდა, შეთქმულების თეორიას გავყვე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილისა და სააკაშვილის დაშორება დროში ემთხვევა **ბადრი პატარკაციშვილის** მკვლელობას... მოგეხსენებათ, ბადრი ზუსტად 16 წლის





**„როგორც შევარდნაძემ გადაარჩინა ჯაბა იოსელიანი ციხეში გამოკეტვით, სწორედ ისე ბიძინამ სააკაშვილი „ვივამედში“ წამოკოტრიალებით ხალხის რისხვისგან იხსნა!“**

**„1998 წელს შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისი ინიციატივით გერმანიაში გაგზავნეს ორასი ბავშვი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს. კარგად დააკვირდით, შევარდნაძის გეგმა ხომ არ სრულდება?“**

წინათ, 2008 წლის 13 თებერვალს, მოკლეს.

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— ამით იმის თქმა მსურს, რომ შე დალოცვილო, მაინცდამაინც **ბადრი პატარკაციშვილი** უნდა მოეკლა, სააკაშვილს რომ დაშორებოდა?! ასეთი ჭკვიანი და ანალიტიკური გონების პატრონი რით ვერ მიხვდი, რომ მანიაკთან გქონდა საქმე? **სხვათაშორის, ზუსტად ორი წლით ადრე, კერძოდ, 2006 წლის 13 თებერვალს, მე მომიწყვეს თავდასხმა და საკუთარი საცხოვრებელი ბინის წინ დამჭრეს.** უამრავი უბედურება დატრიალდა ჩემ თავს — მშობლების სახლი გამიძარცვეს, რა მუქარები არ შემომითვალეს... ამიტომ მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრ **ვახტანგ გომელაურს,** მიმიღოს და მომისმინოს, ჩემგან ძალიან ბევრ რამეს გაიგებს! ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არც **ირაკლი ღარიბაშვილს** მოუწვევია და არც **ირაკლი კობახიძეს.** კაცი გამოვიდა და განაცხადა — ჩემი ინიაციატივით დავბრუნდიო! დავიწყოთ იმით, რომ **დღეს „ქართულ ოცნებას“ სამი თავმჯდომარე ჰყავს!**

**— ეს როგორ?**

— როგორ და,

**ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ ისე აირჩიეს, ირაკლი კობახიძე პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან არ გადააყენებიათ. აქედან გამომდინარე, პარტია „ქართულ ოცნებას“ დღეს სამი თავმჯდომარე ჰყავს — საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე, რომელიც არავის გადაურჩევია და ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც აირჩიეს.**




რაც შეეხება **ირაკლი ღარიბაშვილის** გადადგომას და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მობრუნებას, ბატონ **არნო ხიდირბეგიშვილს** ჰქონდა ამის შესახებ ვრცელი სტატია „ასავალ-დასავალში“, მაგრამ მე მაინც სხვა კუთხიდან დაგანახვებთ პროცესებს! **ეჭვი არ მეპარება, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა დაკავშირებულია თბილისში პაშინიანის ვიზიტთან. კერძოდ, გაგახსენებთ ალიევის განცხადებას — საფრანგეთი, საქართველოს გავლით, სომხეთს იარაღით ამარაგებსო!** ამის გამო აზერბაიჯანმა ბაქოდან საფრანგეთის ელჩი და ორი-სამი ფრანგი დიპლომატიც კი გააძევა. პარალელურად მოდით, ვიკითხოთ — **ვინ არის ნიკოლ პაშინიანი?** კაცმა არ იცის, სინამდვილეში ვისი კაცია პაშინიანი, რადგან ეს რუკზაკიანი და წვერებიანი კაცი, რომელსაც კაციშვილი არ იცნობდა, აიღეს და სომხეთის პრემიერად დასვეს. სამაგიეროდ, პაშინიანმა და მისმა პატრონებმა ძალიან კარგად იციან, რომ **ბიძინა ივანიშვილი** საფრანგეთის მოქალაქეა, ხოლო **ირაკლი ღარიბაშვილი** — სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მოკლედ, მიმაჩნია, რომ **პაშინიანმა გაათამაშა სომხური კარტი და თურქეთსა და აზერბაიჯანს საქართველოს მიმართ ეჭვები გაუჩინა.** კერძოდ, პაშინიანმა მახე დაუგო ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც მკაცრი, ქიზიყური გამონათქვამებით გამოირჩეოდა და მოულოდნელად საუბარი წამოიწყო სომხეთ-საქართველოს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე.

**ირაკლი ღარიბაშვილისა და პაშინიანის განმარტოება მთაწმინდაზე, საიდანაც ისინი თბილისს გადასცქეროდნენ, აზერბაიჯანისთვის დაახლოებით იგივე სახის გამოწვევა იყო, რაც ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალებაა. ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ჭკვიანი კაცია, იგრძნო საფრთხე და სწორედ ამიტომ შემოვიდა პოლიტიკაში თავისი ინიციატივით.**

**— მაინც ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდათ!**

— როგორც კი **პაშინიანი** საქართველოდან წავიდა, მაშინვე შეუერთდა **რომის სტატუტს,** რაც იმას ნიშნავს, რომ **პუტინი სომხეთში ჩავა თუ არა, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინვე უნდა დააპატიმრონ.** თუ საქართველო სომხეთის სტრატეგიული პარტნიორი იქნება, გამოდის, რომ საქართველოც ავტომატურად უერთდება ამ პლატფორმას და პუტინის დაპატიმრების ინიციატორები ჩვენც ვხდებით. **ეს ხომ იცით, რასაც ნიშნავს? საქართველოს გაუთოებასა და მოსპობას!**

აი, ეს საშინელი საფრთხე ივანიშვილმა იგრძნო და **ირაკლი კობახიძე,** რომლის გავლენებიც საკანონმდებლო ორგანოში დიდზე დიდია, სასწრაფოდ მოაშორა პარლამენტს, რათა პარლამენტის მიერ სომხეთ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების რატიფიცირება დროში გაიწელოს. **ამიტომ, როცა ეს ე.წ. ექსპერტები და, მათ შორის, „ხუხა“, ტლიკინებენ — ბიძინა ივანიშვილი „მატყუარა“ და „გადამგდებიაო“, კი მაგრამ, თქვენ სინდის-ნამუსი არ გაქვთ? ბიძინა თქვენ გადაგყვათ და სასახლეები აგიშენათ და ენა პირში როგორ გიბრუნდებათ?** რაც შეეხება „მატყუარას“, მატყუარა არის სააკაშვილი, რომელმაც განაცხადა — **სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო!** იმავე სააკაშვილმა 2004 წელს პუტინს უთხრა — **ნატოში არ შევალ და აფხაზეთი გავიყოთო!** სააკაშვილმა ესეც კი აღიარა — **2008 წელს ომი ამერიკელების რჩევით დავიწყეო!**

2011 წლის 26 მაისს რუსთაველზე სისხლიან ანგარიშსწორებას შინაგან საქმეთა სამინისტროდან ამერიკელი ინსტრუქტორები რომ ხელმძღვანელობდნენ, ესეც სააკაშვილის განცხადებაა. **კი მაგრამ, მაშინ დაყრუებული იყავით, ხმას რომ არ იღებდით?**







დაბოლოს, ბიძინა ივანიშვილს მოვუწოდებ — დროა, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოაჩინოს თავისი გაწონასწორებული, სიმპათიური და მშვიდი მეუღლე, ქალბატონი **ეკა ხვედელიძე!** ივანიშვილი ჯერ კიდევ 2011 წელს აცხადებდა — თუ მე ბრძოლის ველზე დავეცემი, ბრძოლა გაგრძელდება და ამას ჩემი ოჯახის წევრები გააკეთებენო! **ბატონო ბიძინა, ნუ მალავთ ამ ჭკვიან ქალს! ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს პოლიტიკურ ასპარეზზე ველოდები და მერე ვერავინ ვერასოდეს იტყვის — ბიძინა ივანიშვილი არაფორმალური მმართველიაო!**

## „სხვა პატიმრების ღირსებას რომ ფეხით თელავენ, მაინცდამაინც ციხის ბუნტი უნდა მოხდეს და ქვეყანა დაიქცეს, რომ სააკაშვილი ციხეში გადაიყვანონ?“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

*2008 წლის 13 თებერვალს, ოფიციალური ინფორმაციით, გაურკვეველ, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის გარკვეულ ვითარებაში, ლონდონის სასახლეში გარდაიცვალა ქართველი მილიარდერი და მეცენატი ბადრი პატარკაციშვილი.*




# ხვალ, 13 თებერვალს, ბადრი პატარკაციშვილს მოკლავენ!

## ბადრი პატარკაციშვილი გაყიდეს სწორედ ამ მოღალატე და ფულზე გაგიჟებულმა ძუკნებმა...

როგორც მაშინ გამოგვიცხადეს, **ოლიგარქი, რომელმაც დაახლოებით 13 მილიარდი დოლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება დატოვა, გულის შეტევით დაიღუპა. თუმცა, არსებობს უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, შვეიცარიაში, გულის ულტრათანამედროვე კლინიკაში, რომელიც მისი პირადი საკუთრება იყო, პატარკაციშვილმა საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაიტარა და აბსოლუტურად ჯანმრთელი აღმოჩნდა.**

**ბადრი პატარკაციშვილის** გარდაცვალებიდან 16 წელი გავიდა და დღემდე გაუჩინარებულია **ოლიგარქის სერბი მებაღე,** რომელიც ლონდონის სასახლის ეზოს უვლიდა. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ უშუალოდ მკვლელი სწორედ მებაღეა, რომელიც სინამდვილეში საიდუმლო სამსახურის აგენტი იყო.

**ასევე გაუჩინარებულია სააკაშვილის კუდის მაღალჩინოსანი ერეკლე კოდუაც,** რომელმაც **ნანული ჟორჟოლიანთან** ერთად პატარკაციშვილს ლონდონის სასახლეში ჩააკითხა. სამაგიეროდ, არსად იმალებიან და გამოჩინებული არიან **ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის სავარაუდო ფიგურანტები — გიორგი თარგამაძე, ვალერი გელბახიანი, ელისტრაკო კილაძე, გივი თარგამაძე** და მაშინდელი „იმედის“ ის მოღალატე, გაძუკნებული ჟურნალისტები, რომლებმაც საქართველოსა და ბადრი პატარკაციშვილის ერთგულებას სააკაშვილის საწოლში ბუქნაობა არჩიეს.

მათი ეს ბუქნაობა დღემდე გრძელდება.

**როგორც აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტას არ მალავს, სააკაშვილს არც ის დაუმალავს, რომ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის ბრძანება თავად გასცა.** ეს რომ ნამდვილად ასეა, ჩეჩენი ტერორისტის **უზაზ ახმადოვის** ვიდეომიმართვაც ადასტურებს, რომელსაც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ პატარკაციშვილის მკვლელობა შეუკვეთეს. ამასვე ადასტურებს სააკაშვილის ხროვას გამიჯნული, მაგრამ მერე ისევ სააკაშვილის გვამში თავშერგული **ირაკლი ოქრუაშვილი,** რომელმაც 2007 წლის სექტემბერში სწორედ „იმედის“ სტუდიაში განაცხადა — **სააკაშვილმა ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა სწორედ იმ სცენარით დაგეგმა, როგორც ლიბანის პრემიერ-მინისტრი, ცნობილი მილიარდერი რაფიკ ჰარირი მოკლესო!** მოგვიანებით იმავე **ოქრუაშვილმა** ისიც თქვა, რომ **სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს** საქართველოში დაახლოებით 15-20 ცნობილი პერსონის განადგურება ჰქონდათ დაგეგმილი! აღნიშნულ განცხადებებს ამ მართლაცდა სამარცხვინო არსებისთვის ხელი არ შეუშლია, ამდგარიყო და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული, ისევ და ისევ ნაცებისა და სააკაშვილ-მერაბიშვილის გაერთიანებულ უკანალში ედურთა თავი.

თუ როგორ გეგმავდნენ **სააკაშვილის კუდელები და კუდიანები** ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას, რა საუბრებს აწარმოებდა ამ დავალების აღსასრულებლად **გია დგებუაძე, ანუ იგივე „მასტერა“** და რა გეგმებს აწყობდნენ სააკაშვილისა და მერაბიშვილის ასპიტები — **ლევან ქარდავა, გიორგი მერებაშვილი და რევაზ შიუკაშვილი** ბიზნესმენის ლიკვიდაციის მიზნით, ეს ამბავი საქვეყნოდ ცნობილია და ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ!

2007 წლის 2 ნოემბერს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე **ბადრი პატარკაციშვილი** სააკაშვილს ღიად დაუპირისპირდა. დაფეთებულმა და კონვულსიებში ჩავარდნილმა ნაცბელადმა, რომლის რეიტინგიც ხარჭებსა და ათასი ჯურის მკვლელებს უკვე მონელებული თუ განულებული ჰქონდათ, ხელისუფლების დაკარგვის შიშით უმალ განგაში გამოაცხადა. პირველ რიგში, აუცილებელი იყო მოშიმშილეთა აქციის დარბევა და „იმედის“ ხელში ჩაგდება. 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილმა მშვიდობიანი მიტინგი მართლაც უსასტიკესად დაარბია, ქართველი ხალხი გამეტებით ცემა და შემდეგ „ტელეიმედშიც“ შევარდა. **ამის შემდეგ პირველი რიგის ამოცანა ბადრი პატარკაციშვილის ფიზიკური განადგურება გახდა, რაშიც სააკაშვილს, როგორც ჩანს, ოკეანის გაღმიდანაც კვერი დაუკრეს და გადაწყვეტილებაც უკურთხეს!**

მიგვაჩნია, რომ არც ზურაბ ჟვანიასა და არც ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურების უშუალო მონაწილეობისა და კურატორობის გარეშე არ მომხდარა. სააკაშვილის ასტიონები და მწამლავები ბადრი პატარკაციშვილის ლონდონურ სახლში ვერ შეძვრებოდნენ. ამდენად, იმ კაცის მკვლელობა, რომელმაც 2008 წლის 5 იანვრის ტოტალურად გაყალბებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 27 პროცენტი მიიღო, იმ ქონდაქრების ნახელავია, მანიაკი და გარყვნილი სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ რომ გამოგვიცხადეს. აკი, თავად სააკაშვილმაც განაცხადა — **2011 წლის 26 მაისს ანტისამთავრობო აქციის კანონიერ დაშლას შინაგან საქმეთა სამინისტროდან პირდაპირ რეჟიმში ჩვენი ამერიკელი მეგობრები ხელმძღვანელობდნენო!**

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **რატომ უკურთხა გლობალურმა დასავლეთმა მანიაკ სააკაშვილს ჯერ ზურაბ ჟვანიას და მერე ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა?** პასუხი უმარტივესია — **იმიტომ, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილს უკვე მესამე ცდაზე მაინც დაეწყო რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციული და ქვეყნის დამღუპველი ომი და რუსულ-ქართული ურთიერთობები იმ ჩიხში შეეყვანა, საიდანაც საქართველოს გამოყვანა ვერა და ვერ ხერხდება.**

თუ **ზურაბ ჟვანია** ცოცხალი იქნებოდა, ხოლო იმის ერთპროცენტიანი საფრთხე მაინც იარსებებდა, რომ ბადრი პატარკაციშვილი ხელისუფლებაში მოსულიყო, **მაშინ ამერიკელი „ქორების“ გეგმები საქართველოსთან მიმართებაში სალომე სამადაშვილის მენსტრუალური ციკლივით აირეოდა;** ამიტომაც დასავლეთელმა პატრონებმა ნაცფიურერ სააკაშვილს პოლიტიკური ველი მოუსუფთავეს და ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შემდეგ ლონდონის სასახლეში ბადრი პატარკაციშვილიც მოაშთეს.

სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ ბადრი **ერეკლე კოდუამ** მოკლა! ამას გონებაშეზღუდული კოდუა ვერ იქმოდა... **ეს საჯაყი საქმე იმ ხალხის ნახელავია, რომლებიც, გელა ზედელაშვილისა არ იყოს,** კოდუასთან და **ნანულია ჟორჟოლიანთან** ერთად, მინდორში მოსაშარდავადაც კი არ გავა.

**კოდუები, ვალერი გელბახიანები და ელისტრაკო კილაძეები** სჭირდებოდათ იმ ანტურაჟის შესაქმნელად, რომელიც ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის გასანეიტრალებლად იყო აუცილებელი. **სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა „არკადიის“ შენობაში დესანტის გადასხმა, რაც ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბში ჯერ ვალერი გელბახიანისა და შემდეგ სპეცსამსახურების ნომრიანი როსკიპის ელისტრაკო კილაძის დასაქმებაში გამოიხატა.**

ცნობილია, რომ „არკადიაში“ სააკაშვილისა და მისი პატრონების მიერ გადასხმულმა სპეცაგენტებმა, ქურდებმა, როსკიპებმა და ავაზაკებმა ყველაფერი მოიპარეს, მათ შორის, ტუალეტების კარის სახელურებიც კი, რომლებიც სვაროვსკის თვლებით იყო მოოჭვილი. **როცა ამის შესახებ საქართველოდან იძულებით გადახვეწილ ბადრი პატარკაციშვილს ახლობლებმა ტელეფონით მოახსენეს, პატარკაციშვილმა მწარედ გაიღიმა — არაუშავს, წაიღონ, რომ ჩამოვალ, უკეთეს სახელურებს დავაყენებინებო!**

ერთმა უტიფარმა, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შემდეგ შეუთვალეს — **ბადრის „ბენტლი“ დააბრუნეო!** — ჭირისუფალს შემოუთვალა — **ბადრიმ მანქანა მაჩუქაო!**

მოკლედ, **ბადრი პატარკაციშვილი** მოკლეს, მოინელეს და „არკადიის“ ეზოში დამარხეს, ხოლო ბადრის საარჩევნო შტაბის წევრები და „იმედის“ ე.წ. ჟურნალისტები, რომელთა დაცვასაც, ფაქტობრივად, ამოდენა კაცი შეეწირა, სააკაშვილთან მიიძუძგნენ, მიეთრნენ და ფერხთით გაუგორდნენ. ასე, მაგალითად, **ვალერი გელბახიანი,** რომელიც ბადრი პატარკაციშვილს ემიგრაციაში გაჰყვა და რომელსაც ვითომდა სააკაშვილი მოსაკლავად დაეძებდა, გარყვნილ ნაცფიურერთან კიევში ჩაეთრა და სააკაშვილს შამპანურით სავსე ბოკალი მიუჭახუნა. რაც შეეხება **ელისტრაკო კილაძეს,** ეს მართლაცდა საღორიის ტყის ტურფა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ფულები დააყარა და მილიონები აშოვნინა, ბოლოს ისე გათავხედდა, აღარაფერს მალავდა და სააკაშვილის ბიძასთან ერთად უშველებელ „ჯიპში“ სელფაობდა.

**არადა, ვალერი გელბახიანი ე.წ. დევნილობიდან რომ დაბრუნდა და საქართველოში ჩამოვიდა, პირველად სწორედ ბადრი პატარკაციშვილის საფლავთან მივიდა.** მაშინ დიდ გაუგებრობაში გახლდით მოყოლილი და **უწიგნური ელისტრაკოს გაზეთში ვმუშაობდი,** რომელიც სულ მალე ისე აყროლდა, სუნთქვა ჭირდა. სამაგიეროდ, **ელისტრაკო კილაძე** და მთელი მისი „ბრაშკა“ ყოფილა დიდ **„გასაგებრობაში“,** რაც სულ მალე დადასტურდა, როცა მთელი მისი რედაქცია **„საკარელი“ ბიჭებითა თუ „ხუიძეებით“** გაივსო.

სიმართლე გითხრათ, თავიდან **ელისტრაკო კილაძე** სიმართლისთვის მებრძოლი ამორძალი მეგონა, რომელსაც, მითიური ამორძალებისგან განსხვავებით, არცერთი ძუძუ ამოშანთული არ ჰქონდა და მშვილდ-ისრის ნაცვლად ხელში პირწვეტიანი კალამი ეჭირა. **ცოტა ხანში გავარკვიე, რომ ამ უწიგნურ ქალს, რომელიც „ძ“-სა და „ხ“-ს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, თურმე, ყველაფერი, მათ შორის, სინდის-ნამუსიც ამოშანთული აქვს, ხოლო კალმის ნაცლად ხელში თემურ ალასანიასა და ოთარ ფარცხალაძის „ტინკი-ვინკი“ უჭირავს.**

ერთი სიტყვით, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **როცა ვალერი გელბახიანი და ელისტრაკო კილაძე ბადრი პატარკაციშვილის საფლავთან ყვავილებით მივიდნენ, მეც იქ გახლდით და გელბახიანსაც და ელისტრაკოსაც ისე ვუყურებდი, როგორც ყინწვისისა და ატენის სიონის ანგელოზებს...** მაგრამ მალე საიდუმლოს ფარდა აეხადა და დაფარული გაცხადდა. აღმოჩნდა, რომ **ვალერი გელბახიანისა და ელისტრაკო კილაძის სახით ჩვენ წინაშეა ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილის მიერ დაქოქილი და ფულზე დაგეშილი ღორ-ძაღლების კოლტი,** რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაში, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და სააკაშვილის გარყვნილ რეჟიმს არსებობა გაუხანგრძლივა.

ახლაც კარგად მახსოვს, **ელისტრაკო კილაძე და ვალერი გელბახიანი** ბადრი პატარკაციშვილის საფლავთან ისე მივიდნენ, როგორც ერთგული და ბრძოლაში დამაშვრალი დიადოხოსები, ანუ საქმის გამგრძელებლები ალექსანდრე მაკედონელის ძვალშესალაგთან... **დრომ დაადასტურა, რომ, თურმე, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა ედუარდ შევარდნაძის სტუმრობას ჟიული შარტავას საფლავთან. დარწმუნებული ვართ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს ერთი წუთითაც რომ სცოდნოდათ, სულ ცოტა ხანში ვალერი გელბახიანი შამპანურით სავსე ბოკალით ხელში კიევში სააკაშვილთან მიძუძგდებოდა, ხოლო ელისტრაკო კილაძე სააკაშვილის ბიძას თემურ ალასანიას კალთაში ჩაუხტებოდა, იმ ყვავილებს ერთსაც და მეორესაც უკანალში გაუკეთებდნენ, ხოლო მერე ძაღლებს მიუქსევდნენ და მათ დამპალ და მოღალატე სულსა და ხორცს ნაფლეთებად აქცევდნენ.**

ბადრი პატარკაციშვილი გაყიდეს სწორედ ამ მოღალატე და ფულზე გაგიჟებულმა ძუკნებმა, რომლებიც „არკადიაში“ გადასხეს, როგორც დესანტი და სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის უბინძურესი დავალების შესრულების შემდეგ მიუცუცქდნენ ისევ სააკაშვილს!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ჩემს გაკვირვებას იწვევს ის ამბავი, რომ დღეს ელისტრაკო კილაძე, ვანო მერაბიშვილი, ვალერი გელბახიანი, გიორგი თარგამაძე, მიხეილ სააკაშვილი და გივი თარგამაძე,** რომლებმაც ბადრი პატარკაციშვილს საბედისწერო განაჩენი გამოუტანეს, „ვივამედში“ ერთად არ წვანან და „ძონ...ბურთში“ **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ერთმანეთს არ ეჯიბრებიან!

სანამ **ბადრი პატარკაციშვილის** მკვლელები სასამართლოს წინაშე არ წარდგებიან და პოლიტიკას, ბიზნესსა თუ ჟურნალისტიკას არ ჩამოშორდებიან, საქართველოს საშველი არ იქნება!



**ვალერი გელბახიანისა და ელისტრაკო კილაძის სახით ჩვენ წინაშეა ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილის მიერ ფულზე დაგეშილი ღორ-ძაღლების კოლტი, რომელმაც პატარკაციშვილის მკვლელობაში, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა!**



*დიტო ჩუბინიძე*

# პირველად ქართულ პრესაში:

## საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ექსმინისტრი 1983 წელს თბილისში თვითმფრინავის გამტაცებელთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის გაუხმაურებელ დეტალებზე საუბრობს!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პუბლიკაციათა ციკლს 1983 წლის 18 ნოემბერს ქართველი ახალგაზრდების მიერ თვითმფრინავის გატაცებასთან და მის თანმდევ მოვლენებთან დაკავშირებით. დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოების ერთი ნაწილი გამტაცებლებს გმირებად სახავდა, რითიც შეურაცხყოფდა ამ გატაცების შედეგად დაღუპული უდანაშაულო ადამიანების ხსოვნას. იწერებოდა პიესები, იდგმებოდა სპექტაკლები, რომელთა ავტორები ცდილობდნენ, გაემართლებინათ ტერორისტები. რატომღაც საზოგადოებამ უფრო მეტი იცოდა თვითმფრინავის გამტაცებლებზე, ვიდრე იმ უდანაშაულო ადამიანთა ცხოვრებაზე, რომლებიც თვითმფრინავის გატაცებას შეეწირნენ; თუნდაც იმ ადამიანებზე, რომლებმაც მძევალთა გამოხსნაში მიიღეს მონაწილეობა.***

*როგორ წარიმართა მოვლენები მას შემდეგ, რაც მფრინავებმა სიცოცხლის გაწირვის საფასურად გატაცებული თვითმფრინავის მობრუნება და თბილისის აეროპორტში დასმა მოახერხეს? რა ხდებოდა სპეცოპერაციის შტაბის კულისებში, რა ვითარებაში განხორციელდა სპეცრაზმის შტურმი, ტერორისტების დაკავება და ცოცხლად დარჩენილ მძევალთა გამოხსნა?*

*— „ტერორისტების მიერ მოკლული მფრინავის* ***ანზორ ჩედიას ქალიშვილთან თეონა ჩედიასთან „ასავალ-დასავალის“ 2024 წლის №1-2-ში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ მომხდარიდან 40 წლის შემდეგ განმიახლა მოუშუშებელი ტკივილი. იმავდროულად, მწარედ ჩამაფიქრა ათწლეულების განმავლობაში გამოუსწორებელ უსამართლობაზე, რადგან სრულიად უდანაშაულო ადამიანების უმოწყალოდ მკვლელებს საქართველოში ვიღაცები დღემდე „გმირებად“ მიიჩნევენ... ჩემს გონებაში გაირბინეს მაშინდელი მოვლენების მკაფიო კადრებმა, ვინაიდან თავად გახლავართ გატაცებული თვითმფრინავის ტერორისტებისგან გამოხსნის ოპერაციის მონაწილე!“*** *— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოს უშიშროების ყოფილმა შეფმა* ***იგორ გიორგაძემ:***



— აღსრულებული პროფესიული მოვალეობა, თუმცა, 7 დაღუპულისა და 12 დაჭრილის გამო უსაზღვრო მწუხარება — ასეთი შერეული განცდებით დამამახსოვრდა საქართველოს „კაგებეს“ და საკავშირო „კაგებეს“ ლეგენდარული „ალფა“ ჯგუფის ერთობლივი სპეცოპერაცია, რომელიც თბილისის აეროპორტიდან 1983 წლის ნოემბერში გატაცებული თვითმფრინავის გამოსახსნელად ჩატარდა და რომლის მონაწილე მეც გახლდით. გულწრფელად მედარდება ნიჭიერი ახალგაზრდების ხვედრი, რომლებმაც ზურგი აქციეს სიკეთისა და ბოროტების აღქმის ტრადიციულ, ადამიანურ მიდგომას, ტერორისა და კაცთმოძულეობის გზას დაადგნენ და, სამწუხაროდ, სიცოცხლე ამ გზაზე დაასრულეს.

**— ნუთუ უშიშროებამ თვითმფრინავის გატაცების გეგმის შესახებ წინასწარ ვერ შეიტყო?**

— იმხანად 33 წლის პოდპოლკოვნიკს საქართველოს უშიშროების კონტრდაზვერვის

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



„ასავალ-დასავალი“. 2024 წლის №1-2

### იგორ გიორგაძე:

## ან თეონა ჩედიას მამა უნდა იყოს გმირი, ან მისი მკვლელები — მათ ერთ საზოგადოებაში არ ეცხოვრებათ!

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ხაზარაძე-ჯაფარიძის მორიგი თაღლითობა?!** „ლისი დეველოპმენტი“ ობლიგაციების მფლობელთა შეცდომაში შეყვანას აღიარებს და ობლიგაციების ვადამდე განაღდებას სთავაზობს — ამ უწყინარი ამბის უკან, სავარაუდოდ, **დიდი თაღლითური სქემაა დალაგებული.** ამ ამბის უკან ხომ **ხანდაზმული თაღლითები — ხაზარაძე და ჯაფარიძე** დგანან.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ხაზარაძე-ჯაფარიძის თაღლითურმა დუეტმა** რომ ობლიგაციების მფლობელები გადაყარა „ლისი დეველოპმენტის“ საქმეში, ამ ამბავს არ ვიმჩნევთ? **ეს ორი მევახშე** კიდევ ურცხვად იტყუება, 1000-ლარიან პენსიას დავარიგებთო. **სულით ხორცამდე მევახშე-თაღლითები არიან.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ემზარ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



სასამართლოს მიერ სამართლებრივად დადგენილი **ხანდაზმული თაღლითები ხაზარაძე და ჯაფარიძე** თავისსავე მოქსოვილ **თაღლითურ აბსურდის აბდაუბდაში** ისე გაიხლართნენ, რომ ვერ ახერხებენ იქიდან გამოსვლას.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ხმალაძე**
*საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი*



„ქართული ოცნების“ შეცდომაა **გავრილოვის ღამე და ე.წ. აგენტების კანონის მიღება.** თუ ასეთ შეცდომებს არ დაუშვებენ არჩევნებამდე, დღევანდელი ოპოზიციის გათვალისწინებით, **შეიძლება, „ოცნებამ“ მართლაც აიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა.**

„ახალი თაობა“

# პირველად ქართულ პრესაში:

## საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ექსმინისტრი 1983 წელს თბილისში თვითმფრინავის გამტაცებელთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის გაუხმაურებელ დეტალებზე საუბრობს!

*დასაწყისი მე–7 გვერდზე*

განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობა მეკავა. უცხოელების ნაკადში საზღვარგარეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებისა და აგენტების გამოვლენაზე ვმუშაობდით.

თვითმფრინავის გატაცებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე, მე-5 განყოფილებიდან, რომელიც იდეოლოგიითა და სტუდენტებთან მუშაობით იყო დაკავებული, შემოდის შეტყობინება, რომლის თანახმად, თბილისის სამხატვრო აკადემიის მე-4 კურსის სტუდენტი, „ინტურისტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის 25 წლის ვაჟი **დავით მიქაბერიძე** ახლო კონტაქტშია ბალტიისპირეთში მცხოვრებ მავან სტუდენტთან, რომელიც თავის სამშობლოში „კაგებეს“ ადგილობრივი განყოფილების მიერ ფაშისტური იდეოლოგიით გატაცებაშია შემჩნეული...

**— ფაშისტური იდეოლოგიით გატაცებაში რა იგულისხმებოდა?**

— ჩვენი კოლეგების მონაცემებით, ეს ახალგაზრდები ჰიტლერისა და მესამე რაიხის სხვა ხელმძღვანელთა იდეოლოგიას იზიარებდნენ, მათ დაბადების დღეებს აღნიშნავდნენ, თანაც ერთ-ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში გაქცევის მიზნით სახელმწიფო საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის გეგმებს ადგენდნენ. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ სურათი — ქართველები ბალტიისპირელებთან ერთად ფიურერის დღეობას ზეიმობენ!

ინფორმაციის გადამოწმებისას ვიღებთ აგენტურულ-ოპერატიულ მონაცემებს მასზედ, რომ ბალტიისპირელები ქართველ ყმაწვილს ითრევენ, რათა მათთან ერთად გაიქცეს ზღვით, ბათუმიდან — თურქეთში. ეს იყო „მწვავე სიგნალი“. სასწრაფოდ მოვახსენე საქართველოს უშიშროების თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, რომელიც კურირებდა ჩვენს განყოფილებას. მან განიხილა ინფორმაცია ჩემს წინადადებასთან ერთად — არ აგვეყვანა ყმაწვილი ოპერატიულ დამუშავებაში.

**— რას ნიშნავს „ოპერატიულ დამუშავებაში“ პირის აყვანა?**

— ეს ნიშნავს, რომ მას აიყვანდნენ თვალთვალზე და განზრახვის განხორციელების ფაქტზე დააპატიმრებდნენ, შემდეგ კი გაასამართლებდნენ სამშობლოს ღალატის მუხლით.



**— თქვენი წინადადება რა ალტერნატივას გულისხმობდა?**

— დანაშაულის პრევენციას! შევთავაზე, საქმეში „ინტურისტის“ მაღალ თანამდებობაზე მყოფი მამამისი ჩაგვერთო, რომელიც შვილს ბოროტ განზრახვაზე ხელს აალებინებდა.

— „თანახმა ვარ, გაესაუბრე ყმაწვილის მამას. **რაჟდენ მიქაბერიძეს** პირადად ვიცნობ, არ არის ცუდი კაცი... დაე, მამამ დაარიგოს, შვილი მშობელს უფრო მიენდობა!“ — იყო პასუხი.

ასეც მოვიქეცი. **მიქაბერიძე-უფროსს** დავურეკე და შევუთანხმდი, სასტუმრო „ივერიაში“ ერთად გვესადილა. ერთმანეთს ნოემბრის დღესასწაულების წინ შევხვდით, ჩვენი გაცნობისა ვთქვით და ამის შემდეგ საუბარი მთავარ თემაზე გადავიტანე: **„პატივცემულო რაჟდენ, გთხოვთ, მომისმინოთ და ინფორმაცია ყოველგვარი ზედმეტი ემოციის გარეშე მიიღოთ. თქვენს შვილთან დაკავშირებით უნდა გესაუბროთ...“** ასეთი შესავლის მიუხედავად, მოულოდნელად, სახეაჭარხლებული, ნერვიული ტონით მაწყვეტინებს — **„იმ ბალტიისპირელს დედას ვუტირებ! ჩემს შვილს გონება აუმღვრია! აღარ ვიცი, რა ვქნა, შვილს ვკარგავ. დამეხმარეთ, გთხოვთ! გამოიძახეთ თქვენთან, უშიშროებაში, ესაუბრეთ და შეაშინეთ...“**

ცხადი გახდა, მამამ იცის, რაც შვილის თავს ხდება, მაგრამ მასთან საერთო ენას ვერ პოულობს... ჩემი ვარიანტი შევთავაზე: **„შეეცადეთ, თბილად, მამაშვილურად დაელაპარაკოთ. გონს თავად მოიყვანეთ, ამ საქმეში ჩვენი დახმარება არ გჭირდებათ, ნურც მეტისმეტად შეაშინებთ. როგორც მშობელმა, უთხარით, რომ ბალტიისპირელთან კონტაქტის და მათი განზრახვის შესახებ უკვე იციან, „სადაც საჭიროა“, რომ ამ თემაზე თქვენ უკვე გესაუბრათ უშიშროების თანამშრომელი; მალე სამხატვრო აკადემიას ამთავრებს და, დაე, იცოდეს, რომ, თუ მაინც არ დაიშლის, გაიფუჭებს ბიოგრაფიას. გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს არამხოლოდ საკუთარ მომავალს, არამედ მამის კარიერასაც და მთელ ოჯახს პრობლემებს შეუქმნის!“**

## იგორ გიორგაძე:

## იმ მომენტიდან, რაც „ალფელები“ სალონში შეიჭრნენ, შტურმი, სულ რაღაც, 45–50 წამში დასრულდა!



*თბილისის აეროპორტი, 1983 წლის 18 ნოემბერი*

მიქაბერიძე-უფროსმა გულწრფელი მადლობა გადამიხადა გასაუბრების გამო და ამით დავასრულეთ შეხვედრა. ცხადია, ჩვენი საუბრის შესახებ ინფორმირებული იყვნენ კოლეგები მე-5 განყოფილებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, დაგვპირდნენ, დავით მიქაბერიძისა და მისი გარემოცვის შესახებ საქმის კურსში ვეყოლებოდით.

ჩემი ოპერატიული პრაქტიკიდან ეს ეპიზოდი არის პასუხი მათთვის, ვინც მზერის მრავალმნიშვნელოვნად ზეცისკენ აღპყრობით და ოხვრა-გოდებით ყვება ხოლმე „სისხლიანი „კაგებეს“ სულთამხუთავებზე“. უმანკოები არ გახლდით, მიდგომის მეთოდებიც ერთიმეორისგან განსხვავდებოდა, მაგრამ... სიცრუეა, რასაც ახლა „კაგებეს“ დაუნდობლობაზე როშავენ! არავინ გვისახავდა ამოცანას, ვინმე დაგვეშინებინა, ცხოვრება კოშმარად გვექცია. უმეტეს შემთხვევაში პრობლემის მუხლზე უხეშად გადამსხვრევას კი არა, ადამიანურად მის გადაჭრას ვცდილობდით!

**— როდის და რა ვითარებაში შეიტყვეთ თვითმფრინავის გატაცების შესახებ?**

— გასაუბრების შემდეგ გადის ორი კვირა. 18 ნოემბერს, საღამოს, ჩემს კაბინეტში ოპერატიულ დოკუმენტებს ვახა-

### კვირგვინოსნები

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**როგორ გამოიარა ამხელა წონის ასაფეთქებელმა ნივთიერებამ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საზღვრები?** ნუთუ საქართველოს საზღვრები უფრო დაცულია, ვიდრე **იმ ევროკავშირის,** საითკენაც ასე მივისწრაფვით?

„იმედინიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



თუნდაც ერთი ინიციატივა რომ განეხილა საქართველოს მთავრობას, რასაც პრეზიდენტი მოუწოდებდა, **რა იქნებოდა** დღეს საქართველოში? **იქნებოდა თუ არა** უკრაინიზაცია და **იქნებოდა თუ არა** საქართველო ომში?!

„იმედინიუსი“

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



**უკრაინის მთავრობა დაინტერესებულია საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით,** რადგან „ქართული ოცნება“ არ ემორჩილება **„გლობალური ომის პარტიის“** დირექტივებს.

„იმედინიუსი“

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



მგონია, **„ოცნებამ“ მოშესთან კი არ ჩახსნა ხელშეკრულება, კოლექტიურ ნაცმოძრაობას დაუნიშნა მრჩევლად** — მოქალაქეების ნდობის მოპოვების ნაცვლად, **ჩვენი კვერცხების თავიანთ კალათაში ჩადების მცდელობით არიან დაკავებულები.**

„ინტერპრესნიუსი“

რისხებდი, როდესაც მორიგემ დარეკა: — **„აეროპორტში განსაკუთრებული მდგომარეობაა, თვითმფრინავი გაიტაცეს!“** თეორიულად, შეტყობინება განკუთვნილი გახლდათ ტრანსპორტის მუშაკებისთვის, თუმცა, ჩემთანაც დარეკეს, რადგან სპეციალური გეგმის **„ნაბატის“** („კაგებეს“ დანაყოფების მოქმედების გეგმა თვითმფრინავის გატაცების შემთხვევაში) მიხედვით, მე გახლდით ოპერატიული შტაბის წევრი. გარდა ამისა, თვითმფრინავის გამტაცებლებმა გაიარეს **„ინტურისტის ოთახი“**, რომელიც ჩვენი ოპერატიული მომსახურების ობიექტს წარმოადგენდა.

**„ინტურისტის ოთახით“** მხოლოდ უცხოელები სარგებლობდნენ. იგი აეროპორტში იზოლირებულად მდებარეობდა და შემთხვევით იქ მოხვედრა შეუძლებელი იყო.

და აი, „სისხლიანი ქორწილის“ მონაწილეებმა ისარგებლეს თანამშრომლებთან პირადი კავშირებით, **„ინტურისტის ოთახი“** შემოწმებისა და კონტროლის გარეშე გაიარეს და თვითმფრინავის ბორტზე შეუფერხებლად აიტანეს რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღი და ყუმბარა!

**— ეს როგორ მოახერხეს?**

— გასვლის ორგანიზება სწორედ იმ ყმაწვილმა — **დავით მიქაბერიძემ** მოახდინა, რომელთანაც პროფილაქტიკური სამუშაო მამამისის ეგიდით ჩავატარეთ! იმ დროში აეროპორტებში არ იყო ისეთი მკაცრი რეჟიმი, როგორიც ამჟამად გახლავთ. ამ შემთხვევაში კი, მითუმეტეს, ქორწილია, რომელშიც მაყრად მონაწილეობს თვით „ინტურისტის“ მაღალჩინოსანი თანამშრომლის ვაჟი! ახალშეუღლებულები — **გეგა კობახიძე და თინათინ ფეტვიაშვილი** მაყრიონთან ერთად თვითმფრინავში ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ლამის ხელში აყვანილები შეაბრძანეს; პისტოლეტებითა და ყუმბარებით სავსე ჩანთა კი, ისე რომ, ეჭვადაც არ გაუვლია, რა მიჰქონდა, ბორტზე აიტანა „ინტურისტის“ ოთახის თანამშრომელმა **ანა ვარსიმაშვილმა,** რომელსაც მე პირადად ვიცნობდი, როგორც პატიოსან და წესიერ მუშაკს.

როგორც კი გატაცებული თვითმფრინავის მგზავრების ჩამონათვალში ერთ-ერთის გვარს, **მიქაბერიძეს** მოვკარი ყური, მაშინვე **რაჟდენ მიქაბერიძესთან** ჩემი გასაუბრება გამახსენდა. — **„ყმაწვილს უფრო მკაცრად რომ მოვპყრობოდით, იქნებ ეს დანაშაული არც მომხდარიყო!“** — გავიფიქრე სინანულით. სასწრაფოდ ვურეკავ უშიშროების თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ამ მიმართულებას კურირებს და ვეუბნები: **„ჩვენთვის ცნობილია თვითმფრინავის ერთ-ერთი გამტაცებლის ვინაობა...“**

მოადგილემ საქართველოს



**თინათინ ფეტვიაშვილი და გეგა კობახიძე**

**„მახსოვს, როცა თინათინ ფეტვიაშვილი მოჰყავდათ, ჩემგან ხუთიოდე მეტრში „აეროფლოტის“ ადგილობრივი თანამშრომელი გამოხტა და ქალის ყვირილის მიუხედავად —„არ დამარტყათ, ფეხმძიმედ ვარ“ — მას წიხლი მუცელში ჩააზილა შეძახილით: „შე ნაძირალა, შვილიც შენნაირი მკვლელი იქნება!“ ამ სცენამ სულის სიღრმემდე შემძრა. მომინდა, იმ კაცისთვის სახე დამელეწა, რადგან თუნდაც ყაჩაღი, მაგრამ უკვე გაუვნებელყოფილი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალის ცემა არანაკლებ დანაშაულად მივიჩნიე!“**

უშიშროების თავმჯდომარეს, გენერალ-პოლკოვნიკ **ალექსი ინაურს** უპატაკა, რომელმაც გასცა ბრძანება: **„გიორგაძე — სასწრაფოდ აეროპორტში!“** ეს ლოგიკურია — რადგან საქმის კურსში ვარ, შეიძლება სასარგებლო ვიყო ადგილზე.

**— ამ დროს რა ხდება ბორტზე?**

— გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პილოტის კაბინაში სისხლისგან იცლება აეროფლოტის დაჭრილი თანამშრომელი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ფრენისა და ნავიგაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ზავენ შარბატიანი,** რომელიც ფრენას ინსპექტირებას უწევდა. **შარბატიანის** გარდა, დაჭრილები და, სამწუხაროდ, დაღუპულებიც უკვე არიან მგზავრთა შორის. მოვიდა სტიუარდესას დაღუპვის შესახებ ინფორმაციაც. ხელმძღვანელობას სასწრაფოდ შევთავაზე, უპირველესად, გამტაცებელთა მშობლები ჩაგვერთო საქმეში, რათა მოლაპარაკება მათი საშუალებით გვეწარმოებინა. როგორც კი **ინაურისგან** თანხმობა მივიღე, პირველ რიგში, **მიქაბერიძის** ბინაში დავრეკე და დედამისს ვუთხარი, სასწრაფოდ აეროპორტში გამოცხადებულიყო, რაც მისი შვილის და მთელი მისი ოჯახის ინტერესში იყო. ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ **დავით მიქაბერიძე** იმ დროისთვის აღარ იყო ცოცხალი — მან ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა, როგორც კი შეიტყო, რომ თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ჯდებოდა.

**— მოსკოვი რა მომენტიდან ერთვება მოვლენებში?**

— თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით უშიშროების ხელმძღვანელობის ხაზით, სასწრაფო წესით მოახსენეს მოსკოვს. **ვიდრე ჩვენ პირველად მონაცემებს ვკრებდით, მოსკოვიდან ТУ-134-ით გამოფრინდა სპეცრაზმი „ალფა“ პოლკოვნიკ გენადი ნიკოლოზის ძე ზაიცევის ხელმძღვანელობით.** ზაიცევს არ ვიცნობდი, თუმცა, მასზე ბევრი მსმენოდა. სამაგიეროდ, „ალფას“ ზოგიერთ მებრძოლს ავღანეთის ომიდან ვიცნობდი, მაგრამ ამ შემთხვევამდე ერთობლივად არსად გვიმოქმედია. ისე მოხდა, რომ თავიდანვე მოვლენათა ცენტრში აღმოვჩნდი. ჯგუფ „ალფასთან“ ერთად თბილისში ჩამოფრინდა საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ პეტრეს ძე პიროჟკოვიც.**

საქართველოს უშიშროების თავმჯდომარე **ალექსი ინაური** და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ შევარდნაძე** პიროჟკოვთან ერთად განთავსდნენ აეროპორტის VIP ზონაში, რომელიც მძევალთა გათავისუფლების შტაბად იქცა.

მაშინდელ აეროპორტში დეპუტატების დარბაზი, ინტურისტების დარბაზი და VIP ზონა, საიდანაც მიფრინავდნენ და სადაც ჩამოდიოდნენ პირველი პირები — განცალკევებით მდებარეობდა თბილისის აეროპორტის ცენტრალური დარბაზისგან, რომლითაც უბრალო საბჭოთა მოქალაქეები სარგებლობდნენ.

სწორედ ეს VIP ზონა ხალხით გადაივსო. **იქ შეიკრიბნენ თბილისის რაიკომების პირველი მდივნები, რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეები, ასევე თბილისის მილიციის საქალაქო განყოფილებათა უფროსები და პროკურორები, სხვადასხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომელთაც იქ არაფერი ესაქმებოდათ.** არც იყო გასაკვირი: თვითმფრინავის გატაცების შესახებ საშინელი ამბავი ხომ მყისიერად გავრცელდა არამარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში!

**— გადაწყვეტილებებს რუსები იღებდნენ?**

— იმის მიუხედავად, რომ **პიროჟკოვი** თანამდებობრივად აღემატებოდა, გადაწყვეტილების მიმღები უფროსი ოპერატიული მეთაური მაინც **ალექსი ინაური** იყო. რაც შეეხება **შევარდნაძეს,** იმით დამამახსოვრდა, რომ მთელი ოპერაციის განმავლობაში იჯდა ჩუმად, მუხლებშუა ხელებჩაწყობილი წინ და უკან ირწეოდა, რითიც კიევის „დინამოს“ მწვრთნელს **ვალერი ლობანოვსკის** მაგონებდა. როგორც დრომ აჩვენა, თავისი თანამდებობის გამო განიცდიდა, ვინაიდან მსოფლიო მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევა მოხდა რესპუბლიკაში, რომელზეც ის გახლდათ პასუხისმგებელი... საქართველოს სსრ-ის უშიშროების თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ გიორგის ძე კაზმინი** უშუა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**„ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე უკიდურესობაში გადაიჭრა, როდესაც დაკავებული ტერორისტების მიმართ სიბრალულის გამოვლენას არ დასჯერდა და მკვლელების გამართლება იწყო!“**



**ახმათგერ გარდაფხაძე, სტანისლავ გავარიევი და ვლადიმერ გასოიანი**

## კვირბვინოსნები



**ირაკლი ქარსელაძე**
*რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი*

2024 წელს **მოძრაობა გაიხსნება აღმოსავლეთ-დასავლეთისა და კახეთის მაგისტრალის 90 კმ მაგისტრალურ გზაზე — თბილისი-ბათუმის მიმართულებით მგზავრობას 3-3.5 საათი დასჭირდება,** თითქმის განახევრდება კახეთისკენ გადაადგილების დროც.

„ინტერპრესნიუსი“



**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ წევრი, პარლამენტარი*

სამთავრობო პროგრამაში **ძალიან ბევრი რამ სასაცილოა,** ყოველ მე-8 გვერდზე ახალ-ახალ, საოცარ ჰაბებს ქმნით — კომიკურია, **11 წელია, სამტრედია-გრიგოლეთის გზა ვერ აგიშენებიათ და დიდუბეში ასფალტი ვერ დაგიგიათ.**

„ინტერპრესნიუსი“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*

**ოპოზიცია არ ჰყავს დღეს საქართველოს.**

„რეზონანსი“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*

**ივანიშვილის** ღიად დაბრუნება კარგია. **ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.**

„ახალი თაობა“



**გედევან ფოფხაძე**
*პოლიტიკოსი*

**ივანიშვილი** არ უნდა დაბრუნებულიყო, **იქ უნდა დარჩენილიყო, სადაც იყო.**

„რეზონანსი“

# პირველად ქართულ პრესაში:

## საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ექსმინისტრი 1983 წელს თბილისში თვითმფრინავის გამტაცებელთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის გაუხმაურებელ დეტალებზე საუბრობს!

*დასაწყისი მე-7 გვერდზე*

ლოდ გატაცებული თვითმფრინავის მახლობლად გაჩერებულ ოპერატიულ მანქანაში აგროვებდა ინფორმაციას. შექმნილი მდგომარეობის შესახებ რაციით მატყობინებდა, მე კი ამ ინფორმაციას გადავცემდი ოპერატიულ შტაბს, რომელსაც **ალექსი ინაური** ხელმძღვანელობდა. შენობისგან განსხვავებით, ქუჩაში რაცია უკეთ მუშაობდა, ამიტომ ქუჩასა და VIP დარბაზს შორის სირბილი მიწევდა, რათა შტაბისთვის უახლესი ინფორმაცია მომეხსენებინა.

**ინაური** ჩვეულებისამებრ, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ანაზდად მეუბნება: **„გიორგაძე! აქედან გაყარე ყველა, ვინც ზედმეტია!“** საქართველოს უშიშროების თავმჯდომარის ნებართვით აღჭურვილმა, მბრძანებლური ხმით დავუარე მთელ VIP ზონას: **„ყურადღება! საქართველოს უშიშროების თავმჯდომარის ინაურის ბრძანება: სასწრაფოდ გაათავისუფლეთ შენობა. ხელს უშლით შტაბს მუშაობაში!“** მართლაც დარბაზი უმალ დაიცალა.

უნდა აღვნიშნო, **პიროჟკოვი** ღრმა პატივისცემით იყო განწყობილი **ალექსი ინაურის** მიმართ, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ ოპერაციას, ფაქტობრივად, თავად ხელმძღვანელობდა, ყველა გადაწყვეტილებას ტაქტის დაცვით, მაინც **პიროჟკოვთან** ათანხმებდა.

**— დაჭრილების დასახმარებლად რა იღონეთ?**

— ტერორისტებმა უარი გვითხრეს დაჭრილი **შარბატიანის** გადმოცემაზე. თვითმფრინავში მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზეც არ დაგვთანხმდნენ. თავის მხრივ, ისინი ჩვენგან ითხოვდნენ წყალს, ნარკოტიკებს, მედიკამენტებს და ჭრილობების გადასახვევ დოლბანდს — დაჭრილები ხომ გამტაცებელთა შორისაც იყვნენ. ჩვენმა „ოტოშნიკებმა“ (ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილება) ამით ისარგებლეს. OTO-ს გამოცდილ თანამშრომელს **ფიოდორ იაკჯიანს** რამდენიმე წუთი ეყო, რათა მედიკამენტების ზუსტად იმგვარ ჩანთაში, როგორითაც სასწრაფო დახმარების ბრიგადები სარგებლობენ, მოსასმენი მოწყობილობა ჩაემონტაჟებინა. ეს გახლდათ ფილიგრანული ნამუშევარი! როგორც კი ჩანთა ბორტზე აიტანეს, იმ წუთიდან უკვე ყველაფერი გვესმოდა, რაც გატაცებულ თვითმფრინავში ხდებოდა. ეს ძალიან დაეხმარა შტაბის ხელმძღვანელობას და „ალფასაც“ შემდგომში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

**— გამტაცებლები რა პირობებს აყენებდნენ?**

— ტერორისტები აფრენის საშუალებას მოითხოვდნენ, ჩვენ ვუხსნიდით, რომ დაზიანებების გამო თვითმფრინავი აფრენას ვერ შეძლებდა, რადგან ბორტის ჰერმეტულობა დაცული აღარ იყო. სხვათაშორის, ეს განმარტება სრული ჭეშმარიტება გახლდათ. ამის შემდეგ გამტაცებლებმა ახალი ბორტი მოითხოვეს. ოპერატიულმა შტაბმა უპასუხა — ჩვენ ვამზადებთ, ახალი თვითმფრინავი გექნებათ, ოღონდ დროა საჭირო.

მოლაპარაკების პროცესი გაიწელა. შტაბი გამუდმებით მოითხოვდა ტერორისტებისგან ნებართვას პილოტების კაბინიდან სისხლისგან დაცლილი **შარბატიანის** გამოსაყვანად. შევთავაზეთ, რომ მომაკვდავი ადამიანის ევაკუაციის მიზნით ტერორისტების კონტროლით მედპერსონალის წარმომადგენლები შესულიყვნენ პილოტების კაბინაში.

მხოლოდ ერთი ადამიანის შეშვებაზე დაგვთანხმდნენ. თანაც იმ პირობით, რომ კაბინაში შემსვლელი ტრუსების ამარა უნდა გამოცხადებულიყო, რათა იარაღის შეტანა გამოერიცხათ; თანაც აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. შტაბში ეს წინადადება ყურადღებით განვიხილეთ. მართალია, ერთი ადამიანი ვერანაირად ვერ შეძლებდა დაჭრილი კაცის კაბინიდან წამოყვანას, მაგრამ მაინც გვიღირდა თვითმფრინავში შეგზავნა. ჯერ ერთი, შანსი ჩნდებოდა, უშუალო საუბარში ტერორისტებისთვის შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებოდათ; ესეც რომ არა, გარემოების თვითმხილველი უდავოდ ხელს შეგვიწყობდა სწორი სამოქმედო პროგრამის განსაზღვრაში!

„ალფაში“ ქართველი არავინ იყო. მომენტალურად გავიაზრე, რომ ტერორისტების მოთხოვნებს ყველაზე უკეთ ჩემი კანდიდატურა შეესაბამებოდა და **ზენადი ზაიცევს** მივმართე: **„ზენადი ნიკოლოზის ძევ, ღმერთის ნებაა, რომ მე ავიდე თვითმფრინავში. ნებართვას ვთხოვ უშიშროების თავმჯდომარეს (ინაურს), თქვენ კი, თუ შეიძლება, მხარი დამიჭირეთ!“**

ალექსი ინაურმა მყისიერად აწონ-დაწონა სიტუაცია. ჯერ ზაიცევს შეხედა, მერე მე გადმომხედა და დინჯად ჩაილაპარაკა: **„ერთი ადამიანი შარბატიანის გამოყვანას ვერ შეძლებს. ტერორისტები კი ყველაფერზე წამსვლელები არიან! შესაძლოა, გიორგაძეც მძევლად დაიტოვონ, რათა მერე მისი სიცოცხლით გვევაჭრონ. რისკი დიდია, მოკლან კიდეც! იგორ გიორგაძე ჩემი ოპერატიული მუშაკია, რომელმაც ავღანეთის ომი მოიარა, ომში სიკვდილს გადაურჩა და ახლა მე მის სიცოცხლეს რისკის ქვეშ არ დავაყენებ!“**

თვითმფრინავში ასასვლელად შტაბმა აეროპორტის თანამშრომელი, სამოქალაქო პირი შეარჩია, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მან ტერორისტების დარწმუნება ვერ შეძლო და თვითმფრინავში არ შეუშვეს. სამწუხაროდ, ამასობაში **ზავენ შარბატიანი** სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა.

**— აეროპორტში გამოძახებულმა მშობლებმა რა შედეგს მიაღწიეს?**

— ეს მეთოდიც ამაო გამოდ-



***იგორ გიორგაძე:***

### ტერორისტებმა უარი გვითხრეს დაჭრილი შარბატიანის გადმოცემაზე, თვითმფრინავში მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზეც არ დაგვთანხმდნენ!



ანზორ ქედია, ვალენტინა კრუტიკოვა, ზავენ შარბატიანი

## კვირგვინოსნები

**მირიან ყარაულაშვილი**
*ექსპერტი*



**ხელისუფლებას მივმართავ და კატეგორიულად მოვითხოვ:** აღსრულდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და **სააკაშვილის პრივილეგირებულ პატიმრობას წერტილი დაესვას.** პატიმარმა სასჯელი ციხეში უნდა მოიხადოს და არა „ვივამედის“ ლუქსში.

„საერთო გაზეთი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ყველაზე მეტად იმ ხალხის არ მესმის, ვინც ამბობს — **პრეზიდენტი იყო და, ალბათ, რაღაცას დააშავებდაო,** მე არ დამიშავებია არაფერი, რაშიც მადანაშაულებენ.

„პირველი არხი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**დიდი ერთობისთვის** მნიშვნელოვანია, **პრეზიდენტმა იფიქროს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაზე.**

„რეზონანსი“

**თინა ბოკუჩავა**
*ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ჩვენთვის ყველაზე პრინციპული საკითხია **მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ტყვეობის საკითხი,** ეს არის ისტორიული უსამართლობა, რომლის დასრულებაც **ზურაბიშვილს** შეუძლია.

„პირველი არხი“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



მაქვს ინფორმაცია, **სააკაშვილმა** უთხრა **ზურაბიშვილს** — **„იქნებ რამენაირად გადმოვიტანოთ პროცესები რუსთაველზეო“,** მაგრამ სალომემ უთხრა — **„არ შემიძლია ორბელიანიდან ლეიბზე გადმოსვლაო“.** სააკაშვილს გამჩენი არ ასვენებს.

„ინტერპრესნიუსი“

გა. ტერორისტებმა არ მოისურვეს მათთვის მოსმენა და რადიოთი შემოთვალეს, რომ, თუკი მშობლები სროლის მანძილზე მოუახლოვდებოდნენ თვითმფრინავს, ისინი ბორტზე მყოფ მძევლებს დახოცავდნენ, ხოლო ხომალდს ააფეთქებდნენ. არ არის გამორიცხული, ტერორისტებს შეეშინდათ, რომ ძალოვნები მათ მშობლებს ფარად აიფარებდნენ.

**— ნუთუ გამტაცებლებს სჯეროდათ, რომ ხელახლა აფრენის და საბჭოთა კავშირის საზღვრის გადალახვის საშუალება მიეცემოდათ?**

— როგორც შემდეგ გაირკვა, თვითმფრინავის გატაცებამდე **„სისხლიანი ქორწილის“** მონაწილეებმა ასეთი ოპერაციების შესახებ რამდენიმე ამერიკული კინოფილმი ნახეს. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ თავიანთი კავშირების გამოყენებით ნახეს აეროპორტის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სასწავლო ფილმიც, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ როგორ უნდა ემოქმედა პერსონალს ბორტის გატაცების ან გატაცების საფრთხის გამოვლენის შემთხვევაში. სერიოზულად ემზადებოდნენ. სროლაშიც ვარჯიშობდნენ ტირში, რომელიც ერთ-ერთი ტერორისტის სახლის სარდაფში მდებარეობდა. ასე რომ, გამტაცებლები საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ანტიტერორისტული ჯგუფების მოქმედების მექანიზმებში, რაც შესაბამის სიტუაციაში უნდა ამუშავებულიყო. სალონში გამოკეტილები ჭკუიდან ამიტომ გადადიოდნენ, რომ ხვდებოდნენ: დრო გადის? ე.ი. რაღაც სამზადისია!

ამასობაში 40 წლამდე ასაკის ერთ-ერთმა მძევალმა თვითმფრინავიდან გადმოხტომა მოახერხა. შოკში მყოფი სასწრაფოდ შტაბში გავაქანეთ! შტაბში იმ მომენტში ვიმყოფებოდით **შევარდნაძე, პიროჟკოვი, ინაური, ზაიცევი და მე.** ინაურმა მთხოვა, გამოქცეულისთვის კონიაკი დამესხა. საბრალომ, მოზრდილი ჭიქა ერთ მოყუდებაზე გაანახევრა და როგორც კი სული მოითქვა, მოყოლას შეუდგა. თანდათან სურათი გამოიკვეთა: შევიტყვეთ, რომ მგზავრთა შორისაც არიან დაჭრილები და მოკლულები, მაგრამ გამტაცებელთა შორის სერიოზულად არის დაჭრილი **ივერიელი** — ძმათაგან ერთ-ერთი. გავარკვიეთ, გამტაცებელთაგან სალონში ვინ რომელ ადგილზე იმყოფება და როგორ იქცევიან. მას შემდეგ, რაც შტაბმა საკმარისი ინფორმაცია შეკრიბა, **„ალფას“ მეთაურმა გენადი ზაიცევმა** პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და შტაბის ხელმძღვანელობას იერიშის ნებართვა სთხოვა. შტაბი დაარწმუნა, რომ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელი იყო სხვა გამოსავლის მონახვა. შტაბმა **ზაიცევის** წინადადება მიიღო.

**— რამდენ ხანს გაგრძელდა იერიში?**



მამა თეოდორე ჩიხლაძე

# „რა მოიმოქმედა შევარდნაძემ?

**მან თავიდანვე განაცხადა, რომ დაკავებულებს დახვრეტდნენ! არადა, მათ შორის იყო მღვდელმონაზონი თეოდორე ჩიხლაძე, რომელსაც, მართალია, გამოძიების ვერსიის მიხედვით სისხლიანი დანაშაულის იდეოლოგობა და თითქმის ორგანიზატორობა ბრალდებოდა, თუმცა, დანაშაულის ადგილზე არ ყოფილა, არც არავინ მოუკლავს და არც მძევლად აუყვანია!“**



— შეგახსენებთ, თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში **18 ნოემბრის საღამოს** დაეშვა, ხოლო ოპერაცია **19 ნოემბერს დილის 7 საათზე** დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში მოხერხდა ტერორისტების მოქანცვა, მათი ყურადღების და სიფხიზლის მოდუნება, რამაც შტურმის ჩატარების გადაწყვეტილების სასარგებლოდ იმუშავა.

თვალს პირადად ვადევნებდი, როგორი პროფესიონალიზმით მოემზადა და შეუდგა იერიშს **„ალფა“.** ამას ვერც ერთ ფილმში ან საწვრთნელ მეცადინეობაზე ვერ ნახავთ! **იმ მომენტიდან, რაც „ალფელები“ სალონში შეიჭრნენ, შტურმი, სულ რაღაც, 45-50 წამში დასრულდა!**

როდესაც სალონიდან ტერორისტების გაყვანა დაიწყეს, აეროპორტის თანამშრომლების და აეროპორტში მისული რიგითი მოქალაქეების საერთო აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მახსოვს, როცა **თინათინ ფეტვიაშვილი** მოჰყავდათ, ჩემგან ხუთიოდე მეტრში „აეროფლოტის“ ადგილობრივი თანამშრომელი გამოხტა და ქალის ყვირილის მიუხედავად — **„არ დამარტყათ, ფეხმძიმედ ვარ“** — მას წიხლი მუცელში ჩააზილა შეძახილით: **„შე ნაძირალა, შვილიც შენნაირი მკვლელი იქნება!“** ამ სცენამ სულის სიღრმემდე შემძრა. მომინდა, იმ კაცისთვის სახე დამელეწა, რადგან თუნდაც ყაჩაღი, მაგრამ უკვე გაუვნებელყოფილი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალის ცემა არანაკლებ დანაშაულად მივიჩნიე! სხვათაშორის, დაჯგუფება „ალფას“ თითოეული წევრი და ყველა ძალოვანი დაკავებულებთან კორექტულად და ღირსეულად იქცეოდა!

მთელი საქართველოსთვის ეს გატაცება შოკი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დასავლეთმა ბათუმიდან თვითმფრინავის გამტაცებელ და ბორტგამცილებელ გოგონას **ნადია კურჩენკოს** მხეცურად მკვლელ ტერორისტ მამა-შვილს — **პრანას და ალგირდას ბრაზინსკასებს** 1970 წელს პოლიტიკური თავშესაფარი უბოძა! და აი, მორიგი სიმხეცე ისევ საქართველოში! კვლავ სისხლისღვრა და უდანაშაულო ადამიანების ხანგრძლივად წამება...

ამჯერად თვითმფრინავის წარუმატებელი გატაცების შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა: ორი პილოტი და ბორტგამცილებელი, ორი მგზავრი და ორი ტერორისტი. დაშავდა ათი მგზავრი და ეკიპაჟის წევრი, ასევე ორი ტერორისტი. სერიოზული დაზიანებების შედეგად **ნავიგატორი პლოტკო და ბორტგამცილებელი ირინა ხიმიჩი** ინვალიდად იქცნენ.

ბორტის მეთაურს **ახმათგერ გარდაფხაძეს** და შტურმან **ვლადიმერ გასოიანს** საბჭოთა კავშირის გმირების წოდება მიენიჭათ. ეკიპაჟის დარჩენილი წევრები დაჯილდოვდნენ სახელმწიფო ჯილდოებით.

**— გავრცელდა ხმები, რომ დაზარალებულთა ნაწილი გამტაცებლებს კი არა, სპეცრაზმელებს ემსხვერპლა...**

— ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ შტურმის დროს **სპეცრაზმ „ალფას“** წევრებისგან არცერთი მგზავრი და არცერთი ტერორისტი არ დაზარალებულა! „ალფამ“ გამოიყენა ე.წ. გამაოგნებელი ყუმბარები (Свето-шумовые гранаты) და კაპრონის ტყვიები. ყუმბარა გამოყენებისას ტენისის ბურთივით „დახტის“, აფრქვევს

გაგრძელება მე-12 გვერდზე



დათო მიქაბერიძე, კახა ივერიელი, პაატა ივერიელი, გია ტაბიძე, სოსო წერეთელი

## „ვინც პილოტს, სტიუარდესას, მგზავრებს ესროლა, ულაპარაკოდ უმაღლეს სასჯელს იმსახურებდნენ! მაგრამ დანარჩენებისთვის დახვრეტა არ უნდა მიესაჯათ!“

### კვირგვინოსნები

**ნიკა მელია**

*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



**ვაწარმოებ ორ პარტიასთან მოლაპარაკებას,** რომელიც 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს, მაგრამ **საარჩევნო ნომრით დაგვეხმარება** — ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან **ერთ საარჩევნო სუბიექტად გადაქცევაზე არ ვსაუბრობთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**

*ანალიტიკოსი*



თუკი **ნიკანორ მელია და ნიკა გვარამია** ვინმეს წაართმევენ ელექტორატს, ეს **მხოლოდ ნაცმოძრაობა** იქნება.

„საერთო გაზეთი“

**დათო ლორთქიფანიძე**

*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცმოძრაობის გამოსწორების 1 პროცენტიც არ არსებობს. **მათ კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.** „ქართული ოცნების“ შეცდომაა, რომ **ყველაფერს დროულად არ დავარქვით თავისი სახელი.**

„ახალი თაობა“

**გიორგი (გოგა) ონიანი**

*თბილისის საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან*



**მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო** ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პარტიის — **ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რიგები.**

„ახალი თაობა“

**დავით ბერძენიშვილი**

*რესპუბლიკური პარტიის წევრი*



ყველა ის პარტია, რომელიც **არჩევნების შემდეგ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში შევა,** გაკოტრდება.

„ახალი თაობა“

# პირველად ქართულ პრესაში:

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ექსმინისტრი 1983 წელს თბილისში თვითმფრინავის გამტაცებელთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის გაუხმაურებელ დეტალებზე საუბრობს!**

## იგორ გიორგაძე:

## მკაფიო ბოროტების ზნეკეთილ საქციელად შერაცხვამ საქართველოს მხოლოდ ნგრევა და ცრემლი მოუტანა!



*დასაწყისი მე-7 გვერდზე*

სპეციალური შემადგენლობის ნაპერწკლებს, რომლებიც ცეცხლში კი არა, ცივ, მკვეთრ ნათებაში „იწვიან“. გარდა შოკში ჩაგდებისა, ასეთი ყუმბარა ადამიანის სხეულს არანაირ ფიზიკურ ზიანს არ აყენებს. გაოგნების ხარისხის გაძლიერების მიზნით სპეციალურად დამუშავებული ტაქტიკით, მოკლე ჯერებით ისვრიან ავტომატს, ოღონდ ნამდვილის ნაცვლად, კაპრონის ტყვიებს, რაც ასევე მხოლოდ შიშის აღძვრაზეა გათვლილი. ამ დროს ადამიანი გადარჩენის ინსტინქტით ვარდება ძირს, თუმცა, ასეთი ტყვია მოხვედრის შემთხვევაშიც კი, სასიკვდილო ზიანს არ აყენებს, მხოლოდ დროებით, 3-4 წამით წყობიდან გამოყვანაზეა გათვლილი. ადამიანი ამ დროს ვერ იღებს სწორ გადაწყვეტილებას, ეუფლება მზარდი შიში და წინააღმდეგობის გაწევის უნარს კარგავს. ამასობაში სპეცრაზმი სივრცეში იჭრება და ახერხებს დამნაშავეთა დაკავებას.

„ალფელებმა“ ბრწყინვალედ ჩაატარეს თვითმფრინავის შტურმი, გადაარჩინეს მგზავრები და თავადაც დანაკარგის გარეშე დაუბრუნდნენ ოჯახებს. ტერორისტებმა ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოასწრეს, მხოლოდ ერთი გამტაცებლის ნასროლმა ტყვიამ მიაღწია მიზანს, რაც სპეცრაზმელის ჩაფხუტის ტყვიაგაუმტარი მინის საფარმა აისხლიტა და, საბედნიეროდ, „ალფელი“ უვნებლად გადარჩა.

**— თქვენი პოზიცია როგორი იყო? გამტაცებელთა მიმართ როგორ სასჯელს მიიჩნევდით სამართლიანად?**

— ეროვნული ინტელიგენციის ნაწილი თავიდანვე შეუდგა მომავალი განაჩენის შემსუბუქების მიზნით ზრუნვას. რა თქმა უნდა, **„სისხლიანი ქორწილის“** მონაწილეები, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანების დაღუპვა განაპირობეს, ყველაზე მკაცრ სასჯელს იმსახურებდნენ, მაგრამ რა მოიმოქმედა **შევარდნაძემ?** მან თავიდანვე განაცხადა, რომ დაკავებულებს დახვრეტდნენ! არადა, მათ შორის იყო **მღვდელმონაზონი თეოდორე ჩიხლაძე,** რომელსაც, მართალია, გამოძიების ვერსიის მიხედვით სისხლიანი დანაშაულის იდეოლოგობა და თითქმის ორგანიზატორობა ბრალდებოდა, თუმცა, დანაშაულის ადგილზე არ ყოფილა, არც არავინ მოუკლავს და არც მძევლად აუყვანია! **ჩემი პოზიცია, რომელსაც დღემდე ვიზიარებ, ასეთი გახლდათ: ვინც პილოტს, სტიუარდესას, მგზავრებს ესროლა, ულაპარაკოდ უმაღლეს სასჯელს იმსახურებდნენ! მაგრამ დანარჩენებისთვის დახვრეტა არ უნდა მიესაჯათ!** დაე, განესაზღვრათ ყველაზე ხანგრძლივი სასჯელი, რაც იმჟამად 15 წელს შეადგენდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაესაჯათ სიკვდილით!

**იმ მიზნით, რომ მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე თავისი ერთგულება „დაემტკიცებინა“, შევარდნაძემ მითითება მისცა, თინათინ ფეტვიაშვილის გარდა ყველა დაეხვრიტათ!**

დიახ, ასე მოიქცა რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე ოთხმოცდაათიანებში ღია ტექსტით მეტყოდა: **„ჩვენ გორბაჩოვთან ერთად ვგეგმავდით საბჭოთა კავშირის დემონტაჟს თორმეტ წელიწადში, მაგრამ ქვეყანა ექვს წელიწადში ჩამოიშალა...“** — მაინც დაახვრეტინა! იმავდროულად, შევარდნაძე ხალხს არწმუნებდა, თითქოს სასჯელის უკიდურეს ზომას მოსკოვიდან მოითხოვდნენ. **დღევანდელი გადმოსახედიდან ნათლად ჩანს, რომ მიზნად ჰქონდა, ხალხის უკმაყოფილების ტალღა აერიდებინა და მოსკოვისკენ მიეშვა!**

**— ეროვნულ ინტელიგენციას რაში ამტყუნებთ?**

— ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე უკიდურესობაში გადაიჭრა, როდესაც დაკავებული ტერორისტების მიმართ სიბრალულის გამოვლენას არ დასჯერდა და მკვლელების გამართლება იწყო! შემდეგ კი ტერორისტებისგან „თავისუფლების მედროშეების“ და გმირების ნიმუშებიც კი შექმნეს!

**ვფიქრობ, სწორედ მაშინ, ამ უსამართლობის დანერგვით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების გაუკუღმართებას, რამაც მომავალში განაპირობა კატასტროფები – თბილისის სისხლისღვრა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ომები, შემდეგ კი რუსეთთან ხანგრძლივი დაპირისპირება.**

დიახ, მკაფიო ბოროტების ზნეკეთილ საქციელად შერაცხვამ საქართველოს მხოლოდ ნგრევა და ცრემლი მოუტანა!

**— დღეს ვის ინტერესშია თვითმფრინავის გამტაცებელთა გმირებად შერაცხვა?**

— გმირი — საზოგადოების მისაბაძი პერსონა და ზნეობრივი სიმბოლოა. შეუძლებელია, ის საზოგადოება ჩაითვალოს ზნეობრივად, რომელსაც სიმბოლოდ მოძალადე და სოციოპათი ეყოლება. თვითმფრინავის გამტაცებლები ისეთი ოჯახების შვილები იყვნენ, რომელთაც საბჭოთა წყობის ყველა სიამეზე ხელი მიუწვდებოდათ. მათთვის ყველა კარი ხსნილი იყო და თუკი სძულდათ ქვეყანა, რომელშიც ცხოვრობდნენ, მშობლებს შეეძლოთ, ტურისტული საგზურებით ჩასულიყვნენ და დარჩენილიყვნენ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ისურვებდნენ!



მამა-შვილი ბრაზინსკასები

როცა სასამართლოზე ეს კითხვა დაისვა, პასუხი იყო საზარელი — **რომ მათ სჭირდებოდათ იმ სამყაროში სტატუსის მოპოვება, რომელმაც ფართოდ გაუხსნა კარი და გმირებად შერაცხა ბათუმიდან 1970 წელს თვითმფრინავის გამტაცებელი მამა-შვილი ბრაზინსკასები; სამყაროში, სადაც დასამკვიდრებელი სტატუსი 19 წლის სტიუარდესას ნადია კურჩენკოს მკვლელობის ფასად მოიპოვეს.**



ნადია კურჩენკო

**„როცა სასამართლოზე ეს კითხვა დაისვა, პასუხი იყო საზარელი – რომ მათ სჭირდებოდათ იმ სამყაროში სტატუსის მოპოვება, რომელმაც ფართოდ გაუხსნა კარი და გმირებად შერაცხა ბათუმიდან 1970 წელს თვითმფრინავის გამტაცებელი მამა-შვილი ბრაზინსკასები; სამყაროში, სადაც დასამკვიდრებელი სტატუსი 19 წლის სტიუარდესას ნადია კურჩენკოს მკვლელობის ფასად მოიპოვეს!“**

გმირები ასე არ იქცევიან. გმირები პირიქით, უსამართლო მოძალადეებისგან იცავენ საზოგადოებას! ხოლო, თუ საზოგადოებას გმირად მოძალადე ჰყავს, უკვე თავად საზოგადოება ხდება ამორალური! დიახ, ისეთ საზოგადოებაში, რომელიც **თეონა ჭედიას** შრომისმოყვარე, პატიოსანი მამის მკვლელებს გმირებად მიიჩნევს, წესიერ ადამიანს არასოდეს ექნება გასაქანი! **ან თეონა ჭედიას მამა უნდა იყოს გმირი, ან მისი მკვლელები — ერთ საზოგადოებაში მათ არ ეცხოვრებათ!**

მჯერა, ღვთით განსაზღვრულ ზნეობაზე ორიენტირებული ქართველი ერი მოვლენებს ღირსეულად გადააფასებს და როგორც ეკადრება, ძველებურად ჭეშმარიტ გმირებზე მოახდენს სწორებას!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

# გენერალისიმუსი

№9-10 (245-246) ★ 2024 წლის 12 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან




ამერიკელმა ჟურნალისტმა, ტელეარხ **„ფოქს ნიუსის“** ყოფილმა წამყვანმა **ტაკერ კარლსონმა** ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** და მსოფლიოში პირველმა შეძლო, აელაპარაკებინა იგი უკრაინაში დაწყებული სპეცოპერაციის შემდეგ. ამერიკელი რეპორტიორის თქმით, მის სამშობლოში წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, თუ რა ხდება რუსეთსა და უკრაინაში, რადგან **უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის** უამრავ ინტერვიუში ის მიზანმიმართული პროპაგანდისტული ხაზი დომინირებს, რომელსაც მხოლოდ ადამიანების სიკვდილი მოაქვს. ამასთან, არცერთ დასავლელ ჟურნალისტს არ უცდია, ინტერვიუ უშუალოდ პუტინისაგან აეღო, რომელიც უკრაინაში არსებული კონფლიქტის უშუალო ფიგურანტია.

**ტაკერ კარლსონის** საუბარი რუსეთის ლიდერთან ინტერნეტის ქსელში **2024 წლის 9 თებერვალს, მოსკოვის დროით 02:00 საათზე,** გამოჩნდა. მისი სრული ვერსია გამოქვეყნდა **კრემლის საიტზე** და ვიდეოფორმატში **126 წუთს** გრძელდება. **ვლადიმერ პუტინმა** უპასუხა **ტაკერ კარლსონის** დაახლოებით 60 შეკითხვას. მისივე ცნობით, პუტინთან დაუმონტაჟებელ საუბარს გამოაქვეყნებს საკუთარ საიტზე და პარალელურად შეთანხმებულია X-ის (ყოფილი „ტვიტერის“) მფლობელ **ილონ მასკთან,** რათა არ დაბლოკოს აღნიშნული ინტერვიუ სოცქსელებში.

**ტაკერ კარლსონი** 54 წლისაა და ითვლება აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟურნალისტად თავისი კონსერვატიული შეხედულებებით. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის **დიმიტრი პესკოვის** განცხადებით, აღნიშნული ინტერვიუ არის საუკეთესო საშუალება, რათა სახელმწიფო მეთაურმა ხმა მიაწვდინოს დასავლეთს, სადაც მასობრივი ინფორმაციის ყველაზე მსხვილ საშუალებებს ანგლოსაქსები აკონტროლებენ.

თავის მხრივ, დასავლური პროპაგანდის გიგანტები ერთგვარი დანანებით აღნიშნავენ, რომ **კარლსონმა** შესაძლებლობა მისცა **ვლადიმერ პუტინს,** პირდაპირ ეთერში გასაუბრებოდა ამერიკელებს სწორედ იმ დროს, როდესაც აშშ-ის სენატში ჩიხშია შესული უკრაინისათვის დამატებით მრავალმილიარდიანი დახმარების გამოყოფის საკითხი, ხოლო რუსეთის არმია სულ უფრო და უფრო წინ მიიწევს უკრაინის ფრონტზე, სადაც საბრძოლო მასალის არნახული დეფიციტია.

**ტაკერ კარლსონი: — ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა! 2022 წლის 24 თებერვალს, როდესაც უკრაინაში კონფლიქტი დაიწყო, თქვენ მიმართეთ საკუთარ ქვეყანას და ხალხს. თქვით, რომ გამოიტანეთ დასკვნა და მოქმედებთ, რადგან არსებობს შესაძლებლობა, ნატოს დახმარებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსწრაფლ დაიწყოს შეტევა, თავდასხმა თქვენს ქვეყანაზე. ამერიკელებისათვის ეს პარანოიის მსგავსი რამ არის. რატომ თვლით, რომ ამერიკამ შეიძლება მოულოდნელად დაარტყას რუსეთს? როგორ მიხვედით ასეთ დასკვნამდე?**

**ვლადიმერ პუტინი:** — საქმე იმაში როდია, რომ ამერიკა აპირებდა, მიეყენებინა მოულოდნელი დარტყმა რუსეთისათვის. მე ასე არ მითქვამს. მე და თქვენ თოქ-შოუს ვმართავთ თუ სერიოზულ საუბარს ვაპირებთ?

**კარლსონი: — შესანიშნავი ციტატაა. გმადლობთ. ჩვენ სერიოზული საუბარი გვაქვს.**

**პუტინი:** — თქვენ საბაზისო კუთხით, რამდენადაც მესმის, ისტორიული განათლება გაქვთ, არა?

**კარლსონი: — დიახ.**

**პუტინი:** — მაშინ მე თავს ნებას მივცემ, 30 წამის ან 1 წუთის მანძილზე მოგაწოდოთ ისტორიული ცნობა. წინააღმდეგი ხომ არ ბრძანდებით?

**კარლსონი: — კეთილი... რა თქმა უნდა...**

**პუტინი:** — ნახეთ, საიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა უკრაინასთან, საიდან გაჩნდა ეს უკრაინა?

რუსეთის სახელმწიფო შეკოწიწდა, როგორც ცენტრალიზებული და მისი შექმნის თარიღად 862 წელი მიიჩნევა, როდესაც ნოვგოროდელებმა **(არის ასეთი ქალაქი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში)** ქვეყნის სამართავად სკანდინავიიდან, ვარიაგებიდან **(ვიკინგები. რედ.)** მოიწვიეს **პრინცი რიურიკი.** 1862 წელს რუსეთმა აღნიშნა, თავისი სახელმწიფოებრიობის 1000 წლისთავი. 882 წელს რიურიკის მემკვიდრე **მთავარი ოლეგი,** რომელიც მეურვეობდა რიურიკის მცირეწლოვან შვილს (თავად რიურიკი კი ამ დროისათვის მოკვდა), ჩავიდა კიევში და ხელისუფლებას ჩამოაცილა ორი ძმა, რომლებიც ოდესღაც რიურიკის ლაშქარში შედიოდნენ და რუსეთმაც ამგვარად იწყო განვითარება თავისი ორი ცენტრით — **კიევსა** და **ნოვგოროდში.**

შემდეგი — რუსეთის ისტორიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია 988 წელი, როდესაც რიურიკის შვილთაშვილმა, **მთავარმა ვლადიმირმა** მონათლა რუსეთი და მიიღო მართლმადიდებლობა — აღმოსავლეთ ქრისტიანობა. ამ დროიდან იწყო განმტკიცება **ცენტრალიზებულმა რუსეთის სახელმწიფომ.** რატომ? ერთიანი ტერიტორია, ერთიანი სამეურნეო კავშირები, ერთი ენა და რუსეთის ნათლობის შემდეგ ერთი სარწმუნოება და სამთავრობო ძალაუფლება. ასე დაიწყო ჩამოყალიბება **რუსეთის ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ.**

მაგრამ მიზეზთა გამო, მას შემდეგ, რაც შემოღებული იქნა სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა **იაროსლავ ბრძენის** მიერ, ასევე ძველ დროში, შუა საუკუნეებში, ოდნავ მოგვიანებით მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობითობა გართულდა, რადგან ძალაუფლება გადაეცემოდა არა პირდაპირ მამიდან უფროს ვაჟს, არამედ გარდაცვლილი მთავრიდან მის ძმას, შემდეგ კი — შვილებს.

პოლონელები ათწლეულების მანძილზე ახდენდნენ აქაური მოსახლეობის გაპოლონელებას: ავრცელებდნენ საკუთარ ენას, ნერგავდნენ იდეას, რომ ისინი მთლად რუსებიც არ არიან და რამდენადაც განაპირას (у края. რედ.) ცხოვრობენ, უკრაინელები ბრძანდებიან. თავდაპირველად სიტყვა უკრაინელი (украинец. რედ.) ნიშნავდა

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე

# რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის საუბარი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განაცვიფრა



# ვლადიმერ პუტინი:

## ჩვენ გვაქვს ყველანაირი საფუძველი, ვილაპარაკოთ, რომ უკრაინა, ცნობილი მოსაზრებით, სწორედაც რომ ხელოვნური სახელმწიფოა, შექმნილი სტალინის ნებით!

# რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის საუბარი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განაცვიფრა

## საზოგადოებამ უნდა იცოდეს! ★

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

სახელმწიფოს განაპირა ტერიტორიაზე მცხოვრებს ან სასაზღვრო სამსახურში მყოფ ადამიანს. ეს არ განიხილებოდა, როგორც განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი.

ასე აპოლონელებდნენ პოლონელები რუსული მიწების ამ ნაწილს, თანაც საკმარისად მკაცრად, თუ არ ვიტყვით, რომ სისასტიკით. ყოველივე ამან მიგვიყვანია იქამდე, რომ რუსული მიწების ამ ნაწილმა დაიწყო ბრძოლა თავისი უფლებებისათვის და იგზავნებოდა წერილები ვარშავაში, რათა გამოეგზავნათ აქ, და მათ შორის, კიევში, ხალხი...

**კარლსონი: — როდის ხდებოდა ეს, რომელ წლებში?**

**პუტინი:** — ეს იყო მე-13 საუკუნეში... მე ახლა გეტყვით, რა იყო შემდეგ და დაგისახელებთ თარიღებს, რათა არ მოხდეს გაუგებრობა.

ყოველივე ამან დაქუცმაცებამდე მიიყვანა რუსეთი, რომელიც ყალიბდებოდა, როგორც ერთიანი სახელმწიფო. არაფერი განსაკუთრებული აქ არაა — იგივე ხდებოდა ევროპაში, მაგრამ დაქუცმაცებული რუსული სახელმწიფო გახდა ადვილად მოსანადირებელი იმ იმპერიის მიერ, რომელიც ოდესღაც **ჩინგიზ ხანმა** შექმნა. მისი მემკვიდრეები, უპირველესად — ბათო-ყაენი, მოვიდნენ რუსეთში, გაძარცვეს და გააღატაკეს, პრაქტიკულად, ყველა ქალაქი. სამხრეთ ნაწილმა, სადაც კიევი იყო და სხვა ქალაქებმაც, უბრალოდ, დაკარგეს დამოუკიდებლობა, ხოლო ჩრდილოეთით არსებულმა ქალაქებმა შეინარჩუნეს სუვერენიტეტის ნაწილი — ისინი ხარკს უხდიდნენ ურდოს. შემდეგ დაიწყო ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ცენტრით — მოსკოვში.

რუსული მიწების სამხრეთი ნაწილი, კიევის ჩათვლით თანდათანობით მიიზიდა ახალმა მაგნიტმა — ცენტრმა, რომელმაც ევროპაში იწყო ჩამოყალიბება. ეს გახლდათ **ლიტვის დიდი სამთავრო.** მას ლიტვა-რუსეთის სამთავროსაც უწოდებდნენ, ვინაიდან სწორედ რუსები წარმოადგენდნენ ამ სახელმწიფოს ძირითად ნაწილს. ისინი საუბრობდნენ ძველრუსულად, იყვნენ მართლმადიდებლები. მაგრამ შემდეგ მოხდა გაერთიანება — **ლიტვის დიდი სამთავროსა და პოლონეთის სამეფოს უნია.** რამდენიმე წლის შემდეგ ხელი მოეწერა კიდევ ერთ უნიას სულიერ სფეროში და მართლმადიდებელ მოძღვართა ნაწილი დაექვემდებარა რომის პაპს. ამგვარად ეს მიწები აღმოჩნდა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

1654 წელს და ცოტათი ადრეც, ადამიანები, რომლებიც აკონტროლებდნენ ხელისუფლებას რუსული მიწების ამ ნაწილში, მიმართავდნენ ვარშავას მოთხოვნით, რათა გამოეგზავნათ რუსული წარმომავლობისა და მართლმადიდებლური აღმსარებლობის ადამიანები და, როდესაც ვარშავამ ისინი პრინციპში უპასუხოდ დატოვა და, პრაქტიკულად, უკუაგდო თხოვნა, მათ უკვე მოსკოვს მიმართეს, რათა ჩაჰბარებოდნენ.

რომ არ იფიქროთ, თითქოს რამეს ვიგონებ, მე გადმოგცემთ ამ დოკუმენტებს.

**კარლსონი: — არა, მე არ გფიქრობ, რომ თქვენ რამეს იგონებთ.**

**პუტინი:** — და მაინც ეს დოკუმენტები საარქივო მასალების ასლებია. აქ არის **ბოგდან ხმელნიცკის** წერილები, რომელიც იმხანად აკონტროლებდა ხელისუფლებას რუსული მიწების იმ ნაწილში, რომელსაც დღეს **უკრაინად** მოვიხსენიებთ. ის სწერდა ვარშავას, დაეცვა მათი უფლებები და როდესაც უარით გაისტუმრეს, უკვე მოსკოვს მიმართა, რათა მოსკოველი ცარის მძლავრი ხელის შემწეობით მიეღო მფარველობა. საქაღალდეში ამ დოკუმენტების ასლებია, რომლებსაც კეთილსახსოვრად გიტოვებთ. იქვეა რუსული თარგმანიც, შემდეგ თარგმნეთ ინგლისურადაც.

რუსეთი არ თანხმდებოდა მათ დაუყოვნებლივ მიღებას, რათა არ დაწყებულიყო ომი პოლონეთთან, მაგრამ 1654 წელს **ზემსკის სობორის** მიერ, რომელიც გახლდათ ძველრუსული სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ამ ძველი რუსული მიწების ნაწილი შევიდა მოსკოვის სამეფოს შემადგენლობაში.

და როგორც ნავარაუდევი იყო, დაიწყო ომი პოლონეთთან, რომელიც 13 წელიწადი გაგრძელდა. შემდეგ დაიდო ზავი და, თუ არ ვცდები, 32 წლის შემდეგ გაფორმდა, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სამარადისო მშვიდობის“ დოკუმენტი პოლონეთთან. და მთელი ეს მიწები — **დნეპრის მარცხენა სანაპირო კიევის ჩათვლით** — გადმოეცა რუსეთს, ხოლო დნეპრის მარჯვენა სანაპირო დარჩა პოლონეთს.

შემდგომში, **ეკატერინე მეორის** ეპოქაში, რუსეთმა დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწები, სამხრეთისა და დასავლეთის ჩათვლით. ეს პროცესი გრძელდებოდა რევოლუციამდე, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წინ, ისარგებლა რა **უკრაინიზაციის იდეით,** ავსტრიის გენერალურმა შტაბმა აქტიურად დაიწყო უკრაინისა და **უკრაინიზაციის** თემის წამოწევა. მიზეზი გასაგებია — მსოფლიო ომის ზღურბლზე, ცხადია, იყო სწრაფვა, დაესუსტებინათ პოტენციური მოწინააღმდეგე, ხოლო სასაზღვრო ზონაში შეექმნათ საკუთარი თავისათვის ხელსაყრელი პირობები. და ოდესღაც პოლონეთში დაბადებულმა იდეამ, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, არცთუ მთლად რუსები არიან და განსაკუთრებულ ეთნიკურ ჯგუფს — უკრაინელებს — განეკუთვნებიან, იწყო გავრცელება ავსტრიის გენერალური შტაბის მიერ.

უკრაინის დამოუკიდებლობის თეორეტიკოსები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გაჩნდნენ, თუმცა, ისინი ყოველთვის უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ უკრაინას უნდა ჰქონოდა ძალიან კარგი ურთიერთობა რუსეთთან. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკები ცდილობდნენ სახელმწიფოებრიობის აღდგენას, შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი და მათ შორის ომი პოლონეთთან, რომელთანაც 1921 წელს გაფორმებული ზავით, დასავლეთი ნაწილი, დნეპრის დასავლეთი სანაპირო, კვლავ პოლონეთს დაუბრუნდა.

1939 წელს, მას შემდეგ, რაც პოლონეთმა ითანამშრომლა ჰიტლერთან, გერმანიამ შესთავაზა, გაეფორმებინათ მეგობრობისა და თანამშრომლობის სამშვიდობო ხელშეკრულება და, ამავდროულად, პოლონეთს დაებრუნებინა გერმანიისათვის ე.წ. **დანციგის დერეფანი,** რომელიც აკავშირებდა მას კენინგსბერგთან და აღმოსავლეთ პრუსიასთან. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ტერიტორიის ეს ნაწილი პოლონეთს გადაეცა და დანციგის ნაცვლად გაჩნდა ქალაქი გდანსკი. ჰიტლერი ითხოვდა ტერიტორიის მშვიდობიან გადაცემას. პოლონელებმა უარი თქვეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თანამშრომლობდნენ ჰიტლერთან და ერთობლივად დაიწყეს ჩეხოსლოვაკიის გადანაწილება.

**კარლსონი: — შეიძლება, გკითხოთ? თქვენ ამბობთ, რომ უკრაინის ნაწილი, რეალურად უკვე ასეულობით წელია, რუსულ მიწას წარმოადგენს... მაშინ, ჯერ კიდევ 24 წლის წინათ, როდესაც პრეზიდენტი გახდით, რატომ არ მიიზომეთ? თქვენ ხომ იარაღიც გქონდათ? რას ელოდით ამდენი ხანი?**

**პუტინი:** — ახლავე გეტყვით... მე უკვე ვასრულებ საუბარს ამ ისტორიული ცნობის ირგვლივ. შესაძლოა, ის მოსაწყენია, მაგრამ ბევრ რამეს ხდის ფარდას.

**კარლსონი: — არა, ის მოსაწყენი არაა.**

**პუტინი:** — ძალიანაც კარგი. ამ შემთხვევაში ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა თქვენეული შეფასება. დიდი მადლობა.

მაშ ასე: როდესაც მეორე მსოფლიო ომის წინ პოლონეთმა ითანამშრომლა გერმანიასთან, მაგრამ უარი თქვა ჰიტლერის მოთხოვნების შესრულებაზე, თუმცა, მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის გაყოფაში... მაგრამ რაკიღა არ დათმო დანციგის დერეფანი, პოლონელებმა აიძულეს, დაეწყო მეორე მსოფლიო ომი საკუთრივ მათგან. რატომ დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს ომი სწორედაც რომ პოლონეთიდან?

სხვათაშორის, და მე წაკითხული მაქვს საარქივო მასალები, საბჭოთა კავშირი იქცეოდა ძალიან პატიოსნად და სთხოვდა პოლონეთს თავისი ჯარების გატარებას ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად, მაგრამ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირით გაცხადდა — თუკი საბჭოთა თვითმფრინავები ჩეხოსლოვაკიისაკენ პოლონეთის საჰაერო სივრცით გაემართებიან, მათ ჩამოაგდებენ. აქ მნიშვნელოვანია, რომ ომის დაწყებით უკვე თავად პოლონეთი გახდა იმ პოლიტიკის

მსხვერპლი, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის მიმართ ატარებდა. აკი, **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის** ცნობილი ოქმებით, ამ ტერიტორიების ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ჩათვლით, გადავიდა რუსეთის შემადგენლობაში. ამრიგად, რუსეთი — „საბჭოთა კავშირის“ სახელწოდებით — დაბრუნდა თავის ისტორიულ მიწებზე.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, რომელსაც ჩვენ მეორე მსოფლიო ომს ვუწოდებთ, მთელი ეს ტერიტორიები საბოლოოდ შემოუმტკიცდა რუსეთს, საბჭოთა კავშირს, ხოლო პოლონეთმა, უნდა ჩავთვალოთ, კომპენსაციის სახით, მიიღო ჭეშმარიტად გერმანული მიწები: აღმოსავლეთ გერმანიის ნაწილი, რომელიც დღეს პოლონეთის დასავლეთ რაიონებს წარმოადგენს. ამდენად, ბუნებრივია, კვლავ დაიბრუნა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე, კვლავ დაიბრუნა დანციგი, რომელმაც უკვე პოლონური დასახელება მიიღო.

საბჭოთა კავშირის ფორმირებისას, და ეს უკვე 1922 წელია, ბოლშევიკებმა დაიწყეს სსრკ-ის ფორმირება და შექმნეს **საბჭოთა უკრაინა,** რომელიც მანამდე საერთოდ არ არსებობდა.

**კარლსონი:** — **ყველაფერი სწორია.**

**პუტინი:** — ამასთან ერთად, **სტალინი** მოითხოვდა, რომ ეს ახლად შექმნილი რესპუბლიკები შესულიყვნენ ავტონომიური წარმონაქმნების სახით, მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ლენინმა რატომღაც მოისურვა, რომ მათ ჰქონოდათ საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებაც. და ასევე გაუგებარი მიზეზებით, მან აღჭურვა ჩამოყალიბებადი საბჭოთა უკრაინა იმ მიწებით და იმ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებით, რომლებიც ადრე არასოდეს იწოდებოდნენ უკრაინად. რატომღაც ყოველივე ეს შეირწყა უკრაინის სსრ-ის შემადგენლობაში, მათ შორის, შავიზღვისპირეთი, რომელიც მიღებულ იქნა **ეკატერინე მეორის** დროს და უკრაინასთან არასოდეს ჰქონია არანაირი ისტორიული კავშირი.

**თუ ჩვენ ადრეულ 1654 წელში გადავალთ, როცა ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიას დაუბრუნდა, იქ იყო თანამედროვე უკრაინის მხოლოდ სამიოთხი ოლქი და არავითარი შავიზღვისპირეთი.**

**კარლსონი:** — **1654 წელს.**

**პუტინი:** — დიახ, სწორედაც რომ...

**კარლსონი:** — **თქვენ ენციკლოპედიურ ცოდნას ფლობთ. და რატომ არ ლაპარაკობდით ამის შესახებ პრეზიდენტობიდან პირველი 22 წლის განმავლობაში?**

**პუტინი:** — მაშ ასე, საბჭოთა უკრაინამ მიიღო უზარმაზარი ტერიტორია, რომელსაც მასთან არასოდეს ჰქონია არანაირი კავშირი და აქ, უპირველესად, შავიზღვისპირეთი უნდა ვიგულისხმოთ. ეს ტერიტორიები, რომლებიც ოდესღაც რუსეთმა მიიღო რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, **ნოვოროსიად** იწოდებოდა, მაგრამ ეს არაა მნიშვნელოვანი. მთავარია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა **ლენინმა** უკრაინა სწორედაც რომ ასეთად შექმნა. და აი, მრავალი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უკრაინის სსრ ვითარდებოდა, ხოლო ბოლშევიკები, ასევე გაუგებარი მიზეზებით, ახდენდნენ **უკრაინიზაციას.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკრაინამ მიიღო არამხოლოდ ომამდელი პოლონეთის ტერიტორიები. დღეს დასავლეთი უკრაინა წარმოადგენს უნგრეთისა და რუმინეთის ტერიტორიების ნაწილსაც. რუმინეთსა და უნგრეთსაც წაართვეს საბჭოთა უკრაინის სასარგებლოდ ტერიტორიების ნაწილი, რომელიც შევიდა და დღემდე შედის უკრაინის შემადგენლობაში. ამიტომაც ჩვენ გვაქვს ყველანაირი საფუძველი, ვილაპარაკოთ, რომ **უკრაინა, ცნობილი მოსაზრებით, სწორედაც რომ ხელოვნური სახელმწიფოა, შექმნილი სტალინის ნებით!**

**კარლსონი:** — **და როგორ ფიქრობთ, აქვს კი უნგრეთს უფლება, დაიბრუნოს თავისი ტერიტორიები და სხვა ხალხებსაც შეუძლიათ მიიღონ თავიანთი მიწები? იქნებ უკრაინაც დავაბრუნოთ 1654 წლის საზღვრებში?**

**პუტინი:** — მე არ ვიცი, რა უნდა ვთქვა 1654 წლის საზღვრებზე, მაგრამ სტალინის მმართველობის პერიოდში, რომელსაც სტალინის რეჟიმს უწოდებენ, მრავალთა თქმით, იყო ადამიანების უფლებათა და სხვა სახელმწიფოთა უფლებების ბევრი დარღვევა. ამ თვალსაზრისით ეს ყოვლად შესაძლებელია, თუ არ ვიტყვით იმას, რომ მათ აქვთ ამის უფლება — დაიბრუნონ თავიანთი მიწები.

**კარლსონი:** — **გისაუბრიათ თუ არა ორბანთან იმის შესახებ, რომ მას შეუძლია დაიბრუნოს ტერიტორიების ნაწილი?**

**პუტინი:** — არასოდეს მილაპარაკია. არასოდეს, არცერთხელ. ჩვენ ამის თაობაზე არავითარი საუბარი არ გვქონია, მაგრამ მაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ უნგრელებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ, ცხადია, აქვთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

უფრო მეტიც, ახლა მე მოგიყვებით ფრიად საინტერესო პირად ისტორიას. მე 80-იანი წლების დასაწყისში იმდროინდელი ლენინგრადიდან, პეტერბურგიდან კიევის გავლით ავტომობილით დავიძარი საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ. კიევიდან გავეშურე დასავლეთ უკრაინაში, შევედი ქალაქში, ბერეგოვოდ რომ იწოდება და იქ ყველა ქალაქის თუ დაბის დასახელება რუსულად და ჩემთვის გაუგებარ უნგრულ ენაზეა. რუსულ და უნგრულ ენებზე. არა უკრაინულად, არამედ რუსულად და უნგრულად.

ჩავდივარ რომელიღაც სოფელში. სახლებთან სხედან მამაკაცები შავ კოსტიუმ-„ტროიკებში“ გამოწყობილნი და თავზე შავი ცილინდრებით. მე ვკითხულობ: **ესენი არტისტები არიან?** მეუბნებიან: **არა, ესენი არტისტები კი არა, უნგრელებია.** მე ვამბობ: **კი მაგრამ, აქ რას აკეთებენ?** როგორ თუ რას? — ეს მათი მიწაა, ისინი აქ ცხოვრობენ. 80-იანი წლების საბჭოთა კავშირში ისინი ინარჩუნებენ უნგრულ ენას, დასახელებებს, ნაციონალურ ტანისამოსს. ისინი უნგრელები არიან და თავს უნგრელებად გრძნობენ. და, რასაკვირველია, როცა დღეს ხდება შელახვა...

**კარლსონი:** — **მე ვფიქრობ, რომ ასეთი მაგალითები უხვადაა. ბევრი ქვეყანა უკმაყოფილოა საზღვრების გადაადგილებით მე-20 საუკუნეში თუ ადრეულ წლებში, მაგრამ საქმე ისაა, რომ თქვენ მსგავსი არაფერი გითქვამთ 2022 წლის თებერვლამდე. თქვენ ლაპარაკობდით, რომ გრძნობდით ფიზიკურ საფრთხეს ნატოს მხრიდან, ნაწილობრივ ბირთვულ საფრთხეს და ამან გიბიძგათ მოქმედებისკენ. სწორად გაგიგეთ თუ არა?**

**პუტინი:** — მე მესმის, რომ ჩემი მხრიდან გრძელი დიალოგი არ შედის ინტერვიუს ჟანრში. ამიტომ გკითხეთ დასაწყისშივე — სერიოზული საუბარი გვექნებოდა თუ, უბრალოდ, შოუ? თქვენ ბრძანეთ, რომ სერიოზულად უნდა გვესაუბრა. ასე რომ, ნუ გაბრაზდებით ჩემზე, გეთაყვა.

ჩვენ მივადექით იმ მომენტს, როცა შეიქმნა საბჭოთა უკრაინა.

**შემდეგ მოვიდა 1991 – საბჭოთა კავშირის დაშლის წელი. და, რაც უკრაინამ მიიღო რუსეთისაგან საჩუქრად, ასე ვთქვათ, თავადური ხელგაშლილობით, თან წაათრია.**

და აი, ვუახლოვდები დღევანდელობის უაღრესად საყურადღებო მომენტს: აკი, საბჭოთა კავშირის რღვევა ინიცირებულ იქნა, არსობრივად, რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ. არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობდა მაშინ რუსეთის ხელმძღვანელობა, მაგრამ ვეჭვობ, რომ არსებობდა რამდენიმე მიზეზი, გვეფიქრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

უპირველეს ყოვლისა, რუსე-

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-4 გვერდზე*




## „1922 წელს, საბჭოთა კავშირის ფორმირებისას, ბოლშევიკებმა შექმნეს საბჭოთა უკრაინა, რომელიც მანამდე საერთოდ არ არსებობდა!“

# საზოგადოებამ უნდა იცოდეს! ★

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

თის ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ფუნდამენტურ საფუძვლებს — ფაქტობრივად, საერთო ენა, რადგანაც მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი რუსულად საუბრობდა. პლუს ნათესაური კავშირები ლამის ყოველი მესამე მცხოვრების გარშემო... ამას დავუმატოთ საერთო კულტურა, ისტორია, ბოლოს და ბოლოს — საერთო რელიგია... უფრო მეტიც — ასწლეულების მანძილზე ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრება. ამასთან, ეკონომიკური კავშირებიც ფრიად მტკიცედ გამოიყურებოდა და ყოველივე აქედან გამომდინარე, ურთიერთთანხმობაც გარდაუვალი უნდა ყოფილიყო.

მეორეც — და ეს მინდა რომ თქვენ, როგორც ამერიკის მოქალაქემ და, შესაბამისად, თქვენმა მაყურებლებმაც მკაფიოდ გაიგონ: რუსეთის ძველი ხელმძღვანელობა გამოდიოდა იმ მოცემულობიდან, რომ, ვინაიდან საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა, იდეოლოგიური ხასიათის გამყოფი ხაზებიც აღარ არსებობს. რუსეთი ნებაყოფლობით და საკუთარი ინიციატივით წავიდა სსრკ-ის დაშლაზეც და ეს გასაგები იქნება უკვე ბრჭყალებში მოსახსენებელი ე.წ. „ცივილიზებული დასავლეთისათვის“, როგორც მოწოდება თანამშრომლობისა და მოკავშირეობის კუთხით. აი, რას ელოდა რუსეთი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან და ე.წ. კოლექტიური დასავლეთისაგან.

იყო ჭკვიანი ხალხი, მათ შორის, გერმანიაში. **ეგონ ბარი** — მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან — საბჭოთა კავშირის დაშლის წინ ამბობდა, რომ აუცილებელია, შეიქმნას ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემა, საჭიროა, დავეხმაროთ გერმანიას გაერთიანებაში... ამ ახალ უსაფრთხოების სისტემაში, მისი აზრით, უნდა შესულიყვნენ შეერთებული შტატები, კანადა, რუსეთი, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნები. უფრო მეტიც, არაა საჭირო, რომ ნატო განივრცოსო... დიახ, ის ზუსტად ასე ამბობდა: თუ ნატო განივრცობა, ყველაფერი იმდაგვარად იქნება, როგორც **„ცივი ომის“** პირობებში, ოღონდ რუსეთის საზღვრებთან გაცილებით ახლოს! აი, ყველაფერი. ჭკვიანი ბაბუა იყო, მაგრამ არავინ მოუსმინა და განარისხეს კიდეც (მისი საუბარი დაარქივებულია) — თუ არ მომისმენთ, მოსკოვში აღარასოდეს ჩამოვალო. მოკლედ, გაბრაზდა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე, არადა, მართალი იყო, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მან ბრძანა.

**კარლსონი: — და შეერთებულ შტატებშიც ბევრი ფიქრობდა, რომ რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობა ნორმალური იქნებოდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ, მაგრამ საპირისპირო რამ მოხდა. ერთიც არის — თქვენ არასოდეს განგიმარტავთ, რატომ მოხდა ასე. შესაძლოა, დასავლეთს მართლაც ეშინია ძლიერი რუსეთის, მაგრამ იმავე დასავლეთს არ ეშინია ძლიერი ჩინეთის.**

## რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის საუბარი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განაცვიფრა

**პუტინი:** — დასავლეთს ეშინია ძლიერი ჩინეთის უფრო მეტად, ვიდრე ძლიერი რუსეთის, რადგან რუსეთში 150 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ჩინეთში კი — მილიარდ ნახევარი. ჩინეთის ეკონომიკაც გრანდიოზული ნაბიჯებით ვითარდება... **ბისმარკი** ოდესღაც ამბობდა — მთავარი პოტენციალი არისო. არადა, ჩინეთის პოტენციალი მართლაც უსაზღვროა — პირველი ეკონომიკა მსოფლიოში, რომელმაც რახანია, გაუსწრო შეერთებულ შტატებსაც კი.

მოდით, ახლა იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, ვის ვისი ეშინია. ვისაუბროთ იმაზე, რომ

**1991 წლის შემდეგ, როცა რუსეთი ელოდა „ცივილიზებული ხალხების“ ძმურ ოჯახში გაერთიანებას, მისთვის მსგავსი არაფერი მომხდარა. დაგვპირდნენ, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, მაგრამ ჩვენ მოვესწარით გაფართოების 5-ჯერად ტალღას.**

ახლა **ელცინის** პერიოდი ავიღოთ. იყო მომენტი, როცა შავმა კატამ გაირბინა. დაიწყო იუგოსლავიის მოვლენები და როცა მან სერბების დასაცავად აღიმაღლა ხმა, რა მოიმოქმედა აშშ-მა? გაერთიანებული ერების წესდების უხეში დარღვევით დაიბომბა ბელგრადი.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამით ჯინი გამოუშვა ბოთლიდან. უფრო მეტიც, როდესაც რუსეთმა ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა, ჩვენ მიგვითითეს, რომ გაეროს წესდება და საერთაშორისო სამართალი მოძველდა.

ცხადია, რაღაც უნდა შეიცვალოს, რადგან ძალთა ბალანსიც შეიცვალა, მაგრამ არა ამ ფორმით. ჰო, მაშინ ელცინს ტალახიც შეასხეს — ალკოჰოლიკია და არაფერი გაეგებაო, არადა, ყველაფერი ესმოდა და გაეგებოდა, მე თქვენ გარწმუნებთ!

ჰო, კარგით... მე პრეზიდენტი 2000 წელს გავხდი. ვფიქრობდი, რომ იუგოსლავიის თემამ ჩაიარა, უნდა ვცადოთ ურთიერთობის აღდგენა. და აი აქვე, კრემლში, პრეზიდენტის პოსტიდან მიმავალ **ბილ კლინტონს** ვკითხე: მისმინე, ბილ, როგორ ფიქრობ, რამდენად შესაძლებელია, რომ რუსეთი შევიდეს ნატოს შემადგენლობაში. და მოულოდნელად მან მითხრა: იცით, ეს ძალიან საინტერესოა და ვფიქრობ, შესაძლებელიც. მაგრამ საღამოს, როდესაც ჩვენ ვახშამზე შევხვდით, მან მითხრა: ვესაუბრე ჩემი გუნდის წევრებს და ამ ეტაპზე ეს შეუძლებლად მიიჩნიესო. ჰკითხეთ მას, ვფიქრობ, ჩვენს ინტერვიუს ისედაც მოისმენს და დაგიდასტურებთ. ცხადია, ამას არ ვიტყოდი, ასე რომ არ ყოფილიყო. კარგით, ამჟამად ეს შეუძლებელია!

**კარლსონი: — და თქვენ გულწრფელი იყავით მაშინ? შეხვიდოდით კი ნატოში?**

**პუტინი:** — მისმინეთ — მე დავსვი შეკითხვა: **შესაძლებელია ეს თუ არა?** და მივიღე პასუხი: **არა!** გულწრფელი რომ არ ვყოფილიყავი ჩემს სურვილში გამეგო ხელმძღვანელობის აზრი...

**კარლსონი: — და რომ ეთქვა მას „დიახ“, თქვენ შეუერთდებოდით თუ არა ნატოს?**

**პუტინი:** — თუ თანხმობა იქნებოდა, დაიწყებოდა დაახლოების პროცესი და საბოლოოდ ეს შეიძლება ასეც მომხდარიყო, თუ დავინახავდით პარტნიორების გულწრფელ სურვილს. მაგრამ ასე არ მოხდარა. ასე რომ, თუ **„არაზეა“** საქმე, კარგით, **„არა“** იყოს!

*დასასრული შემდეგ ნომერში*





## ვიქტორ კუსიანი:

# ბიოლოგიური ლაბორატორიები რჩება დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დამიზნებულ ძირითად იარაღად!

*„უკვე დიდი ხანია, დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ არამხოლოდ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებს, ფარულ ბიოლოგიურ ომსაც ეწევა. გამორიცხული არ არის, ეს ომი უახლოეს პერიოდში ღია ფაზაში გადავიდეს და მასში საქართველოც აღმოჩნდეს ჩათრეული!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი იურისტმა, ამერიკის ბიოლაბორატორიების და ბიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ მოძრაობა „ანტილაბ-საქართველოს“ დამფუძნებელმა ვიქტორ (კობა) კუსიანმა:***

— პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ჯერ კიდევ 1990-ანი წლებიდან დაიწყო ბიოლოგიური ლაბორატორიების მშენებლობათა დაფინანსება. დღეს უკვე აშკარაა ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს ჩანაფიქრი, რომლებმაც რუსეთი, ფაქტობრივად, ალყაში მოაქციეს და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი, ბიოლოგიური იარაღი დაუპირისპირეს. ფაქტობრივად, ასეთი ლაბორატორიები აშშ-ის და ნატოს სამხედრო ბაზებს წარმოადგენენ, შესაბამისად, ისინი რუსეთის პოტენციური სამიზნეები არიან.

გარდა ამერიკელების მიერ საგანგებოდ აშენებული, თბილისის აეროპორტის მახლობლად, კახეთის გზატკეცილზე მდებარე „ლუგარის ცენტრისა“, რომლის საქმიანობის წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლებას წლების განმავლობაში არაერთი მწვავე განცხადება გაუკეთებია, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული საქართველოში არსებობდა სხვადასხვა პროფილის სხვა ლაბორატორიებიც, როგორიცაა **თბილისში, ასათიანის ქუჩაზე, არსებული „შავი ჭირის საწინააღმდეგო საქართველოს სადგური“.** ამჟამად „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრად“ არის გადაკეთებული, სადაც თითქმის 70 წლის განმავლობაში შავი ჭირის, ჯილეხის, ბრუცელოზის საშიშ პათოგენებზე მუშაობდნენ. კიდევ ერთი ასეთი უწყება იყო **ტაბახმელის ბიოლოგიური კომბინატი,** რომელიც ვაქცინებს აწარმოებდა, თუმცა, საიდუმლო გეგმის შესაბამისად, მას 24 საათში შეეძლო, გადაეწყო სამუშაო პროცესი და ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების გამოშვებაც დაეწყო.

რუსეთი მეტად შეშფოთებულია მისი საზღვრების პერიმეტრზე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მომრავლებული ამერიკელების მიერ აშენებული ბიოლოგიური ლაბორატორიებით, ვინაიდან დასავლეთიდან მის წინააღმდეგ რახანია, მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი; ხოლო ბიოლოგიურ იარაღს, ვთქვათ, რომელიმე საშიში ინფექციის მიზანმიმართულად გავრცელების შემთხვევაში შეუძლია იმაზე დიდი და მასშტაბური უბედურება დაატეხოს ქვეყანას, ვიდრე, თუნდაც, ბირთვული იარაღის გამოყენება მოიტანდა.

აი, ასეთ სიტუაციაში, სულ ახლახან სომხური გამოცემა „წარსული“-ის ცნობით, სომხეთში კიდევ ერთი ასეთი ობიექტი იხსნება — ზედიზედ მე-13.

**— რაში სჭირდება სომხეთს თავის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორია?**

— სომხეთში უკვე ფუნქციონირებს ამერიკელების მიერ დაფინანსებული ათზე მეტი ლაბორატორია, მაგრამ, ვფიქრობ, სომხეთის ხელისუფლება ამით გამოხატავს დასავლეთის მიმართ მოჭარბებულ ლოიალობას და, იმავდროულად, რუსეთს მრავალმნიშვნელოვნად აფრთხილებს. სომხეთის ტერიტორიაზე მე-13 ბიოლოგიური ლაბორატორიის გამოჩენა რუსეთისა და სომხეთის ურთიერთობაში ჩამოყალიბებულ ნაპრალს უფრო მეტად აღრმავებს.

უკრაინაში რუსეთის სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებისთანავე გამჟღავნდა

# არის ასეთი აზრი!

დასავლეთის გეგმის შესახებ, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში როგორღაც ჩაეთრია ამიერკავკასიის რესპუბლიკები. ამ გეგმის განხორციელების პერსპექტივა ჯერ კიდევ არსებობს. საკმარისია, დასავლეთის ფარული წაქეზებით ამიერკავკასიაში არსებულმა ბიოლოგიურმა ლაბორატორიებმა რუსეთის წინააღმდეგ თუნდაც უმნიშვნელო ბიოლოგიური დივერსია განახორციელონ, რომ ამას რუსეთმა მძლავრი სამხედრო ოპერაციით უპასუხოს.

**— პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიების მშენებლობა სხვაგანაც მიმდინარეობს?**

— დიახ, ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიების რაოდენობა, სამწუხაროდ, დღემდე მატულობს. სომხეთის გარდა, ყაზახეთის სამხრეთით, ჟამბილის რეგიონშიც შენდება ამ ქვეყანაში მე-7 ობიექტი. ეს არის მეოთხე, უმაღლესი დონის ბიოლოგიური საფრთხის ლაბორატორია და, სამწუხაროდ, დასავლური პროპაგანდის მარიონეტი ქართული საინფორმაციო საშუალებების დიდი უმრავლესობა საშუალებას არ გვაძლევენ, საქართველოს მოსახლეობას ასეთი ბიოლოგიური ლაბორატორიების გამო მოსალოდნელ საფრთხეებზე ვესაუბროთ. ეს ყველაფერი ფინანსდება პენტაგონის ფულით. ყველა პროექტს, ექსპერიმენტებს და ა.შ. რეალურად აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო (DTRA) აფინანსებს.

ყველაზე საშიში ისეთი პათოგენების კვლევისთვის, რომელთა წინააღმდეგ მედიკამენტები უძლურია და როგორიცაა **მამბურგის ვირუსი, ჩუტყვავილა, ლათინურ-ამერიკული ცხელება, ებოლას ვირუსი და სხვა დაავადებები** — მსოფლიოში მხოლოდ ათეული ასეთი ლაბორატორია (BSL-4) არსებობს მიწისქვეშა საცავთან ერთად! ამიტომ ასეთი დონის ლაბორატორიის ცენტრალურ აზიაში გამოჩენა ისევე, როგორც სომხეთის შემთხვევაში — რუსეთის ხელისუფლებისთვის დამატებითი თავსატეხია.

**— მაგრამ ბოლო დროს თითქოს საქართველოს და, კონკრეტულად, ლუგარის ლაბორატორიასთან მიმართებაში რუსეთის მძაფრი რეპლიკები აღარ გაისმის. რამე შეიცვალა?**

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დათბობის პერსპექტივა ნამდვილად გამოიკვეთა, თუმცა, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. თბილისის აეროპორტის მახლობლად არსებული ლუგარის ლაბორატორია, რომელიც ბიოუსაფრთხოების მესამე დონის დაწესებულებას (BSL-3) წარმოადგენს და ამ ეტაპზე ფორმალურად საქართველოს დაქვემდებარებაშია, რუსეთის ვერტიკალის პოზიციის გათვალისწინებით, მაინც რჩება დასავლეთის და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთისთვის დამიზნებულ მძლავრ იარაღად!

ბიოლოგიური იარაღის დამზადება, საშიში ვირუსების გავრცელება, სახიფათო მწერების დივერსიული მიზნებით გამოყენება და ხალხის მოწამვლა — აი, არცთუ უსაფუძვლო ბრალდებების ნუსხა, რომელთაც უკვე წლებია, ლაბორატორიის გახსნის მომენტიდან რუსეთის ხელისუფლება ლუგარის კვლევითი ცენტრის მიმართ აჟღერებს. ანალოგიური ბრალდებებია სომხეთთან მიმართებაში, იმ განსხვავებით, რომ იქ არსებული ლაბორატორიები მთლიანად გასაიდუმლოებულია.

სომხეთის პრეზიდენტ **ნიკოლ ფაშინიანის** განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ 12-ვე მოქმედი ლაბორატორია პენტაგონის ფულით აშენდა, ისინი სომხეთის რესპუბლიკის საკუთრებაა. როგორც ვხედავთ, ერთნაირი მიდგომებია, იმავეს ამბობენ საქართველოს ხელისუფლებაშიც, რომ ლუგარის ლაბორატორია არის საქართველოს საკუთრება. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც თავგამოდებით ცდილობს დამტკიცებას, რომ ლუგარის ცენტრში რუსეთის წინააღმდეგ არაფერი ხდება, სომხეთის ხელისუფლება უარს ამბობს ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ რა სახის კვლევა ტარდება ადგილობრივ ლაბორატორიებში.

**— ვინმემ დანამდვილებით იცის, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში?**

— პირადად მე წერილით მივმართე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას **(წერილის ნომერია 27106 19.09.23 წ.)**, მოსახლეობას და საერთაშორისო წრეებს განუმარტონ, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში და გააბათილონ რუსეთიდან გაჟღერებული ბრალდებები, თუმცა, ჯერჯერობით არც წერილის პასუხი მიმიღია და არც ჩვენი ხელისუფლების სათანადო დაინტერესება შემინიშნავს.

**რამდენადაც ვიცი, ლუგარის ლაბორატორიაში მიმდინარეობს პენტაგონის დეპარტამენტის DTRA სააგენტოს მიერ დაფინანსებულ რამდენიმე ძვირადღირებულ პროექტზე მუშაობა.**

გავიხსენებ ასეთ ფაქტს, რომ 2013 წელს ამერიკელებმა ყაზახეთში შეაგროვეს ტკიპები, რომლებიც კონგო-ყირიმის ცხელების გადამტანები არიან. შემდეგ ეს ბიომასალები დიპლომატიური ფოსტით გადმოიტანეს საქართველოში და უკვე აქ, ლუგარის ცენტრში, ამ შტამებმა ლაბორატორიული მოდერნიზაცია გაიარა. ამის შემდეგ ისინი ბიოლოგიური დივერსიის სახით დატოვეს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი ოლქის ტერიტორიაზე.

გაჩნდა ინფორმაცია, რომ კონგო-ყირიმის ცხელების მაშინდელი გავრცელება სწორედ საქართველოში მოდერნიზებულმა შტამებმა გამოიწვია. შედეგად რამდენიმე ადამიანი, რუსეთის მოქალაქე დაიღუპა. ეს არის ბიოლოგიური ტერორიზმის დადასტურებული ფაქტი, რომელიც განხორციელდა რუსეთის წინააღმდეგ 2014 წელს ყაზახეთის ტერიტორიაზე შეგროვებული ბიომასალის გამოყენებით. **ამერიკელებს არც კი სჭირდებათ ახალი ლაბორატორიების აშენება, რადგან მრავალი ყოფილი საბჭოთა კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მუშაობს პენტაგონის თავდაცვის საფრთხის სააგენტოს (DTRA) გრანტებით, ასევე ხდება ორმაგი დანიშნულების პროგრამების ქვეკონტრაქტორი.**

**— რამდენად აისახება ბიოლოგიური ლაბორატორიების აქტივობები თავად კავკასიის ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე?**

— ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია წითელას შემთხვევების ფეთქებადი ზრდა ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. **წითელა ქალაქ მოსახერხებელი დაავადებაა სამხედრო ბიოლოგებისთვის. ის იძლევა შესანიშნავ შესაძლებლობას, თვალყური ადევნოთ, რამდენად სწრაფად ვრცელდება ინფექცია, დაინახოთ, როგორ უმკლავდებიან მას ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემები, შეუძლიათ თუ არა ადგილობრივ ვაქცინებს, თავიდან აიცილონ დაავადების გადაზრდა ეპიდემიიდან პანდემიაში და ა.შ.**

კიდევ ერთი მაგალითია **ღორის აფრიკული ჭირი,** რომელიც ადრე არ იყო დამახასიათებელი ჩვენი განედებისთვის, თუმცა, 2018-2019 წლებში ძალიან სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოში, ასევე რუსეთის ფედერაციაში მეღორეობის დარგს. ჩინეთში კი, მცირე ხნით, ეს ინდუსტრია მთლიანად განადგურდა.

არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ სხვადასხვა ტიპის, როგორც სახენაცვალი ძველის, ასევე ახალი დაავადებების აქტიური გავრცელებისთვის ინსტრუმენტს სწორედ ბიოლოგიური ლაბორატორიები წარმოადგენენ! დაავადებებისთვის, რომლებიც უჩვეულოა ადგილობრივი განედებისთვის და მდგრადია ნებისმიერი მედიკამენტის მიმართ! **დიახ, ასეთი ლაბორატორიები უნდა განიხილებოდეს როგორც აშშ-ის და ნატოს სამხედრო ბაზები, რასაც მოჰყვება ყველა საზარელი შედეგი.** მათ გააჩნიათ საშუალება, პასიური ფაზიდან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ინდივიდუალური დივერსიული და ტერორისტული თავდასხმები, აქტიური, ანუ შეტევითი ბიოლოგიური ომის ფაზაში უსწრაფესად გადასვლისა, როდესაც სხვადასხვა პათოგენები და ვირუსები მიზანმიმართულად გაიფანტება და გავრცელდება კონკრეტულ ტერიტორიაზე!

რაღა შორს ვეძებოთ საშიშროება... **აქვე, აეროპორტის დასახლებაში, რომ მოხდეს გაჟონვა მიწისქვეშა საწყობიდან, რაც მოხვდება მიწისქვეშა წყლებში; ან მომწამვლელი აირები თუ პათოგენური შტამები ქარმა გადაიტანოს, დაიწყება მძლავრი კრიზისი, რომელსაც ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემა ვერ გაუმკლავდება!**

შესაბამისად, ანუ პარალელური ამოცანაა ბიოლაბორატორიების მახლობლად ქაოსის ზონის შექმნა. ამრიგად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეუძლებელი იქნება რუსეთზე ამერიკის პირდაპირი შეტევა, ცენტრალური აზია და კავკასია შეიძლება იქცეს დასავლეთიდან მართულ მუდმივი ეპიდემიების კერად, სადაც მილიონობით ადამიანი დაავადდება და დაიღუპება, ასევე განადგურდება მოცემული ქვეყნის ეკონომიკა და სოციალური ინფრასტრუქტურა.

**რა მნიშვნელობა აქვს, მოსახლეობას რაკეტებით გაანადგურებ თუ ბიოლოგიური იარაღით? რუსეთი უკვე იმდენად გაღიზიანებულია, რომ ბიოლოგიური შეტევის ნებისმიერ გამოვლენას უმკაცრეს პასუხს გასცემს.** მოსახლეობამ ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს და თავის ხელისუფლებას ამ საფრთხეების საფუძველთა აღმოსაფხვრელად მოუწოდოს.





*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ლენინის ე.წ. „ანდერძის“ გასაჯაროება არც ტროცკის აწყობდა, არც – ზინოვიევს, არც – კამენევს და არც – სტალინს!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი* უმაღლესი ხელისუფლებისკენ სტალინის მიერ განვლილ გზას აღწერს და აცხადებს, რომ ლენინმა 1922-1923 წლებში მის წინააღმდეგ კოალიცია ვერ შეკრა. სამაგიეროდ, სტალინმა მოახერხა და ტროცკის უკიდეგანო პოლიტიკურ ამბიციებსა და ლენინის ავადმყოფურ ფანტაზიებს ლევ კამენევისა და გერშელ ზინოვიევის დუეტი დაუპირისპირა:**

— „სამხედრო კომუნიზმის“ იდეა საბჭოთა რუსეთში შემთხვევით არ დაბადებულა. ეს იყო იმ ტოტალური უღმერთობის შედეგი, რომელმაც მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე მთელი ევროპა წალეკა. ცაში აფრენამ, ელექტრონათურის ანთებამ და ავტომობილის შექმნამ ადამიანს ღმერთის არსებობა დაავიწყა და წარმოშვა ღრმა სულიერი კრიზისი, რაც, საბოლოო ჯამში, ღვთისმგმობელობასა და წმინდა სამების უარყოფაში გამოიხატა. აი, მაგალითად, **ლევ ტოლსტოი** უდიდესი მწერალი იყო, მაგრამ წმინდა სამებას უარყოფდა. ის დრო იდგა, როცა მთელი მსოფლიო მოიცვა ფუტურიზმმა, ავანგარდიზმმა, სიურრეალიზმმა. **მიგელ დე უნამუნო** იქამდეც კი მივიდა, რომ ამტკიცებდა — რომანის ნაცვლად „რიმინი“ თუ „რიმანი“ ვწეროთო! ზოგიერთები საზოგადოებას მოუწოდებდნენ — ხელებით ვიაროთ და ფეხებით ვჭამოთო! მოკლედ, რევოლუციურმა იდეოლოგიამ კაცობრიობა ამოაყირავა. ყველაზე უფრო გაბატონებულ თეორიად ადამიანის წარმოშობის შესახებ იქცა **დარვინიზმი,** რომელიც ამტკიცებს, რომ „ბუნებრივი გადარჩევა“ არის ლოგიკური დასაბუთება იმ ფაქტობრივი მდგომარეობისა, როცა ძლიერმა უნდა შეჭამოს სუსტი. ეს კი კანიბალიზმის იდეოლოგიაა.

### მრავალქმრიანობის შემოღება, სექსუალური აღვირახსნილობა, მაიმუნისა და ადამიანის სქესობრივი კავშირის შედეგად „ახალი ადამიანის“ დაბადების იდეა, ცხოველთა ორგანოების ადამიანისთვის გადანერგვის ცდუნება საბოლოოდ ქმნიდა იმ სიგიჟის საბურველს, რომელმაც „სამხედრო კომუნიზმი“ შვა.

ამიტომ ლენინისა და ტროცკის გიჟური მისწრაფებები ზეადამიანის შექმნის შესახებ, რამაც ისინი ყველაზე მდაბალი ფიზიოლოგიური ინსტინქტების ქება-დიდებამდე მიიყვანა, გასაკვირი სულაც არ არის.

**— თქვენ ამბობთ, რომ ლენინი და ტროცკი მაშინ გამონაკლისი არ ყოფილან და მთელი მსოფლიო გაგიჟდა?**

— დიახ, მაშინ მთელი ევროპა შეიშალა და რასაც ადრე **პათოლოგია** ერქვა, იმას **ავანგარდიზმი** დაერქვა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მაშინდელი რუსეთის მწერლებისა და პოეტების მთელი დასი და ისინიც კი, ვინც კომუნისტებს არ თანაუგრძნობდნენ ლენინის, ტროცკისა და რევოლუციის აპოლოგეტთა რიგებში აღმოჩნდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, **ნიკოლაი გუმილიოვი, ალექსანდრ ბლოკი, სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი.** გუმილიოვი ადრე დახვრიტეს, ხოლო მისი ცოლი **ანა ახმატოვა,** წინააღმდეგობის მიუხედავად, კომუნისტებთან მაინც თანამშრომლობდა. **ალექსანდრ ბლოკიც** ადრე დაიღუპა, 1921 წელს. ბრწყინვალე პოეტი **სერგეი ესენინი** ლევ ტროცკის უდიდესი აპოლოგეტი იყო, მაგრამ **მაიაკოვსკი** უფრო სტალინისტი გახლდათ. **მაქსიმ გორკი** ლენინის იდეებით მოიხიბლა, მაგრამ „სამხედრო კომუნიზმის“ სიგიჟემ აიძულა, რუსეთი დაეტოვებინა და დროებით იტალიაში გადახვეწილიყო.

პათოლოგიის აპოლოგიამ, რომელიც რუსეთსა და ევროპაში სახელმწიფოებრიობის განცდას, სახელმწიფო ინსტიტუტებს არყევდა და ანგრევდა, ყველაზე უფრო საშინელი სახე სწორედ რუსეთში შეიძინა. ტროცკის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო იმ ფორმით, რა ფორმითაც ის აქამდე არსებობდა, აღარ იარსებებდა. რუსეთში ყველაზე უფრო პოპულარული პარტია „ანარქისტ-სინდიკალისტთა მოძრაობა“ გახდა, რომლის მიზანიც სახელმწიფოს განადგურება იყო. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ანარქისტ-სინდიკალისტი გახლდათ **ნესტორ კალანდარიშვილი** — „ციმბირელი პაპა“, რომელიც **შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის** თავდაცვის მინისტრი იყო. უფრო მეტიც, სახელოვანი ქართველი მეცნიერი **მიხაკო წერეთელიც** კი ანარქისტებს თანაუგრძნობდა.

აი, ასეთ სიტუაციაში, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1929 წელს **ვლადიმერ მაიაკოვსკიმ** დაწერა ცნობილი ლექსი **„პასპორტი“,** რომელიც არის სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუციის აპოლოგია და ხოტბა. კაზაკობისა და მეფის ოფიცრების ოთხმოცმა პროცენტმა სტალინის ფრთას მხარი დაუჭირეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო „სახელმწიფოისტი“, ხოლო ტროცკი მიიჩნევდა, რომ რუსული სახელმწიფოს მომავალი მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა გერმანიას, რომლის ეკონომიკაც რუსულ ნედლეულთან და იაფ მუშახელთან ერთად მოახდენდა ფუროორს და რუსულ-გერმანული სახელმწიფოს სათავეში მოსული რუსული ელიტა ავტომატურად იქნებოდა გერმანიის ბატონ-პატრონიც. ლენინი გერმანიასთან ალიანსის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც ამას ტროცკი გეგმავდა.

**— სტალინი რას ფიქრობდა?**

— სტალინი ტროცკისა და ლენინის იდეებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და მიიჩნევდა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საბჭოთა სახელმწიფოთა კავშირი ეკონომიკურად უნდა ყოფილიყო ძლიერი და კონკურენტუნარიანი, ანუ სტალინი მხარს უჭერდა **დამოუკიდებელი, სუვერენული სლავური სახელმწიფოს** იდეას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც 1922-1923 წლებში რუსული ველიკოდერჟავული და იმპერიული ელიტა თავიდან ბოლომდე დადგა სტალი-




**ისტორიკოსის თვალით ★**

„როცა ტროცკი მოადგილეობაზე ვერ დაიყოლია და სტალინის წინააღმდეგ კოალიცია ვერ შეკრა, ლენინმა დაწერა ცნობილი მიმართვა — „წერილი ყრილობას“, რომელიც ცნობილია, როგორც „ლენინის ანდერძი!“



„ტროცკი ამპარტავნობამ დაღუპა!“



სერგო ორჯონიკიძე

„სერგო ორჯონიკიძის გარდა თითქმის ყველა გავლენიანი ქართველი კომუნისტი – ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ სტალინის წინააღმდეგ ლენინსა და ტროცკის შეეკრნენ!“

ნის გვერდით. **კამენევი, რიკოვი, მოლოტოვი და ბუხარინი, რომლებიც შემთხვევითი ფიგურები ნამდვილად არ ყოფილან, თავიდან ბოლომდე აღმოჩნდნენ სტალინის გვერდით.** თუ ამ ხალხს დავუმატებთ **სემიონ ბუდიონს, კლიმენტი ვოროშილოვსა და მიხეილ ფრუნზეს,** რომლებსაც წითელ არმიაში განუზომელი ავტორიტეტი ჰქონდათ, მაშინ გასაკვირი არ იქნება ის ამბავი, რომ 1924-1925 წლებში სტალინმა, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ხელისუფლებას ერთპიროვნულად დაეპატრონა.

**— მაინც როგორ გახდა სტალინი ერთპიროვნული ხელისუფალი?**

— სტალინს ხელები 1922 წლის აპრილში გაეხსნა, როცა ლენინს პირველი ინსულტი მოუვიდა. იგი სულ ახალი დანიშნული იყო კომპარტიის ცეკას გენერალურ მდივნად, როცა ლენინმა მეტყველების, აზროვნებისა და გადაადგილების უნარი დაკარგა. სტალინამდე კომპარტიაში არსებობდა პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობა. 1934 წლიდან 1966 წლამდე ტერმინი — **„გენერალური მდივანი“** საერთოდ გაქრა, ვიდრე **ბრეჟნევმა** ეს პოსტი არ აღადგინა და შეითავსა. სტალინამდე პასუხისმგებელი მდივანი იყო **ელენა სტასოვა,** შემდეგ — **ვიაჩესლავ მოლოტოვი.** 1922 წლის გაზაფხულზე, როცა ეს თანამდებობა სტალინმა დაიკავა, მას პატივი დასდეს და **პასუხისმგებელ მდივანს** დაარქვეს **გენერალური მდივანი** მიუხედავად იმისა, რომ მისი ფუნქციები არ გაზრდილა.

1934 წლის მე-17 ყრილობამდე სტალინმა პარტიის გენერალური მდივნის სტატუსით იმოღვაწა, მაგრამ შემდეგ ეს სტატუსი არსად უხსენებია.

**— მაინც რა ფუნქცია ჰქონდა პარტიის გენერალურ მდივანს?**

— პარტიის გენერალურ მდივანს ევალებოდა პარტიის ყრილობაზე, პლენუმსა და პოლიტბიუროზე განსახილველ თემათა დახარისხება, გამომსვლელთა შერჩევა, დღის წესრიგის შეთავაზება, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა კურირება და რეგიონებში პარტიული ბოსების კანდიდატთა წარდგენა. სტალინმა, რომელსაც პოლიტბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე ლენინის მდივან-რეფერენტის ფუნქცია ეკისრებოდა, გენერალური მდივნობა აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოიყენა. მან უკრაინის, მოსკოვისა და პეტროგრადის პარტიულ ორგანიზაციებში უზარმაზარი სამუშაო განახორციელა და 1923-1924 წლებში სამივე სტრუქტურა მისთვის საიმედო კადრებით დააკომპლექტა. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის საბჭოს — **ლევ კამენევი,** ხოლო პეტროგრადს **გერშონ ზინოვიევი** აკონტროლებდნენ, 1924 წლის მიწურულს, მოსკოვიცა და პეტროგრადიც სტალინის ფერხთით იყო გართხმული.

**— ნუთუ ლენინი და ტროცკი ვერ ხედავდნენ, როგორ ეპატრონებოდა სტალინი ხელისუფლებას?**

— **ლენინი** მონსტრი იყო და ვიდრე პირველი ინსულტი დაემართებოდა, პარტიაში დამოუკიდებლად მოძრაობის საშუალებას არავის აძლევდა. ეს კარგად გამოჩნდა 1922 წლის ოქტომბერში, როცა ლენინი გონს მოვიდა და აშკარად დაინახა, რომ სტალინი უმაღლესი ხელისუფლებისკენ მიილტვოდა. ის დრო იყო, როცა **კამენევი და ზინოვიევი** ჯერ კიდევ მოსკოვსა და პეტროგრადს ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ლაზარ კაგანოვიჩი უკრაინის შეფად დანიშნული არ გახლდათ. **ლენინი** მომენტალურად მიხვდა, რომ 1922 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე **სტალინი** სასწაულებრივად იყო გაძლიერებული. ამიტომაც თვალი გაახილა თუ არა, სტალინს მაშინვე ქართველი კომუნისტები — ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები“ მიუქსია. საკავშირო კომპარტიაში ქართველები ძალიან მცირე დოზით იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ თითოეული მათგანი ელიტას ეკუთვნოდა. **მამია ორახელაშვილი, აბელ ენუქიძე, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია,** რომლებსაც სტალინის წინააღმდეგ ლენინი აქეზებდა, ძალიან გავლენიანი პირები იყვნენ. როცა ლენინი ქართველი „ნაციონალ-უკლონისტების“ მხარეს დადგა, ამით ის საქართველოს კი არა, კომპარტიის იმ ქართულ სეგმენტს თანაუგრძნობდა, რომელსაც მოსკოვში წონა ჰქონდა. მეორე — აზრზე მოსულმა ლენინმა მაშინვე მოადგილეობა, ანუ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი და მემკვიდრის სტატუსი შესთავაზა **ლევ ტროცკის,** რომელსაც პირდაპირ თავში ჰქონდა ავარდნილი, მაგრამ უარი მიიღო!

**— ე.ი. ქართველი კომუნისტები ქართველ სტალინს დაუპირისპირდნენ და ლენინსა და ტროცკის შეეკრნენ?**

— დიახ, **სერგო ორჯონიკიძის** გარდა თითქმის ყველა გავლენიანი ქართველი კომუნისტი — ე.წ. **ნაციონალ-უკლონისტები** სტალინის წინააღმდეგ **ლენინსა და ტროცკის** შეეკრნენ! ლენინისდა საუბედუროდ, მან **ლევ კამენევისა და გერშელ ზინოვიევის** გადაბირება ვერ შეძლო. სამაგიეროდ, სტალინმა მოახერხა ის, რომ **ზინოვიევსა და კამენევს** ტრიუმვირატი შესთავაზა. სტალინი ძალიან ფრთხილობდა და ცდილობდა, ამ ტრიუმვირატში თავად ყველაზე ნაკლებად გამოჩენილიყო. სტალინმა წინა პლანზე თითქოსდა **ლევ კამენევი და გერშელ ზინოვიევი** გამოუშვა, რომლებსაც უძლიერესი პოლიტიკური ამბიციები ჰქონდათ, სინამდვილეში თავად ემზადებოდა ძალაუფლების ხელში ასაღებად. **ზინოვიევი** ამ დროს — კომინტერნის თავმჯდომარე და პეტროგრადის ორგანიზაციის შეფი, ხოლო **კამენევი** მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე და პოლიტბიუროს წევრი იყო.

**— რატომ ვერ აიყოლია ლენინმა ტროცკი?**

— **ტროცკი** ამპარტავნობამ დაღუპა! გაიხსენეთ გენიალური **ალ პაჩინოს** ერთ-ერთი კინოგმირი, რომელიც ამბობს — **„ამპარტავნობა ეშმაკის საყვარელი იარაღია!“** ტროცკი, რომელიც იყო წითელი არმიის შემქმნელი და რომელმაც გაიმარჯვა სამოქალაქო ომში, ისე გახლდათ გაყოყოჩებული, დროს ნადირობაში, ორატორულ ხელოვნებაში, ვარჯიშში, ლოთობასა და ეპისტოლარული ჟანრის ნაწარმოებების შექმნაში ატარებდა. ტროცკის თავში ისე ჰქონდა ავარდნილი, შესაძლო კონკურენტად სტალინის პიროვნების განხილვა სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა. ტროცკის პოლიტიკური კატასტროფის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად სწორედ ამპარტავნობა იქცა. იგი, როგორც „წითელი ბონაპარტი“, რომელიც საბჭოთა კავშირში უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი სტალინი ოდესმე მისი კონკურენტი გახდებოდა.

 აი, სწორედ ასეთ სიტუაციაში, როცა ტროცკი მოადგილეობაზე ვერ დაიყოლია და სტალინის წინააღმდეგ კოალიცია ვერ შეკრა, ლენინმა დაწერა ცნობილი მიმართვა — **„წერილი ყრილობას“,** რომელიც ცნობილია, როგორც „ლენინის ანდერძი“. **წერილში ლენინი ტროცკისაც ამათრახებს და სტალინსაც. ლენინი წერდა, რომ სტალინი არის უხეში და თუ ეს მეგობართა ვიწრო წრისთვის ასე თუ ისე ასატანი იყო, ამოდენა რუსეთის ხელისუფლების სათავეში ასეთი კაცის ყოფნა აუტანელი იქნება.**

ლენინი არ მალავდა, რომ გენერალური მდივნის პოსტი სტალინის ხელში გადაიქცა სერიოზულ იარაღად, რომელიც დემოკრატიას საფრთხეს უქმნიდა. აქედან გამომდინარე, **ლენინი ითხოვდა, სტალინი ხელისუფლებისთვის ჩამოეშორებინათ, თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ მას არც ტროცკიმ, კამენევმა და ზინოვიევმა გაუმართლეს!** ეს წერილი ყრილობას ერთი წლის შემდეგ წაუკითხეს, როცა ქვეყანაში პოლიტიკური რეალობა აბსოლუტურად შეცვლილი იყო.

**— ვინ დამალა წერილი?**

— ფაქტია, რომ **ლენინის ე.წ. „ანდერძის“ გასაჯაროება არც ტროცკის აწყობდა, არც — ზინოვიევს, არც — კამენევს და არც — სტალინს!**

## ლენინი ყრილობას მოუწოდებდა – სტალინი გენერალური მდივნობიდან გადააყენეთ, მაგრამ ამ პოსტზე არც – ტროცკის, არც – კამენევისა და არც ზინოვიევის მსგავსი ამბიციური ადამიანის დანიშვნა არ შეიძლება, ამიტომაც შემირჩიეთ ისეთი გენერალური მდივანი, რომელიც ამ ხალხს არ ჰგავსო!

ანუ ლენინი ითხოვდა **მონის** შერჩევას. ერთი წლის შემდეგ, როცა ეს წერილი წაიკითხეს, სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს **ალექსეი რიკოვი,** რომელიც მაშინ უკვე სტალინის ყმა იყო. ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეცვლილი გახლდათ და სტალინის წაქცევა ძალიან გაძნელებული იყო.


კამენევი


რიკოვი


ბუხარინი


ბუდიონი

**„კამენევი, რიკოვი, მოლოტოვი და ბუხარინი, რომლებიც შემთხვევითი ფიგურები ნამდვილად არ ყოფილან, თავიდან ბოლომდე აღმოჩნდნენ სტალინის გვერდით. თუ ამ ხალხს დავუმატებთ სემიონ ბუდიონს, კლიმენტი ვოროშილოვსა და მიხეილ ფრუნზეს, რომლებსაც წითელ არმიაში განუზომელი ავტორიტეტი ჰქონდათ, მაშინ გასაკვირი არ იქნება ის ამბავი, რომ 1924-1925 წლებში სტალინმა, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ხელისუფლებას ერთპიროვნულად დაეპატრონა!“**


სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი


ფრუნზე

**„სტალინს ხელები 1922 წლის აპრილში გაეხსნა, როცა ლენინს პირველი ინსულტი მოუვიდა!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## ლენინზე თავდასხმა მოხდა, რომელიც კინაღამ მისი დაღუპვით დასრულდა. ესერმა ფანი კაპლანმა მას მოწამლული ტყვიები ესროლა. მაგრამ აბსოლუტურად არაფერია ცნობილი სტალინზე თავდასხმის შესახებ. იყო თუ არა ასეთი მცდელობა და თუ იყო, როგორი რეაქცია ჰქონდა ამაზე გენმდივანს?



მართალი ბრძანდებით, **1918 წელს ლენინზე** თავდასხმა მოხდა, რომელიც მისთვის კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. **ლენინს მიხელსონის ქარხნიდან გამოსვლის შემდეგ ესროლეს, სადაც ის მუშების წინ სიტყვით გამოდიოდა.** მაგრამ **ფანი კაპლანმა** ესროლა თუ ვინმე სხვამ — დღემდე გამოცანად რჩება. საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულის ადგილზე დაკავებული **კაპლანი,** რომელიც ნამდვილად ესერი იყო, მანამდე კი — აქტიური ანარქისტი, და სიცოცხლის მეტი წილი ციხეში ჰქონდა გატარებული, ნახევრად ბრმა იყო და დამიზნებით სროლას ვერ შეძლებდა. იარაღი მისთვის არ აღმოუჩენიათ. ის რევოლვერი, რომელიც ადგილზე იპოვეს (მეორე დღეს!), უბრალოდ, მიაწერეს **კაპლანს.** ბუნებრივია, არანაირი ექსპერტიზა არ ჩატარებულა, დაკავებულის დაკითხვა ხანმოკლე იყო და მიუხედავად იმისა, რომ **კაპლანი** თავდასხმაში მონაწილეობას უარყოფდა, ის რამდენიმე დღეში ყოველგვარი სასამართლოს გარეშე დახვრიტეს. ასე რომ, ვინ ესროლა სინამდვილეში **ლენინს,** დღემდე უცნობია. ტყვიები მართლაც მოწამლული იყო, მაგრამ, როგორც გამოძიებამ დაადგინა, გასროლის მომენტისთვის შხამი აორთქლდა და **ლენინისთვის** ზიანი არ მიუყენებია.

იყო თუ არა **სტალინზე** თავდასხმის მცდელობა? ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ეპიზოდი არსებობს, მაგრამ დაბეჯითებით მტკიცება, რომ ეს თავდასხმები იყო, არ შეიძლება. **პირველი: 1933 წლის 25 აგვისტოს სტალინი მატარებლით ჩავიდა სოჭში დასასვენებლად. სადგურიდან ვოროშილოვთან და დაცვასთან ერთად ის „ბიუიკით“ გაემგზავრა თავის რეზიდენციაში. ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში უცაბედად გამოვარდნილმა სატვირთო მანქანამ სტალინის ავტომობილი გაიტანა. დაცვამ ცეცხლი გახსნა, მაგრამ სატვირთოს მძღოლმა გაქცევა მოასწრო. ეს თავდასხმის მცდელობა იყო თუ მძღოლმა, უბრალოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა, ვერ გაარკვიეს. მძღოლი ვერ იპოვეს. სატვირთო მანქანა, როგორც დადგინდა, ადგილობრივი ავტობაზიდან უცნობმა პირმა გაიტაცა.**

იმავე წლის **23 სექტემბერს კატერ „კრასნაია ზვეზდას“,** რომელზეც **სტალინი, ვოროშილოვი, ბერია, ლაკობა** და სხვა ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ, **გაგრასთან** ჩავლისას ნაპირიდან სროლა აუტეხეს. გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი სახკომი **გოგლიძე** ატარებდა. გაირკვა, რომ შეზარხოშებულმა მესაზღვრეებმა ისროლეს, რომლებსაც სამთავრობო კატერი უცხოურ გემად მოეჩვენათ. პირადად **სტალინის** განკარგულებით არცერთი დამნაშავე არ დასჯილა. მხოლოდ სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი **ლავროვი** ჩამოაქვეითეს.

და მესამე — თუმცა, ეს ნამდვილად არ იყო თავდასხმა. ომის დასასრულს ბელადი სტალინგრადში ჩავიდა ნანგრევებად ქცეული გმირი ქალაქის დასათვალიერებლად. მოულოდნელად ის კინაღამ სატვირთო მანქანამ (ისევ) გაიტანა, რომელსაც ქალი მართავდა. დაცვამ ის მყისვე შეიპყრო, მაგრამ სტალინმა ბრძანა: **„დაანებეთ თავი ამ ქალს. ის დამნაშავე არ არის. დამნაშავეა ომი, რომელმაც გვაიძულა, სატვირთო მანქანების საჭესთან ქალები დაგვესვა“.**

აი, როგორ შეხვდა **სტალინი** მისი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს. საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, **გენმდივნისათვის ტყვია მაინც ვერ მოიძებნა.**

## დაწვრილებით გვაინტერესებს, როგორ მიაღწია ნიკიტა ხრუშჩოვმა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამდე. სტალინის სიცოცხლეში ხომ პოლიტბიუროს ყველა წევრი მას მასხარად აღიქვამდა, და უცებ ასეთი ვერტიკალური აფრენა.

მართლაც რომ ვერტიკალური აფრენაა. და სავსებით მართალი ბრძანდებით — **სტალინის** სიცოცხლეში მისი, როგორც ქვეყნის და პარტიის ლიდერის აქციები არაფრად ფასობდა. აი, რა მოხდა. ბელადის საიდუმლოებით მოცული სიკვდილის შემდეგ საჭესთან ტრიუმვირატი დადგა — **მალენკოვი, ბერია, ხრუშჩოვი.** ამასთან, პირველი ფორმალური ლიდერის როლს ასრულებდა, მთელი რეალური ძალაუფლება **ბერიას** ხელში იყო თავმოყრილი, **ხრუშჩოვს** კი ცკ-ის რიგითი მდივნის რანგში პარტიული აპარატის ხელმძღვანელობა დაევალა. მას შემდეგ, რაც საიდუმლო ინტრიგების დახმარებით **ხრუშჩოვმა მალენკოვი ბერიას** წინააღმდეგ გამოსვლაზე დაითანხმა და მისი ლიკვიდირება შეძლო, ხელისუფლება, ფაქტობრივად, მათ შორის გაიყო — სახელმწიფო **მალენკოვის** ხელში აღმოჩნდა, პარტია — **ხრუშჩოვის.** აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალურად პარტიის მეთაურად ისევ **მალენკოვი** ითვლებოდა, რომელსაც, **სტალინის** მსგავსად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და ცკ-ის მდივნის თანამდებობები ეკავა. ის თავმჯდომარეობდა პოლიტბიუროს და სამდივნოს სხდომებსაც. მაშინ, **1953 წლის ივლისში ხრუშჩოვმა** პირფერულად დასვა საკითხი: **„ჩვენ კოლექტიური ხელმძღვანელობა გვაქვს, თითოეული თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. ისედაც გადატვირთული ამხანაგი მალენკოვი ცკ-ის პოლიტბიუროზე და სამდივნოს სხდომებზე თავმჯდომარეობისაგან უნდა გავათავისუფლოთ“.** გულუბრყვილო **მალენკოვი,** რომელიც ხრიკს ვერ მიუხვდა, დათანხმდა. და მას შემდეგ უმაღლესი პარტიული ორგანოს ყველა სხდომა **ხრუშჩოვს** მიჰყავდა. პირველი ნაბიჯი გადაიდგა. მაგრამ მადა, მოგეხსენებათ, ჭამაში მოდის. სექტემბრის პლენუმზე **ხრუშჩოვმა,** იმ მოტივით, რომ ცკ-ის რიგითი მდივნის რანგში მყოფს უფლება არ აქვს, პარტიულ ორგანოებს უხელმძღვანელოს, წინადადება შეიტანა, პირველი მდივნის პოსტი შემოეღოთ. და აქ **მალენკოვმა,** თავისდა საუბედუროდ, თვითონ წამოაყენა **ხრუშჩოვის** კანდიდატურა. დანარჩენი კი სააპარატო ტექნიკის საქმე იყო, რომელშიც გარეგნულად მიამიტი **ხრუშჩოვი** გაწაფული ოსტატი და ინტრიგანი გახლდათ. მის წინააღმდეგ „ანტიპარტიული ჯგუფის“ გამოსვლის შემდეგ მან მალენკოვის ბორტიდან გადაგდება და ამ პოსტზე ყველაფერში მისი მორჩილი **ბულგანინის** დანიშვნა შეძლო. თანამდებობაზე დიდხანს ვერც ის დაყოვნდა. და **ხრუშჩოვმა** ორივე — მთავრობის და პარტიის ხელმძღვანელობა ჩაიგდო ხელში. ასეთი იყო მოკლედ **ნიკიტას გზა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ.**



1952 წლის ოქტომბერი, სკკპ XIX ყრილობის პრეზიდიუმი. ნიკიტა ხრუშჩოვი ჯერჯერობით იოსებ სტალინის ზურგს ეფარება

## კალინინი სტალინის დროს სახელმწიფოს ნომინალური მეთაური, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, როგორც ახლა იტყოდნენ – პრეზიდენტი იყო. თავად სტალინს პარტიის გენმდივნის, მოგვიანებით კი მთავრობის მეთაურის – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტები ეკავა. მაგრამ პარადოქსია – „პრეზიდენტის“ მეუღლე 1937 წლიდან ბანაკში იყო. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო და რაში ადანაშაულებდნენ მას?



მართლაც, სსრკ-ის ნომინალური „პრეზიდენტის“ **კალინინის მეუღლე, თანამედროვე ენით „პირველი ლედი“ 1938 წლის ოქტომბრიდან 1945 წლის მაისამდე პატიმარი იყო.** ამისი ახსნა, ალბათ, იმით შეიძლება, რომ კანონი მკაცრი, მაგრამ ყველასათვის ერთი იყო, მათ შორის უმაღლეს ხელისუფალთა ოჯახის წევრებისთვისაც.

**რა დააშავა კალინინის მეუღლემ? ეკატერინა კალინინა** (ქალიშვილობაში ლორბერგი) **1938 წლის 25 ოქტომბერს** დააპატიმრეს ანტისაბჭოთა საქმიანობაში და ტროცკისტებთან და ბუხარინელებთან კავშირში ბრალდებით. მეტიც, გამოძიებამ დაადგინა, რომ **ე. ლორბერგი** იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას (რსფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი) და **„აქტიურად ეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს სასჯელისაგან თავის დაძვრენაში, ანტისაბჭოთა კრებებისთვის თავის ბინას უთმობდა, საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა“.** წაყენებულ ბრალდებებში **ლორბერგ-კალინინამ** თავი მთლიანად დამნაშავედ ცნო.

გარდა ამისა, გამოძიების მასალების მიხედვით, კალინინის ცოლი **„თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამოყენებით სპეცსაცავიდან ბევრ ძვირფას ნივთს დაეპატრონა, მათ შორის მეფის ძვირფასეულობას, რომელსაც ურცხვად ატარებდა ხალხში, საზოგადოებაში“.**



ეკატერინე ივანეს ასული ლორბერგ-კალინინა

**1939 წლის 22 აპრილს** სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ **ეკატერინე ივანეს ასულ ლორბერგ-კალინინას** რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის **58-6, 58-8, 58-11 მუხლებით შრომა-გასწორების ბანაკში 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა მომდევნო 5 წლით უფლებების ჩამორთმევით.**

**1945 წლის 9 მაისს ე. კალინინამ** ბანაკიდან **სტალინს** წერილი მისწერა, რომელშიც მთლიანად აცნობიერებდა თავის დანაშაულს, შეწყალებას და **„დარჩენილი სიცოცხლის შვილების გვერდით გატარების შესაძლებლობის“** მიცემას სთხოვდა.

**სტალინის** რეზოლუცია ამ წერილზე ასეთი იყო: **„ამხ. გორკინს** *(სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — რედ.).* **ვფიქრობ, უნდა შევიწყალოთ და დაუყოვნებლივ გავათავისუფლოთ, თანაც შეწყალებულის მოსკოვში ჩამოსვლა უზრუნველვყოთ. ი. სტალინი“.**

1945 წლის 11 ივლისს პრეზიდიუმმა კალინინას შეწყალების შუამდგომლობა განიხილა და დაადგინა: **„ეკატერინე ივანეს ასული კალინინა შეწყალებული იქნეს, ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან და მოეხსნას უფლებების ჩამორთმევა და ნასამართლობა“.**

2024 წლის 12 თებერვალი, №9-10 (245-246)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# „არ დაგიმალავთ, ხანდახან ასეთი სურვილიც მაქვს, ნეტა, 24 საათით გააცოცხლა სტალინი-მეთქი. მაშინვე დადგებოდა დღის წესრიგში ექიმების საქმეც და ბევრი სხვა დამნაშავის დასჯის საკითხიც!“



## ლალი მოროშკინა:

# დღეს გვაქვს ისტორიული შანსი, დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ!

***პიარტექნოლოგი, ჟურნალისტი და პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ აუცილებელია, სახელმწიფო სტრუქტურები მესაბოტაჟეებისაგან გაიწმინდოს:***

— **ბიძინა ივანიშვილი** სერიოზული ცვლილებებისთვის დაბრუნდა. მის რიტორიკაში შეიმჩნევა, რომ ბევრი რამ ბოლომდე არ იცოდა, რაც სამინისტროებსა და ოფიციალურ ორგანოებში ხდებოდა. ხშირად გადაწყვეტილებები სუბიექტურად — ახლობლობით, მეგობრობით, ძმაკაცობით იყო მიღებული. შეცდომები იქნა დაშვებული კადრების კუთხითაც. ბევრი პროფესიონალი არის გარეთ და არაპროფესიონალი — სახელმწიფო მმართველობის სადავეებთან. მე, როგორც ამ ხელისუფლების გულშემატკივარს, არ მომწონს ეს და, როგორც ვხედავ, არც ბიძინა ივანიშვილს მოსწონს. გარდა იმისა, რომ კარგი ინტუიცია აქვს, შორსმჭვრეტელიც არის, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი ადამიანია და გრძნობს, რომ ცვლილებების დროა. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის რეაქცია მკაცრი იქნება და საკადრის პასუხს გასცემს ყველას, ვინც ქვეყნის განვითარების პროცესს აფერხებს.

ის, რომ 2012 წლიდან ველოდებით რეჟიმის დასჯას და მოვითხოვთ სააკაშვილის ციხეში გადაყვანას, ამაზე აღარ ვლაპარაკობ, დღეს იმის შესახებ უნდა ითქვას, კონკრეტულად ვინ ახდენს საბოტაჟს! ინფორმაციის დიდი ნაკადის გადინება იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების შიგნით ღალატია. არ შეიძლება, ყველაზე ადრე ოპოზიციონერები იგებდნენ თუნდაც სამთავრობო ცვლილებების შესახებ, ვიდრე მთავრობის ზოგიერთი წევრი!

თუ არჩევნებამდე არ მოხდა დასასჯელთა დასჯა, მესაბოტაჟეთა გამოვლენა და თანამდებობებიდან ჩამოცილება, ქვეყნის წინსვლისთვის ძალიან ცუდი იქნება!

**— ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ პირველი სვლა უკვე გააკეთა — ქვეყანას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს — ირაკლი კობახიძე!**

— ვფიქრობ, **ირაკლი ღარიბაშვილის** ქარიზმიდან გამომდინარე, უფრო საინტერესო იქნება ამომრჩეველთან მისი საუბარი. რაც შეეხება **ირაკლი კობახიძეს,** იგი გახლავთ ახალი თაობის ლიდერი, რომელმაც შეიძლება ემოცია დიდად ვერ გამოხატოს, მაგრამ ადამიანი ერთი სიტყვით განგმიროს! ორივე ირაკლის აქვს თავისი დამახასიათებელი თვისებები და ბიძინა ივანიშვილმა იცის, დღევანდელ პოლიტიკურ მოცემულობაში ვინ რომელ თანამდებობაზე უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება. **გადახალისება ცუდი არ არის, თუმცა, ვფიქრობ, გარკვეული წმენდა ყველა საჯარო უწყებაში უნდა ჩატარდეს!**

**— ეს ერთგვარი რჩევაა ახალი პრემიერისადმი?**

— ამ ხელისუფლების გულშემატკივრებს სამი ძირითადი თხოვნა გვაქვს დღეს ხელისუფლებასთან, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ამას ახალი პრემიერიც გაითვალისწინებს — გაცილებით უფრო ახლოს ყოფნა ადამიანებთან, სტრუქტურების გაწმენდა და რუსეთთან მოლაპარაკების პროცესის დაწყება!

დღეს გვაქვს ისტორიული შანსი, დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, რადგან ჩინური და რუსული ინტერესი ერთმანეთთან გადაიკვეთა.

**ისიც საგულისხმოა, რომ რუსეთმა ერთი რუბლიც არ გაიმეტა ოსებისა და აფხაზებისთვის, მაშინ, როდესაც მიწასთან გასწორებულ მარიუპოლში დღეს ერთი დანგრეული სახლიც აღარ არის.**

ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია, რა ფიგურები იქნებიან ამ პროცესში ჩართულნი.

სახალხო დიპლომატიას დავარქმევთ თუ რაიმე სხვას, ჩვენც გვაქვს დაფარული კონტაქტები რუსეთთან. მისი არგამოყენება დანაშაული იქნება ქვეყნის წინაშე. **თუ ჩვენ ახლა არ დავძარით ეს პროცესი, როდესაც რუსეთი უკრაინაზე გამარჯვებას გააფორმებს, ხოლო ევროკავშირი და ნატო ტაშს დაუკრავს ომის დასრულებას, მერე გვიანი იქნება.** ისტორიული შანსი მხოლოდ ერთხელ გვეძლევა და, თუ ჩვენმა თაობამ არ დაიბრუნა წართმეული ტერიტორიები, 2000-იან წლებში დაბადებული ახალგაზრდების ინტერესში ეს საკითხი საერთოდ აღარ შევა. საქართველო სამარადჟამოდ დარჩება დანაწევრებული და დაკნინებული. ამიტომაც სასწრაფოდ უნდა მოიშორონ ის ადამიანები, რომლებიც ამ პროცესს ან ეწინააღმდეგებიან, ან არასწორად ავითარებენ!

**— ამასობაში მიხეილ სააკაშვილი აანონსებს, რომ მზად არის, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური აქტივობის კომიტეტს ჩაუდგეს სათავეში.**

— თავის დროზე ის ექიმები რომ დასჯილიყვნენ, ვინც სააკაშვილს სიცოცხლის 72 საათს აძლევდა, დღეს ის კლინიკაში არ იქნებოდა წამოწოლილი და მსგავს განცხადებებს არ გააკეთებდა.

**პროკურატურამ უნდა ჩამოიღოს მტვერდადებული საქმეები, რომელშიც სააკაშვილის არაერთი ბრალეულობა იკვეთება. სიმტკიცე გამოავლინონ და ციხეში გადააბრძანონ!**

**მესმის, რომ ეშინია და ფობიები აქვს, მაგრამ იმ ადამიანებმა რა დააშავეს, ვისაც რეჟიმის დროს ყველაფერი წაართვეს და ჯერ მათთვის სამართალი არ აღმდგარა?!**

2-3 კაცის გარდა არავინ არის რეაბილიტირებული. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვრჩეთ ლოლიაობას ამ მაოხრებელ გზირთან და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება!

კიდევ ერთხელ ვამბობ — **ან ნობელის პრემიაზე წარვადგინოთ ის ექიმები, რომლებმაც სააკაშვილი დემენციისგან განკურნეს, ან მათი დასჯა მოვითხოვოთ!** ასეთ უბედურებაში იმიტომ ვართ, რომ ჯეროვნად არავინ დავსაჯეთ. ჩვენმა ზედმეტმა ჰუმანურობამ მიგვიყვანა აქამდე! არ დაგიმალავთ, ხანდახან ასეთი სურვილიც მაქვს, ნეტა, 24 საათით გააცოცხლა სტალინი-მეთქი. მაშინვე დადგებოდა დღის წესრიგში ექიმების საქმეც და ბევრი სხვა დამნაშავის დასჯის საკითხიც!

მეტად პრინციპულები უნდა ვიყოთ! მსგავსი შეცდომები არ უნდა დავუშვათ, რაც თუნდაც **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“** კანონთან დაკავშირებით მოხდა. კანონი ჯეროვნად არ იყო სამსჯავროზე გამოტანილი და უკან გაიწვიეს. რატომ? **იმიტომ, რომ 2-3 ბავშვის ჭყლოპინს აჰყევით?! თუ იმიტომ, რომ არასამთავრობოებმა კარგად იმუშავეს და ლამის აგვიყირავეს ქვეყანა?!**

**რატომ არ უნდა ვიცოდე მე, რომელ არასამთავრობოს რამდენი ფული აქვს აღებული იმისთვის, რომ ჩემი ქვეყანა დააჩოქონ და ომში ჩაითრიონ?!**

პიარი არ გვინდაო, რომ ამბობენ, აბა, როგორ უნდა გავაგებინოთ საზოგადოებას, რომ ზუსტად იგივე კანონი აქვს ამერიკას და ევროპას მიღებული?! **ვფიქრობ, ამ კანონს თავიდან დაუბრუნდეს პარლამენტი, ოღონდ უფრო პრინციპულ და პროფესიონალ კადრებთან ერთად, ვინც ფულზე კი არა, სამშობლოზეა შეყვარებული!**

გულით ვგულშემატკივრობ **ირაკლი კობახიძეს,** იმედი მაქვს, ამ ყველაფერს კარგად გაართმევს თავს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




**„თავის დროზე ის ექიმები რომ დასჯილიყვნენ, ვინც სააკაშვილს სიცოცხლის 72 საათს აძლევდა, დღეს ის კლინიკაში არ იქნებოდა წამოწოლილი და მსგავს განცხადებებს არ გააკეთებდა!“**

**„მოვრჩეთ ლოლიაობას მაოხრებელ გზირთან – სააკაშვილთან და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება!“**

*ცნობილი ბიზნესმენი და საკაშვილის კვაზიფაშისტური ხროვის მიერ ერთ დროს ქვეყნიდან უსამართლოდ განდევნილი გოჩა ძასოხოვი საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას მიმართავს და სამართალს ითხოვს. ქველმოქმედი, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, სასამართლოსა და სამშენებლო ბიზნესში მოკალათებულ თაღლითებს ამხელს. საქმე ეხება თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №1-ში, წლების განმავლობაში მიმდინარე მშენებლობას, სადაც ერთი კარგი თბილისელი კაცის — თემა ჩარკვიანის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, ძასოხოვის განცხადებით, მმართველობის სადავეებს სწორედ თაღლითები დაეპატრონნენ და აურაცხელი თანხები მიიტაცეს:*



**„ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ვიღაცებს რაღაც-რაღაცების სააშკარაოზე გამოტანა არ უნდოდათ!“**

# გოჩა ძასოხოვი: ხელისუფლებისადმი ერთადერთი თხოვნა მაქვს – ჩემს სიმართლეს ნუ დამიკარგავთ!

— საქართველოში არსებული რეალობა უფრო იმედის მომცემია მოსახლეობისთვის, ვიდრე პესიმიზმისა და უიმედობის. ის, რომ ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის კანდიდატის სტატუს იმსახურებს, ესეც დეკლარირებული ფაქტია. ალბათ, იმ საშინაო დავალებების ჩამონათვალსაც შევასრულებთ და მომავალში ევროკავშირის სტატუსსაც მივიღებთ, რასაც ვიმსახურებთ ჩვენი ისტორიით, კულტურით, თვითმყოფადობით და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი გენეტიკური კოდით. მოგეხსენებათ, ევროკავშირის ყველა სიკეთის არსებობისთვის, რომელსაც მომავალში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ეზიარებიან, მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების სამართლიანობა. იმედია, სასამართლო ღირსეულად ფორმირდება და დაიხვეწება, თუმცა, მანამდე საზოგადოებაში მაინც არსებობს იმის სამართლიანი განცდა, რომ თემიდა ცოტა არ იყოს, მიკერძოებულია. ამ სასტიკ და სამწუხარო რეალობას მეც შევეჯახე და გაკვირვებულიც დავრჩი. სიმართლე გითხრათ, აღარ მეგონა, თუ სასამართლოს რიგებში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტების მანტიას მატერიალურ ღირებულებებზე აკონვერტირებდნენ!

**— მაინც რა პრობლემა შეგექმნათ, სამართალი ვერ იპოვეთ?**

— ჩვენს ქალაქში დადიოდა ერთი უწესიერესი კაცი, ცნობილი თავისი გვარიშვილობითა და ჩამომავლობით, რომელმაც, როგორც მშენებელმა, ბევრი კეთილშობილური საქმე გააკეთა და ბევრს დაეხმარა. ეს გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი, ცხონებული **თემა ჩარკვიანი.** თუ როგორ ტრაგიკულად დაიღუპა ეს კაცი და რა მოხდა, ამას არ შევეხები, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ **თემა ჩარკვიანი შეეწირა სააკაშვილის რეჟიმს.**

**— ჩემთვის ცნობილია, რომ თემა ჩარკვიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა ზურაბ ადეიშვილმა. ჩარკვიანმა ამის შესახებ სიკვდილის წინ წერილიც კი დაწერა და ხელი სწორედ ადეიშვილს დაადო!**

— ბატონი **თემა ჩარკვიანი,** რომელსაც კარგად ვიცნობდი და ვთანამშრომლობდით, 2006 წელს ჩემთან მოვიდა და ბიზნესწინადადება შემომთავაზა. ამ დროს იგი სამშენებლო კომპანია „თბილისის“ დირექტორი და, ამავდროულად, ამხანაგობა **„ბაგები 504“-ის** თავმჯდომარე იყო, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ფინანსური მართვის უფლება პირველი ხელის მოწერის უფლებით და „ბაგები 504“-ის სახელით ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელება შეეძლო.

როგორც მან ამიხსნა, თბილისში, ყიფშიძის ქუჩის №1-ში, იყო პრობლემური მშენებლობა, რომელშიც დიდი ფული იყო ჩადებული, მაგრამ, რაკი კრედიტი უკან ვერ ბრუნდებოდა, **„ვითიბი ბანკი“** აპირებდა მთელი მიწის გაყიდვას, რაც გამოიწვევდა ყველას, მათ შორის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა მენაშენეების მშრალზე დატოვებას. შევთანხმდით და მიწის გამოსყიდვის სანაცვლოდ, რაც შესაბამის დოკუმენტებში ხაზგასმით წერია, სამ ეტაპად გადავიხადე სოლიდური თანხა.

პირველ ეტაპზე „ბაგები 504“-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის იპოთეკისაგან განთავისუფლების მიზნით, 2008 წლის 05 ივნისს გადავიხადე **1 მილიონი აშშ დოლარი;** 2008 წლის 1 ივლისს — **500 ათასი აშშ დოლარი,** ხოლო 2008 წლის 1 აგვისტოს — **1 მილიონ 300 ათასი აშშ დოლარი.** მოკლედ, 2008 წლის 1 აგვისტოს, ჩემ მიერ დავალიანების სრულად დაფარვისთანავე, „ვითიბი ბანკმა“ წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა „ბაგები 504“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული იპოთეკის მოხსნა. 2008 წლის 1 აგვისტოს ამხანაგობა „ბაგები 504“-ის თავმჯდომარე **თეიმურაზ ჩარკვიანსა** და ჩემს შორის გაფორმდა შეთანხმება ამხანაგობა „ბაგები 504“-ის ბინათმშენებლობის ძირითადი სამშენებლო პარამეტრების განაწილების შესახებ, რომლის თანახმადაც მე, **გოჩა ძასოხოვს,** მშენებლობის დასრულების შემდეგ, ჩემ მიერ გადახდილი თანხის სანაცვლოდ, ამ საცხოვრებელ კომპლექსში უნდა მიმეღო **16 486 კვადრატული მეტრი** ფართი, საცხოვრებელი და კომერციული ფართების ჩათვლით. ამხანაგობა „ბაგები 504“-ის ვალდებულება, რომელიც მან ჩემ მიმართ აიღო, დღემდე შესრულებული არ არის!

**— შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა?**

— მოკლედ, ბოლო ტრანში 2008 წლის 1 აგვისტოს განვახორციელე და უკანასკნელად **1 მილიონ 300 ათასი დოლარი** გადავრიცხე. საერთო ჯამში, ლაპარაკია ამხანაგობა **„ბაგები 504“-სთვის 2 მილიონ 800 ათასი აშშ დოლარის** გადარიცხვაზე, რათა ბანკს არ გაეყიდა მიწის ნაკვეთი, გაგრძელებულიყო მშენებლობა და ამხანაგობის ყველა მონაწილეს მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიკეთე. საერთო ჯამში, დაახლოებით 80 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის შენობა უნდა აეშენებინათ.

მოკლედ, გარდა იმისა, რომ ჩემი ბიზნესინტერესები მქონდა, **თემა ჩარკვიანს** გვერდით კაცურად დავუდექი. ამას მაშინ ბევრი ვერ გარისკავდა. ამასობაში 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყო, გავხდი პოლიტიკური დევნილი და ველარ დავბრუნდი სამშობლოში, ხოლო აწ განსვენებული **თემა ჩარკვიანი,** რომელსაც ააშენებინეს სიღნაღი და ქუთაისის ძველი უბანი, დატოვეს ყველაფრის გარეშე

**„მოვითხოვ, საქმე დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს, ამინაზღაურდეს მიყენებული ზარალი და კომპანია „გუმბათი-ჰოლდინგს“, რომელიც დღეს აგრძელებს ამ მშენებლობას, განემარტოს, რომ სხვის უბედურებაზე ბედნიერებას ვერ ააგებს!“**

GUMBATI HOLDING

## კვირგვინოსნები

**ხატია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**სააკაშვილი** არის უკრაინის მოქალაქე და **უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა იყოს.**

„იმედინიუსი“

**მიხაილ პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველი*



**სააკაშვილის ბედი ჩვენთვის პრიორიტეტულია,** უკრაინა დაინტერესებულია, რომ **სააკაშვილი იყოს თავისუფალი.**

„პირველი არხი“

**დავით ხაჯიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ვთავაზობთ პრეზიდენტს,** თუ ერთობაზეა საუბარი, თანაბარ ვითარებაში სცობს წარიმართოს წინასაარჩევნო პროცესი და **სააკაშვილი გაათავისუფლოს.**

„TV იმედი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



წინა **9 წელთან ერთად** განვლილი **12 წელიც** დავკარგეთ, როგორმე ბოლო **9 თვესაც** გაგიძლებთ.

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**თინა ხიდაშელს, დავით უსუფაშვილს** არავინ ახსენებს თავის წარსულ შეცდომებს. **ყველაფერი, რის გამოც ახლა აღშფოთებულები ვართ, მათი მონაწილეობით მოხდა.**

„პალიტრანიუსი“

**ნიკა მაჭუტაძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ქართველობა არ არის** მხოლოდ დღეს ცოცხალი ადამიანების ერთობა, **ქართველობა არის ის,** ვინც დღეს უკვე აღარ არის ცოცხალი და ისიც, ვინც ჯერ არ დაბადებულა.

„პირველი არხი“

# «ჩემსას ვითხოვ და სხვის საკუთრებაში არ ვიჭრები!»



და გაძარცვეს. ემიგრაციაში ყოფნის დროს ცხონებული თემა მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ აუცილებლად იპოვიდა სპონსორს, მშენებლობას გააგრძელებდა და ა.შ. ანუ **თემა ჩარკვიანი** მომხდარს განიცდიდა, სულ კონტაქტზე იყო, არ დამალულა, რადგან ეს მისი ცხოვრების წესი გახლდათ. ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსშია ღირსეული პიროვნება, ბატონი **ჯიმი ყიფიანი,** რომლის იურიდიული კომპანიაც ათეული წლებია, რაც ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების იურიდიულ მომსახურებას ახორციელებს. ბატონი თემას ინიციატივით, ჩვენ შორის ვალის აღიარების ხელშეკრულებაც კი გაფორმდა. თვითონ ისეთი ადამიანი იყო, თავად მოინდომა ეს ყველაფერი. მალე ბატონი თემა დაიღუპა.

**ემიგრაციიდან რომ დავბრუნდი, პირველი, რაც გავაკეთე, შევხვდი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. იყო ოვაციები, ტაში და დაპირება, რომ ყველაფერი ბოლომდე მივიდოდა, მაგრამ პროცესები საეჭვოდ გაგრძელდა.**

**— მაინც რა მოხდა?**

— 2016 წელს კომპანიამ, რომელმაც მშენებლობის დასრულება ითავა, მოითხოვა სრული დოკუმენტაცია. როცა **„ბაგები 504“-ის** იურიდიული სამსახურის წინაშე ეს მოთხოვნა დავაყენე, რაღაც-რაღაცებზე აგრესიული პასუხები მივიღე, ხოლო რაღაცებზე საერთოდ არ მიპასუხეს.

**— რას მალავდნენ?**

— ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ვიღაცებს რაღაც-რაღაცების სააშკარაოზე გამოტანა არ უნდოდათ!

**— თემა ჩარკვიანის დაღუპვის შემდეგ კომპანიას ვინ ხელმძღვანელობს?**

— როგორც ვიცი,

## ცხონებული თემა ჩარკვიანის დაღუპვის შემდეგ ამხანაგობის სხვა ხელმძღვანელების მხრიდან ადგილი ჰქონდა თანხების მიტაცებას, განიავებასა და გადასახადების დამალვას, რის გამოც

## ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **მოვითხოვ, საქმე დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს, ამინაზღაურდეს მიყენებული ზარალი და კომპანია „გუმბათი-ჰოლდინგს“, რომელიც დღეს აგრძელებს ამ მშენებლობას, განემარტოს, რომ სხვის უბედურებაზე ბედნიერებას ვერ ააგებს.**

**— საქმე დღეს აპელაციაშია?**

— დიახ, აპელაციაშია! **ჩემი ინფორმაციით, „გუმბათი-ჰოლდინგის“ მხრიდან მოხდა სასამართლოზე ზეწოლა...** უნდათ, უკანონობა დააკანონონ და ყველაფერი ცხონებულ თემა ჩარკვიანს გადააბრალონ, რომელიც მართლაც ღირსეული პიროვნება იყო. მეუბნებიან, რომ ამ მშენებლობით „გუმბათის“ დამფუძნებლები ე.წ. ქოლცენტრებში ხალხის გაძარცვით ნაშოვნი ფულების „გათეთრებას“ ცდილობენ! მიმაჩნია, რომ მოსამართლემ არც უნდა დაუშვას და ვერც თავად უნდა გაბედოს მსგავსი თავხედობა!

**— რას ითხოვთ?**

— კიდევ ერთხელ ვაცხადებ: **გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად საქმე დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.** მოგეხსენებათ, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა და ამხანაგობა „ბაგები 504“-ს გოჩა ძასოხოვის სასარგებლოდ 2 800 000 აშშ დოლარის და 1 654 030 აშშ დოლარის გადახდა არ დააკისრა.



თეიმურაზ (თემა) ჩარკვიანი

## მოვითხოვ:

**1.** ჩემი სიმართლის დამტკიცებას და საზოგადოების ინფორმირებას, თუ რა უსამართლობას აქვს ადგილი;

**2.** იმის გამოაშკარავებას, რასაც სასამართლოში ვხედავთ, როცა მხარეს არ ეძლევა სამართლებრივი მტკიცებულებების გამოკვლევის საშუალება;

**3.** მიეცეს მუშაობის საშუალება საქმეში ახლად ჩართულ ადვოკატს, რომელიც ცდილობს, გაერკვეს მრავალტომიან საბუთებში და მხარის პოზიცია დააფიქსიროს, მაგრამ მოკლებულია კანონით დადგენილი და მისთვის მინიჭებული დროით სარგებლობას;

**4.** შეწყდეს საქმის ხელოვნურად ფორსირება, რათა არ გამოაშკარავდეს სიმართლე და მავანმა ვერ შეძლოს თაღლითური სქემით გამდიდრება.

**— თქვენ შეგიძლიათ, ჩვენი გაზეთით მიმართოთ საქართველოს ხელისუფლებას!**

— ხელისუფლებისა და საზოგადოების გასაგონად ვაცხადებ, რომ **გარკვეული ჯგუფი ყოვლად მიუღებელი თაღლითური ქმედებებით ცდილობს, მიჩქმალოს სიმართლე, რათა მოხდეს თაღლითთა უკანონო, უსაფუძვლო გამდიდრება; ცდილობენ, ყველაფერი დააბრალონ აწ გარდაცვლილ თემურ ჩარკვიანს.** ამავდროულად სისხლის სამართლის საქმეზე ფინანსურ პოლიციაში დაწყებულია გამოძიება, სადაც იკვეთება მთელი რიგი ახლად აღმოჩენილი გარემოებები. კერძოდ, ის, რომ მშენებლობაში დახარჯულია გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე კრედიტები იყო აღებული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხდება ახალი მენარდე კომპანიის უკანონო **შემოსავლების „გათეთრება“.** ამ ყველაფრის მიზანია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, ვითომდა თემა ჩარკვიანმა დააქცია ამხანაგობა, არადა, ქვეყნის დამაქცევრები სინამდვილეში ცოცხლები და საღ-სალამათები არიან. **სამშენებლო კომპანია — „გუმბათი-ჰოლდინგი“, რომელიც „ბაგები 504“-ის სამართალმემკვიდრე გახდა, ყველაფერზეა პასუხისმგებელი, მაგრამ ჩემ მიმართ უჭირავთ ძალიან მტრული პოზიცია.** ფაქტია, რომ ერთ დროს ჩემი კეთილშობილებით გადადგმული ნაბიჯი, რომელმაც მაშინ ასობით ადამიანი გაკოტრებისა და გაღატაკებისგან იხსნა, საპირისპიროდ დამიბრუნდა. არც პროფესორ-მასწავლებლების წილში ვიჭრები, არც არაფერი მაინტერესებს, მოვითხოვ ჩემ მიერ გაღებული თანხების უკან დაბრუნებას!

**— მაინც ვინ არის ეს თაღლითური ჯგუფი?**

— ეს არის ამხანაგობის განშტოება, რომელსაც ხელმძღვანელობს ვინმე **სანდრო ჯორბენაძე,** რომელიც გაგდებული იყო ამხანაგობიდან და ვაი, რომ სწორედ ჩემი კეთილი ნებით გახდა ამხანაგობის თავმჯდომარე. ახლა იქ ყველაფერი დაყადაღებულია, ვერც მშენებლობის განშლა ხდება და ვერც ნორმალურად ყიდიან ბინებს. **უფრო კაცური და ნორმალური არ იქნებოდა, ერთად შევკრებილიყავით, დავლაგებულიყავით და ჭეშმარიტება დაგვედგინა.** ჩემი პიროვნული მე არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიღაცას ვეწუწუნო. ჩემსას ვითხოვ და სხვის საკუთრებაში არ ვიჭრები! აქედან გამომდინარე, ხელისუფლებისადმი ერთადერთი თხოვნა მაქვს — **არც ბიზნესში შემშლია და არც კაცობაში, მოიკითხეთ ეს საქმე და ჩემს სიმართლეს ნუ დამიკარგავთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „უნდათ, უკანონობა დააკანონონ და ყველაფერი ცხონებულ თემა ჩარკვიანს გადააბრალონ, რომელიც მართლაც ღირსეული პიროვნება იყო!“

## კვირგვინოსნები



**თამარ ჯაფარიძე**
*„ლუდომანიის წინააღმდეგ თამაშზე დამოკიდებულთა“ დამფუძნებელი*

**სათამაშო ბიზნესი არღვევს რეგულაციებს,** განრიდების სიაში მყოფ პირებს ისევ უშვებს კლუბებში. **იქ ისევ დადიან საჯარო მოხელეები.** ისევ შეუძლიათ ექაუნთების გახსნა სხვისი პირადობით. **არასრულწლოვნები იყენებენ ახლობლების ექაუნთებს, რომელთაც 50 ლარად ყიდიან.** ასეთი ფაქტი უამრავია. **100 გამოსახლებულიდან ყოველი მეოთხე ლუდომანიამ მიიყვანა უსახლკარობამდე.** ბევრმა აიღო კერძო მევახშისგან ვალი, ვერ გაისტუმრა და დარჩა ქუჩაში, ბევრი კი **თამაშებმა განსასჯელის სკამამდე მიიყვანა.**

„კვირის პალიტრა“



**ლელა ცერაძე**
*არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალი გზის“ აღმასრულებელი დირექტორი*

იყო შემთხვევა, როცა **მამაკაცი ცოლ-შვილს თოფით დასდევდა, ეშმაკები არიანო.** მეორე შემთხვევაში **ბიჭი დედას ნაჯახით გამოეკიდა.** ერთი ბენეფიციარი მიყვებოდა — რომ დავდივარ, **სულ უკან ვიყურები, მგონია, ვიღაც მომდევსო.** როდესაც ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრი რეკავს 112-ში, მოდის სასწრაფო და პოლიციაც, მაგრამ პაციენტი ვერსად გადაჰყავთ, მას არცერთი კლინიკა არ იღებს — **ფსიქიატრიული ამბობს, ჯერ ნარკომანიაზე იმკურნალოსო, ნარკოლოგიური იმიტომ არ იღებს — ჯერ ფსიქიკურ აშლილობას მიხედოსო.** დიდი პრობლემაა შესაბამისი დახმარების აღმოჩენაც, ვინაიდან ექიმებისთვის უცნობია ნივთიერება, რამაც ინტოქსიკაცია გამოიწვია.

„კვირის პალიტრა“



**სოსო არჩვაძე**
*ექსპერტი*

2023 წელს **საქართველომ ეკონომიკური განვითარების ტემპით ევროკავშირის 27-ვე ქვეყანას გადაუსწრო!**

„საქართველოს რესპუბლიკა“



# „ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, რომ დაბალქოლესტერინული დიეტა სასარგებლოა!“

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# არც – ფსორიაზის, არც – რევმატული ართრიტისა და არც სხვა აუტოიმუნური დაავადების მკურნალობას აზრი არა აქვს, თუ D ვიტამინს არ მივიღებთ!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ პათოლოგიებზე საუბრობს, რომელსაც D ვიტამინის დეფიციტი იწვევს:***

— ადამიანი უხსოვარი დროიდან ნატრობს ისეთი უნივერსალური სამკურნალო საშუალების გამოგონებას, რომელიც უამრავ დაავადებას დაამარცხებს. ცხადია, ეს მიზანი დღემდე მიუღწეველია და ვერც მიიღწევა, მაგრამ არსებობს ბუნებრივი პრეპარატი, რომლის ამოუწურავ შესაძლებლობებზე ხალხს, ფაქტობრივად, არაფერი გაუგია. ეს პრეპარატი გახლავთ D ვიტამინი, რომელიც ადამიანის თითქმის ყველა ორგანოსა და უჯრედზე ზემოქმედებს. ადამიანის გენები ერთმანეთს რომ გადავაბათ, დედამიწიდან მთვარემდე მანძილი ორჯერ დაიფარება. ამ გენების 3-4 პროცენტს სწორედ D ვიტამინი აკონტროლებს, ხოლო ეს გენები ადამიანის ორგანიზმში დაახლოებით 25 ათასზე მეტ ფუნქციას ასრულებენ.

**— როგორც ცნობილია, ექიმები D ვიტამინს ამ ბოლო დროს ძალიან ბევრ პაციენტს უნიშნავენ. რით არის ეს გამოწვეული?**

— მე სხვაგვარად ვიტყოდი: წესით, ჩემი კოლეგები D ვიტამინს გაცილებით მეტ ადამიანს უნდა უნიშნავდნენ! ადრე D ვიტამინის ნაკლებობას რაქიტსა და ძვლის პათოლოგიებს უკავშირებდნენ, მაგრამ უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ **აბსოლუტურად ყველა აუტოიმუნური დაავადება — რევმატოიდული ართრიტი, ფსორიაზი, აუტოიმუნური თირეოიდიტი, გაფანტული სკლეროზი, სხვადასხვა სახის ალერგიები, ასთმა და უამრავი სხვა პათოლოგია, ძირითადად, სწორედ D ვიტამინის ნაკლებობით არის გამოწვეული.**

**— კი მაგრამ, ბევრ ასეთ ავადმყოფს ანალიზებში D ვიტამინის ნაკლებობა არ უფიქსირდება და მაშ, რასთან გვაქვს საქმე?**

— D ვიტამინი ორი სახისაა — **პროვიტამინი,** ანუ არააქტიური D ვიტამინი და **აქტიური D ვიტამინი.** ადამიანის ორგანიზმში D ვიტამინის აქტიური ფორმა არააქტიურთან შედარებით ათასჯერ ნაკლებია. ორგანიზმში D ვიტამინის ნაკლებობას სწორედ მისი აქტიური ფორმის სიმცირე განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა იმას აქვს, D ვიტამინის აქტიური ფორმა რა მდგომარეობაშია. **ორგანიზმში მოხვედრილი D ვიტამინის არააქტიური ფორმა, ანუ პროვიტამინი გაივლის ღვიძლს, მოხვდება თირკმლებში და შემდეგ გახდება აქტიური, მაგრამ, თუ ღვიძლსა და თირკმლებში პრობლემებია, მაშინ ანალიზებმა რაც გინდა გვიჩვენოს, რომ D ვიტამინის დონე ნორმაშია, პრობლემის წინაშე ვდგავართ, რადგან ასეთი D ვიტამინი ვერ გააქტიურდება და, ფაქტობრივად, თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს.** სწორედ ამიტომ ანალიზებში D ვიტამინის ნორმალური დონის ასახვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმე კარგადაა და ორგანიზმს D ვიტამინი არ აკლია.




**— მაინც რას აკეთებს D ვიტამინი?**

— D ვიტამინი სინამდვილეში ჰორმონია, რომელიც თავისი სტრუქტურით ძალიან ჰგავს თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გამოყოფილ სტეროიდულ ჰორმონ **კორტიზოლს.** კორტიზოლის მსგავსად, D ვიტამინს ძლიერი ანთების საწინააღმდეგო თვისება ახასიათებს. ამიტომაც ვამბობთ, რომ D ვიტამინი, ფაქტობრივად, უნივერსალური წამალია, რადგან თითქმის არ არსებობს დაავადება, რომელსაც ანთებითი პროცესი არ ახლავს. რაც შეეხება აუტოიმუნურ ანთებით პროცესებს, როდესაც იმუნური სისტემა იმდენად ზეაქტიურია, რომ საკუთარ ორგანიზმს ებრძვის, D ვიტამინი ამ გადარეულ, ზეაქტიურ იმუნურ სისტემას აწყნარებს და ნორმაში მოჰყავს. ამიტომაც ვამტკიცებთ: **არც — ფსორიაზის, არც — რევმატული ართრიტისა და არც სხვა აუტოიმუნური დაავადების მკურნალობას აზრი არა აქვს, თუ D ვიტამინს არ მივიღებთ!** თუმცა, აქაც გვხვდება ერთი პრობლემა, რომლის გარშემოც აზრთა სხვადასხვაობა არ ცხრება. საქმე D ვიტამინის დოზირებაშია.

დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო, რომ D ვიტამინის დღიური დოზა 400-700 საერთაშორისო ერთეულს არ უნდა ასცილებოდა. ზოგიერთი დღესაც თვლის, რომ 1000 საერთაშორისო ერთეულს ზემოთ D ვიტამინის მიღება ტოქსიკურია. ეს შეხედულებები უკვე მოძველებულია. D ვიტამინს ადრე მხოლოდ ძვლების პრობლემების მოსაგვარებლად და კალციუმის ასათვისებლად იყენებდნენ. ამ პათოლოგიების აღმოსაფხვრელად 400-700 ერთეული D ვიტამინის მიღება შესაძლოა, სავსებით საკმარისი იყო, მაგრამ მაშინ ცნობილი არ გახლდათ D ვიტამინის გავლენის შესახებ იმუნურ სისტემაზე. აქედან გამომდინარე, აუტოიმუნური დაავადებების დროს დღიური დოზა 10 ათასი საერთაშორისო ერთეულამდეც კი შეიძლება განისაზღვროს, რადგან ასეთ დროს ორგანიზმი D ვიტამინისგან აბსოლუტურად დაცლილია. გამოქვეყნდა ბრაზილიელ ნევროლოგ **კოიმბრას** ძალზე საინტერესო კვლევა, რომლის თანახმად, ინსულინრეზისტენტობის მსგავსად, **D ვიტამინისადმი რეზისტენტობაც** არსებობს!

**— ეს რას ნიშნავს?**

— D ვიტამინი საკმარისი ოდენობითაც რომ მოხვდეს ორგანიზმში, არ ნიშნავს, რომ ის ყველა უჯრედში შეაღწევს, რადგან რეცეპტორები, რომლებიც D ვიტამინს აღიქვამენ და უჯრედში შეაქვთ, სხვადასხვა მიზეზების გამო შესაძლოა, არააქტიური იყვნენ, ანუ ასეთი მოცემულობა გვაქვს — **D ვიტამინი ორგანიზმში არის, მაგრამ უჯრედში ვერ შედის!** ასეთ პარადოქსულ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, სახეზეა **D ვიტამინის დეფიციტი.** სწორედ ასეთი მდგომარეობა გვაქვს აუტოიმუნური პროცესების დროს. ამიტომაც 400, 700 თუ მეტი საერთაშორისო ერთეული, რომელსაც D ვიტამინის დოზირების განსასაზღვრავად იყენებდნენ, დღეს აღარ მოქმედებს.

ცნობილი ფაქტია, რომ D ვიტამინი იმუნიტეტს აძლიერებს, ხოლო გაძლიერებული იმუნიტეტი ორგანიზმში მოხვედრილ ვირუსებს, ბაქტერიებს, მიკრობებსა და წარმოქმნილ კიბოს უჯრედებს ანადგურებს! ცხადია, ეს მავნებლები გადარჩენისთვის იბრძვიან და D ვიტამინის რეცეპტორებს ყოველმხრივ ბლოკავენ. ასე, მაგალითად, **დადგენილია, რომ კეთილთვისებიანი სიმსივნის დროს ორგანიზმის მიერ D ვიტამინის ათვისება 93 პროცენტით მცირდება, ხოლო ავთვისებიანი კიბოს დროს — 50 პროცენტით!** D ვიტამინის ათვისებას ხელს უშლის: 1. ყველა აუტოიმუნური დაავადება; 2. განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავისა და მკერდის კიბო; 3. პირველი და მეორე ტიპის დიაბეტი; 4. ტუბერკულოზი; 5. ასთმა; 6. კვებითი ალერგია; 7. კანის პათოლოგია — ვიტილიგო; 8. ოსტეოპოროზი; 9. დეპრესია. ყველა ამ დაავადების დროს D ვიტამინის მცირე დოზა აბსოლუტურად არაეფექტურია და

## კვირგვინოსნები

**ივანე ჩხაიძე**
*„იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს“ სამედიცინო დირექტორი*



**2023 წელს** მთელი წლის განმავლობაში **წითელას 26 შემთხვევა** გვქონდა, **2024 წლის იანვარში კი 16 შემთხვევაა,** ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მატებაა — **უმრავლესობა 20-დან 40 წლამდე პირია.**

„ინტერპრესნიუსი“

**გენო ნადირაშვილი**
*მომღერალი*



მას შემდეგ, რაც **13 წლისა დახრჩობას გადავრჩი,** არასოდეს შემპარვია იმაში ეჭვი, რომ **ღმერთი არსებობს.** ხშირად ვხედავ სიზმარში გარდაცვლილებს — დედაჩემს, ჩემს ძმას, ჩემს მეუღლეს... **სიზმრების არ მჯერა, მაგრამ დილით მაინც წყალს ვატან ხოლმე.** ალბათ, წლების ამბავიც არის, სულ ვფიქრობ, ხომ არ მეძახიან თავისთან-მეთქი.

„სარკე“

**გიორგი ბოტკოველი**
*პოლიტიკოსი*



გული მწყდება, რომ წლეულს საქართველოში **თუ რამის ფასი არ გაზრდილა, ეს ყურძენია.** 2012 წელს **1 ლარი** ღირდა, 2023-ში — **90 თეთრი.** კახელი გლეხი ხშირად ამბობს ხოლმე, **ჩვენს შრომას ფასი არა აქვსო** და სწორიც არის.

„კვირის პალიტრა“

# „ვინც ნერვიულობს და სტრესის გადატანა ხშირად უწევს, ორგანიზმში ბევრი კორტიზოლი და ცოტა D ვიტამინი აქვს!“



აუცილებელია მაღალი დოზების მიღება.

**— თქვენ დეპრესია ახსენეთ, რა გავლენას ახდენს სტრესი და დეპრესია D ვიტამინის ათვისებაზე?**

— ქრონიკული სტრესის დროს D ვიტამინს ნაწლავები ცუდად ითვისებს, ხოლო ძლიერი სტრესის პირობებში მისი რაოდენობა ორგანიზმში მკვეთრად მცირდება და იმუნიტეტიც ძალიან ეცემა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სტრესის დროს ორგანიზმში გამოიყოფა **თირკმელზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული კორტიზოლი.** თავის მხრივ, კორტიზოლი ქოლესტერინისგან წარმოიშობა. ორგანიზმში D ვიტამინსაც სწორედ ქოლესტერინი წარმოშობს. სტრესის დროს, როცა კორტიზოლის რაოდენობა მატულობს, მთელი ქოლესტერინი მის შექმნაზეა გადართული და D ვიტამინის სინთეზისთვის რესურსი აღარ კმარა. **კორტიზოლი** თრგუნავს ლეიკოციტებს და იმუნიტეტს დაბლა სწევს, პარალელურად ამცირებს D ვიტამინსაც, რომელიც ყველა აუტოიმუნური დაავადების დაუძინებელი მტერია. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ **ნერვიულობისა და ძლიერი სტრესის შედეგად ადამიანს შესაძლოა, უცებ დაემართოს ფსორიაზი, დიაბეტი, რევმატოიდული ართრიტი და თვით კიბოც კი!** ვინც ნერვიულობს და სტრესის გადატანა ხშირად უწევს, ორგანიზმში ბევრი კორტიზოლი და ცოტა D ვიტამინი აქვს!

**— რით შეიძლება გამოვასწოროთ ეს სახიფათო დისბალანსი?**

— ეს შესაძლოა, გამოსწორდეს D ვიტამინის შემცველი საკვები პროდუქტების დიდი ოდენობით და ხშირად მიღებით! **ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, რომ დაბალქოლესტერინული დიეტა სასარგებლოა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორგანიზმში D ვიტამინის სინთეზი ქოლესტერინის გარეშე ვერ მოხდება.** აქედან გამომდინარე, ქოლესტერინს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ უნდა ვაკონტროლოთ!

**— საქართველო მზიანი ქვეყანაა. ცნობილია, რომ D ვიტამინის ერთ-ერთი მთავარი მასინთეზირებელი წყარო სწორედ მზეა და საიდან ამდენი D ვიტამინის დეფიციტი საქართველოში?**

— საქმე ის გახლავთ, რომ **ჩვენ ძალიან დიდ დროს ვატარებთ არა მზეზე და ბუნებაში, არამედ ოფისებსა და ოთახებში.** გარდა ამისა, მზეზე როცა დავდივართ, თუ პლაჟს არ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენი სხეულის დიდი ნაწილი ტანსაცმლით არის დაფარული. მზის ულტრაიისფერი სხივები ცუდად ატანს მსუქანი ადამიანის კანქვეშ არსებულ სქელ, ცხიმოვან ქსოვილში. არადა, ჭარბწონიანები საქართველოსა და მსოფლიოში ძალიან მომრავლდნენ.

**რაც ბინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, არაბულ ქვეყნებში, სადაც მუდმივად მზიანი ამინდია, მოსახლეობის 85 პროცენტი D ვიტამინის ნაკლებობას განიცდის. პარალელურად ამ ქვეყნებში კატასტროფულად არის გაზრდილი კიბოს, დიაბეტის, აუტოიმუნური დაავადებებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევები.** ამის მიზეზი ის არის, რომ არაბული ქვეყნების მოსახლეობის კანი მუქია ან სულაც შავი, რის გამოც მათ კანში მელანინის პიგმენტის მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება. **რაც უფრო მუქია კანი, მით უფრო ნაკლები D ვიტამინი წარმოიქმნება ორგანიზმში!**

**— რამდენად არის D ვიტამინის დეფიციტი ბავშვებში?**

— საქართველოში ბოლო დროს ძალზე იმატა ასთმით, აუტოიმუნური თირეოიდიტით, დიაბეტით და სხვადასხვა სახის ალერგიებით დაავადებულ ბავშვთა რიცხვმა. ამის ძირითადი მიზეზი სწორედ D ვიტამინის დეფიციტია. თანამედროვე ბავშვებში D ვიტამინის დეფიციტს წარმოშობს:

**1.** კომპიუტერთან და, შესაბამისად, ოთახში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნა;

**2.** ნაკლებცხიმიანი საკვების დიეტები მაშინ, როცა ცხიმი — კარაქი, ერბო, ყველი, კვერცხი, ცხიმიანი თევზი, ავოკადო და ა.შ. სწორედ D ვიტამინის საბადოა;

**3.** მაგნიუმის ნაკლებობა, რომელიც D ვიტამინის ასათვისებლად აუცილებელია. მაგნიუმის საბადოა ბოსტნეული, მწვანილები, სალათები, რასაც ბავშვები თითქმის არ ჭამენ;

**4.** შაქარი, განსაკუთრებით ხილში, ჯემებში, კანფეტებსა და წვენებში არსებული ფრუქტოზა.

დღევანდელი ბავშვების ჭარბწონიანობის მიზეზი სწორედ არასწორი კვებაა. ბავშვებში ღვიძლის გაცხიმოვნებაც კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. **ღვიძლის გაცხიმოვნება** კი, როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში, D ვიტამინის ათვისებას აფერხებს. თავის ტვინით დაწყებული, კანით დამთავრებული, D ვიტამინის დეფიციტი ყველა ორგანოზე აისახება.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





გემრიელი ისტორია
ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,
მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!
1967 დან


მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80


თამარისი Tamarisi
დაინახე:
სათვალე არის ეს!
სათვალე არის აქ!
ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics

## კვირგვინოსნები

**ხვიჩა მაღლაკელიძე**
*მუსიკოსი*



**ბადრი პატარკაციშვილთან** ერთად ვიჯექი სუფრასთან და ვქეიფობდით. მას არასდროს ეტყობოდა, რომ დიდი ფული ჰქონდა. **ძალიან უბრალო იყო.** უცებ ახალი მთვარე დაინახა და სასწრაფოდ იკითხა — **ვინმეს ხურდა ხომ არ გაქვთ ჯიბეშიო.** ბოლოს ვიღაცას აღმოაჩნდა 20-თეთრიანი, რომელიც ბადრიმ ახალ მთვარეს „დაანახა“.

„სარკე“

**თინათინ მაღალაშვილი**
*დიზაინერი*



კარგი იქნება, გქონდეთ **უკვდავი შანელის პატარა შავი კაბა** და მას მოარგოთ ბროში, რომელიც წელს ძალიან მოდურია, ან შეუხამოთ სხვა სამკაული, შარფი, ჩანთა... **მრავალფეროვნებისთვის აქსესუარს დიდი მნიშვნელობა აქვს.**

„კვირის პალიტრა“

**თამუნა ნიკოლაძე**
*მსახიობი*



თვეობით მივლია რეპეტიციებზე, **მიმუშავია და ანაზღაურება არ მიმიღია.** ზუსტად ვიცი, რომ ჩემი თავის, ჩემი **თამრიკო ნიკოლაძის** ცხოვრების საუკეთესო ვერსია არის თეატრი და **თეატრის გარეშე ვერც 20 წლის წინ, ვერც ახლა და ვერც 20 წლის შემდეგ საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია.**

„სარკე“

**ნინო ბაშარული**
*მომღერალი*



**სიმღერამ გადამარჩინა,** სიმღერის დროს ფილტვები აქტიურად მუშაობს, სწორად სუნთქავ და ეს ორგანო თავის ფუნქციას ასრულებს. **44 წლის ასაკში გავიგე, რომ თანდაყოლილი ფილტვის მანკი მქონდა.**

„თბილისელები“



## ჟონდი ბაღათურია:

# უკრაინაში მიმდინარეობს ხალხის პირდაპირი გენოციდი, დაღუპულია ნახევარ მილიონამდე ადამიანი!



# „მრცხვენია, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი პრეზიდენტი ჰყავს!“

***სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს გავლით უკრაინიდან რუსეთში ასაფეთქებელი მოწყობილობების გატანა აღკვეთა. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი „ქართული დასის“ ლიდერთან, ყოფილ პარლამენტართან***
***ჟონდი ბაღათურიასთან:***

— პირდაპირ უნდა ითქვას — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს უდიდესი საფრთხე აარიდა. არადა, ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი — **უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელს, იქაურ მოქალაქეს, ეთნიკურად ქართველს მიაბარეს ასაფეთქებელი მოწყობილობები რუსეთში, კერძოდ, ვორონეჟში ტერორისტული აქტის მოსაწყობად.** ადვილი მისახვედრია, რა შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ამ ფაქტს. როგორც ჩანს, მავანი იმთავითვე გეგმავდა რუსეთის მხრიდან საქართველოზე სამხედრო აგრესიას.

კი გვგონია, რომ თავიდან ავიცილეთ ომი, მაგრამ, თურმე, ასე არ ყოფილა. ცხადია, უკრაინელ ხალხზე მრისხანება არ უნდა გადავიტანოთ, მაგრამ ის, რაც მოხდა, არანაირ მორალში არ ჯდება. ეს არ გახლავთ მოძმე სახელმწიფოს საქციელი. თუმცა, რას უნდა ველოდეთ იმ ბოროტი მმართველებისგან, რომლებმაც საკუთარი ხალხი და ქვეყანა გაწირეს?! დღეს უკრაინაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. მიმდინარეობს ხალხის პირდაპირი გენოციდი ზელენსკის ხელმძღვანელობით. დაღუპულია ნახევარ მილიონამდე ადამიანი!

**მადლობა ღმერთს, საქართველოს საეცსამსახურმა კარგად იმუშავა! ყოჩაღ ბიჭებს, უდიდესი საქმე გააკეთეს. არამხოლოდ დიდ პატივისცემას იმსახურებენ ხალხისგან, სახელმწიფო ჯილდოებიც ეკუთვნით!**

**— რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ასაფეთქებელი ნივთიერების ტრანსპორტირების ფაქტს ორი ქვეყნის ურთიერთობაში?**

— უკრაინის ხელისუფლება პოლიტიკური არჩევანის წინაშე დგას. ან დამნაშავეები უნდა გადმოსცენ საქართველოს ან ისედაც შელახული რეპუტაცია ბოლომდე გაასწორონ მიწასთან. თავის მართლება და ისრების სხვაგან გადატანა აღარ გამოვა. მგონია, უფრო მეორე გზას აირჩევენ. არადა, საქართველომ ყველაფერი გააკეთა, რომ უკრაინასთან კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა. **ცალკე ტრაგედიაა ის, რომ ამ ომში ქართველები მიდიან!**

ფაქტია, ისევ ცდილობენ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას. **უშიშროების მიერ გამოვლენილმა ფაქტმა კიდევ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ არც მომავალში დაგვანებებენ თავს.**

**— როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების პასუხი?**

— ამაზე მკვახე და მკაცრი პასუხი რაღა გინდათ? **სუსმა ისეთი ფაქტი დადო, რომ ზელენსკის საქვეყნოდ მოეჭრა თავი.** უფრო მეტიც, **სულ ახლახან საერთაშორისო სასამართლომ უკრაინის ორი სარჩელი განიხილა — რუსეთი გამოცხადებულიყო აგრესორ სახელმწიფოდ და საზღვარგარეთ განთავსებული რუსული აქტივები, რომელიც 60 მილიარდზე მეტს შეადგენს, უკრაინას გადასცემოდა. ორივე სარჩელზე უარი მიიღეს.** წარმოიდგინეთ, გაეროს საერთაშორისო სასამართლომ არ ცნო რუსეთი აგრესორ სახელმწიფოდ და სასარჩელო მოთხოვნაზე უარი უთხრა.

**— ეს რას ნიშნავს პოლიტიკურ ენაზე?**

— ყოფილი ჰეგემონის, შეერთებული შტატების დიპლომატიურ და სამართლებრივ მარცხს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც იმ სახელმწიფოებს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს, რომლებიც მათ საშინაო საქმეებში აშშ-ის ჩარევით უკმაყოფილონი არიან. ბევრმა სახელმწიფომ უკვე ამოიღო ხმა, ბევრიც დაემატება.

ამერიკის ძლიერება დოლარსა და არმიაზე იდგა. **ბაიდენის ადმინისტრაციამ** არმია გახრწნა — ჯერ ჰომოსექსუალისტები დაუშვა, მერე — ტრანსგენდერები და ნარკომანები... რაც შეეხება დოლარს, საქართველოში და არამხოლოდ აქ, ხალხი სერიოზულ ქონებას სწორედ დოლარში ყიდულობდა და დიდ ფულსაც დოლარში ინახავდა. მაგრამ **მას შემდეგ, რაც შტატებმა დოლარი სადამსჯელო ინსტრუმენტად აქცია, მდიდარმა ადამიანებმაც დოლარის სხვა ვალუტაში გადატანა დაიწყეს.** დღეს დოლარი აღარ არის ძველებურად მოთხოვნადი,




**სახეზეა შეერთებული შტატების უპრეცედენტო დასუსტება. წარმოიდგინეთ, გაეროში წააგო პროცესი რუსეთთან!**

ეს ყველაფერი ომების რისკებს ზრდის. ამერიკის შეერთებული შტატები ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალს ომის ხანძრების დანთებაში ხედავს. 33 ტრილიონს გადააჭარბა მათი სახელმწიფო ვალი, ანუ ამერიკის ნომერ პირველი ეკონომიკა შესაძლოა, გადახდისუუნაროც აღმოჩნდეს. თუ ომის ხანძარი მსოფლიოს მოედება, მათ შორის, ევროპასაც, მათი მთელი კაპიტალი შეერთებულ შტატებში გადაბარგდება. ამერიკას არათუ აწყობს მსოფლიოში არეული სიტუაცია, არამედ ჰაერივით სჭირდება. მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ომის ხანძრის დანთებას.

**— გასულ კვირას ირაკლი კობახიძე ოფიციალურად გახდა პრემიერი. როგორ ფიქრობთ, რამდენად აუწყობს ფეხს ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას?**

— ახალი პრემიერის მიმართ, ძველი პრემიერის მსგავსად, ძალიან ნორმალური დამოკიდებულება მაქვს. მთავარია, მათ ზურგს ბიძინა ივანიშვილი უმაგრებთ. უკვე 12 წელია, ვადევნებ თვალს **ბიძინა ივანიშვილის** პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და, პრაქტიკულად, შეცდომებს არ უშვებს. ძალიან ძლიერი ფიგურა და სერიოზული სტრატეგია. სწორად და ფრთხილად მიჰყავს ქვეყანა სამშვიდობოსკენ. უფრო მეტიც, სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ქვეყანა ბეწვის ხიდზე შედგა! გვახსოვდეს — ახლომახლო ყოველთვის იქნებიან გახარიები და მისთანები, რომლებსაც აქვთ ხოხვისა და შეძრომის განსაკუთრებული უნარი. არ გახსოვთ, რა დრო და მომენტი შეარჩია წასასვლელად, მაქსიმალურად მაღალ ფასში რომ გაეყიდა თავისი ღალატი?! აღარაფერს ვამბობ **სალომე ზურაბიშვილზე.** მრცხვენია, ჩვენს ქვეყანას ასეთი პრეზიდენტი რომ ჰყავს.

**— ანუ ბიძინა ივანიშვილს უნდა მივენდოთ?**

— უპირველეს ყოვლისა, ღმერთს უნდა მივენდოთ. ამ ადამიანს კი საქმის კეთებაში არ უნდა შევუშალოთ ხელი!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**შაჰ-აბასზე მეტი ადამიანი „ქართულმა ოცნებამ“ გადაასახლა** — თუ ასეთი პროგრესია, მაშინ, **რატომ დატოვა თქვენი ხელისუფლებაში ყოფნისას 256 000-მა ადამიანმა საქართველო?**

ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ ბოლო პრემიერ-მინისტრი იქნება, **ვინც მთავრობას ოპოზიციას გადააბარებს.**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა არეშიძე**
*ანალიტიკოსი*



ჩვენი რეგიონი ყოველთვის იქნება **პოტენციური დაძაბულობის კერა** და აქაურ პოლიტიკურ ელიტებზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორ მოახერხებენ სიმშვიდის შენარჩუნებას. **საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში როდესაც ხარ პოლიტიკური ლიდერი, სიტუაცია კბილებით უნდა გეჭიროს — ეს აქსიომაა.**

„კვირის პალიტრა“

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



დიახ, **მე მივეცი ხმა სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობას** და ეს არასოდეს მინანია.

„აიპრესი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ნაციონალებს **საკმარისი რესურსი აქვთ** იმისთვის, რომ სხვა ოპოზიციურ პარტიებს ქუჩაში აჯობონ, მაგრამ **არასაკმარისი რესურსი აქვთ,** რომ ხელისუფლება დაამხონ.

„ახალი თაობა“

# ბაიდენის ფაზა

***ამერიკის პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი უკანასკნელ ხანს აწ განსვენებულ ნოდარ გრიგალაშვილივით აირია, რომელმაც ბორჯომში ლენინის ტანს ილიას თავი დაადგა, ხოლო ერთ-ერთ თავის ლიტერატურულ ეტიუდში საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთლად გამოაცხადა. ცხადია, ამის გამო ქვეყანა არ დაქცეულა; მხოლოდ სამწერლობო და სალიტერატურო ელიტის ნაწილმა იქირქილა და ისიც ცოტა ხნით, მაგრამ როცა მსოფლიოს სუპერსახელმწიფოს ლიდერი პრეზიდენტებს, ქვეყნებს, მკვდრებსა და ცოცხლებს ერთმანეთში ურევს, მაშინ სახალისოდ და საქირქილოდ კი არა, სატირლად გვაქვს საქმე.***

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, 81 წლის პრეზიდენტმა **ბაიდენმა** ამ დღეებში ლას-ვეგასში გამართულ საარჩევნო შეხვედრაზე სამი წლის წინათ დიდ ბრიტანეთში გამართულ G7-ის სამიტზე თავისი საუბარი გაიხსენა და თქვა — **„არჩევისთანავე მივედი „დიდი შვიდიანის“ შეხვედრაზე სამხრეთ ინგლისში. მე დავჯექი და ვთქვი: „ამერიკა დაბრუნდა!“ და მიტერანმა გერმანიიდან — ვგულისხმობ საფრანგეთს — შემომხედა და მითხრა — აბა, რამდენი ხნით დაბრუნდი?“**

აშკარაა, რომ ბაიდენს ჯერ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, 30 წლის წინათ გარდაცვლილი **ფრანსუა მიტერანი** — საფრანგეთის მოქმედ პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონში,** ხოლო **გერმანია საფრანგეთში** აერია! შარშან ივნისში **ბაიდენს** უკრაინაც აერია ერაყში და თქვა — **პუტინი ერაყში ომს აგებს!** თუმცა, ეს კიდევ არაფერი, **ბაიდენის ტვინში ამ ბოლო დროს ისეთი რამეები ხდება და პრეზიდენტს ისეთი რამეები ერევა, მთელი ამერიკა დაფეთებულია!**

თუმცა, ამაზე ქვემოთ...

ადრე, როცა მიხრწნილობაში გადამდგარი პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწე რაღაცას აურევდა და საჯარო გამოსვლის დროს სისულელეს წამოროშავდა, ვამბობდით და ვწერდით — **ეს და ეს კაცი ბრეჟნევის ფაზაში შევიდაო!**

ხშირად ბრეჟნევის ნაცვლად **ჩერნენკოს ფაზასაც** ვიყენებდით, რადგან სიკვდილის წინ, ბრეჟნევის მსგავსად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოც** ნამეტნავად მოფახფახდა და ერთ დროს უსიმპათიურესი კაცი, რომელსაც ოფიციალურად ორი ცოლი ჰყავდა, მოსიარულე მუმიას დაემსგავსა.

დღეიდან ჩვენს ლექსიკაში **ბრეჟნევისა და ჩერნენკოს ფაზას** შეცვლის ტერმინი —**ბაიდენის ფაზა,** რადგან ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი, **81 წლის ჯოზეფ ბაიდენი** ამ ბოლო დროს თავისი განცხადებებითა და ქცევით, **თვით ბრეჟნევისა და ჩერნენკოს საგიჟეთსაც გასცდა.**

ჩვენ რომ არაფერი დაგვბრალდეს, თავად ამერიკელები წერენ და ამ რამდენიმე დღის წინათ **ბაიდენის** მიერ გამართულმა **ნავის ტრაპზე დაგორდა, ხან სამხედროებთან შეხვედრის დროს ქვიშით სავსე ტომარას წამოედო და გაიშხლართა, ხანაც, ფაქტობრივად, გაჩერებული ველოსიპედიდან ჩამოვარდა და ფეხი იტკინა...** მაგრამ ამ ბოლო დროს ფიზიკურ ტრავმებს დაემატა **პრეზიდენტის აშკარა ჭკუასუსტობა,** რაც, სავარაუდოდ, ასაკობრივი პრობლემა და იმის უტყუარი ნიშანია, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცის ამოდენა იმპერიის სათავეში ყოფნა კატეგორიულად დაუშვებელია!

თუ ეს ასე არ არის, მაშინ გამოდის, რომ **ამერიკის იმპერიას** ბაიდენი კი არა, სინამდვილეში ის საიდუმლო მთავრობა მართავს, რომლის შესახებაც ათეულ წლებია, მთელი მსოფლიო ლაპარაკობს.



ემანუელ მაკრონი და ჯო ბაიდენი



ფრანსუა მიტერანი

## ამერიკის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონი – ფრანსუა მიტერანში, ხოლო გერმანია საფრანგეთში აერია!

პრესკონფერენციამაც დაადასტურა, რომ ამერიკის პრეზიდენტი უმძიმეს მდგომარეობაშია. კერძოდ, **ბაიდენს** არც გარდაცვლილი ვაჟიშვილის დაღუპვის თარიღი და არც ის წლები ახსოვს, როცა ბუშის ადმინისტრაციაში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის სავარძელს იკავებდა. **ბაიდენი რომ ჯანზე ვერ იყო, ამას ჩვენ ყველანი ვხედავდით... მოგეხსენებათ, ამერიკის პრეზიდენტი ხან თვითმფრინავის ტრაპზე დაგორდა,**

სხვა უამრავ სისულელესთან ერთად, უკანასკნელ ხანს **ჯოზეფ ბაიდენს** ორი იაღლიში მოუვიდა — **ეგვიპტის მოქმედი პრეზიდენტი მექსიკის პრეზიდენტში აერია, ხოლო ჰელმუტ კოლი და ანგელა მერკელი ერთმანეთისგან ვერ გაარჩია.** მისტერ ჯოს საუბედუროდ, ეს მოხდა სწორედ იმ პრესკონფერენციაზე, სადაც ამერიკის პრეზიდენტს ჟურნალისტები სწორედ მეხსიერების პრობლემებთან დაკავშირებით ეკითხებოდნენ.

ბრიტანული **„ბი-ბი-სი“,** რომელიც თანამედროვე მსოფლიოში გლობალური ანგლოსაქსური იმპერიალიზმის **„პრავდის“** ფუნქციას ასრულებს, იძულებული გახდა, ეღიარებინა და დაეწერა, რომ **პრესკონფერენციაზე, სადაც ამერიკის პრეზიდენტი მეხსიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს უარყოფდა, ბაიდენმა ეგვიპტის პრეზიდენტი აბდელ ფატაჰ ალ-სისი მექსიკის პრეზიდენტად მოიხსენია.** კერძოდ, რეპორტიორების კითხვაზე, რომელიც ღაზის სექტორში ომს ეხებოდა, **ბაიდენმა** ასე უპასუხა: **„ვფიქრობ, იცით, რომ თავდაპირველად მექსიკის პრეზიდენტ სისის არ სურდა კარის გახსნა ჰუმანიტარული ტვირთის შესატანად!“**

ამავე პრესკონფერენციაზე **ბაიდენმა** საიდუმლო დოკუმენტების სახლში შენახვაში თავისი თანამშრომლები დაადანაშაულა და განაცხადა — **არ ვიცოდი, თუ საიდუმლო მასალები ავტოფარეხში დადესო! არადა, სპეციალური პროკურორის რობერტ ჰურის ინფორმაციით, რომელმაც ბაიდენი დაჰკითხა, სინამდვილეში ეს საიდუმლო დოკუმენტები ძაღლის საწოლთან იპოვეს.**

მთელი ამ საქმის ტრაგიკომედია ის გახლავთ, რომ ეს საიდუმლო დოკუმენტები ეხება ამერიკელების მიერ მთელი ოცი წლის განმავლობაში ავღანეთში გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ომს, რომელმაც მხოლოდ პატარა საქართველოდან ორმოცამდე ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა და ტრილიონობით ამერიკული დოლარი „გაათეთრა“.

**მოკლედ, ამერიკული იმპერიალიზმი ბაიდენის ძაღლის საწოლთან მთავრდება!**

როგორც ჩანს, ამერიკას ბედი დასცინის — **თუ რომის იმპერია იმპერატორების საწოლთან დასრულდა, ამერიკის იმპერია პრეზიდენტის ძაღლის საწოლთან სრულდება!**

ბედის ირონიით, სპეცპროკურორის გვარი — **ჰური,** რომელიც ბაიდენს სწორედ ამ საიდუმლო დოკუმენტების გადამალვის გამო მთელი ხუთი საათის განმავლობაში ჰკითხავდა, გერმანულად **„მეძავს“,** ანუ **„ბოზს“** ნიშნავს. თავის 345-გვერდიან მოხსენებაში სწორედ სპეცპროკურორმა რობერტ ჰურმა დაწერა, რომ **„ბაიდენს მეხსიერებაში მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს და მან ვერ შეძლო, გაეხსენებინა ვიცე-პრეზიდენტობის წლები ან ის წლები, როდესაც მისი შვილი გარდაიცვალა!“ რობერტ ჰურმა** ისიც განაცხადა, რომ დოკუმენტების გადამალვის გამო **„ბაიდენისთვის ბრალის წაყენება რთული იქნება, რადგან, დიდი ალბათობით, სასამართლოზე ის თავს წარმოადგენს იმგვარად, როგორც ეს გააკეთა გამოკითხვაზე, სიმპათიურ, კეთილგანწყობილ და ცუდი მეხსიერების მქონე ხანდაზმულ მამაკაცად!“**

მოკლედ, ძვირფასო მკითხველო, გადაწვეს მსოფლიო, გააჩაღეს ომები, ამოხოცეს მილიონები და ისე არიან გათავხედებული, ამ ყველაფრის მამხილებელი საიდუმლო დოკუმენტები ძაღლის საწოლში თუ უკანალში შეინახეს!

**ერთი სიტყვით, ბაიდენი სააკაშვილის ფაზაშია შესული და დემენცია სჭირს, რაც დონალდ ტრამპსა და მის გუნდს ძალიან ახარებთ — მომავალ არჩევნებში მისტერ ჯოზეფს ამერიკის კი არა, საკუთარი ძაღლის ბედსაც არავინ ანდობს და წინ ვინ დაგვიდგება, ხელისუფლებაში ჩვენ მოვალთო!**

მაგრამ საკითხავია, რა გაახარებთ აწ **„შალვა ხაჭაპურიძის ფაზაში“** შესულთ? თუმცა, ამ პათოლოგიის სტადიებს, თუნდაც **ხაჭაპურის,** როგორც ტრადიციული ქართული სასწაულის პატივისცემის ნიშნად აღარ გავშლით და აღარ დავაკონკრეტებთ!

ჩვენ კი ის გვახარებს, ძვირფასო მკითხველო, რომ ბაიდენს **პრეზიდენტი მაკრონი,** სულ რაღაც, 30 წლის წინათ მოღვაწე **მიტერანში** აერია და არა უფრო ადრინდელი დროის საფრანგეთის თავკაცებში — **ჟორჟ პომპიდუსა** და **შარლ დე გოლში!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ივანიშვილი კობახიძეს დიდხანს არ გააჩერებს! ღარიბაშვილი** უფრო პოპულარულია, ვიდრე **კობახიძე,** საარჩევნოდ ხალხთან შესახვედრად მას ატარებს. საარჩევნოდ არაფერი შეიცვლება. იქნება მცდელობა, **ყველა ნაცად გამოაცხადონ.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ვერ ვხედავ, რომ ოპოზიციის ელექტორატი იზრდება და „ოცნების“ იკლებს, მითუმეტეს, **ივანიშვილის მოსვლა მაკოორდინირებელი იქნება „ოცნების“ მხარდამჭერებისთვის.** აქამდე ვიღაცას **კობახიძე** არ მოსწონდა, ვიღაცას — **ღარიბაშვილი,** მაგრამ ახლა სწორება **ივანიშვილზე** იქნება.

„კვირის პალიტრა“

**ნინო ცილოსანი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა, ფაქტობრივად, **პოლიტიკურ სასაკლაოდ არის გადაქცეული,** ნებისმიერი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი თავს აარიდებს მათთან აფილირებას.

„პირველი არხი“

**დიმიტრი შაშკინი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სალომე ზურაბიშვილს** დღესვე შეუძლია ხელი მოაწეროს და უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნები, რომ **2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილი იყოს თავისუფალი.**

„ინტერპრესნიუსი“




# შევარდნაძის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „ა–დ“.
2023 წლის №46–49,
51–52,
2024 წლის №1–7

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

## ედუარდ შევარდნაძე:
## იმ დღეს სტადიონზე დიდი სისხლისღვრა ავიცილეთ თავიდან!

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში იხსენებს იმ გახმაურებულ დაპირისპირებებსა და კონფლიქტებს, რომლის გადაჭრაშიც ის პირადად მონაწილეობდა. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი იყო **თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ თამაშისას მომხდარი ინციდენტი,** რიმელიც კინაღამ 1956 წლის 9 მარტის სისხლიან რეპრესიებში გადაიზარდა:

***„ეს იყო 1977 წელს თბილისში, „დინამოს“ საფეხბურთო სტადიონზე, რომელიც ასი ათასამდე მაყურებელს იტევს... ვნებათაღელვა მსაჯის შეცდომებმა გამოიწვია. ამას ისიც დაემატა, რომ თამაშის დასასრულს თბილისელთა კარში უსამართლო პენალტი დანიშნა. არ ვიცი, განზრახ გააკეთა ეს თუ უნებლიეთ, მაგრამ სტადიონის ტრიბუნები თითქოს ჩამოინგრა. ათასობით მაყურებელი მინდვრისკენ გაიჭრა, რომ არბიტრი დაესაჯა. ძლივს მოვახერხეთ მსაჯის დამალვა სტადიონის მიწისქვეშა ოთახში და მაშინ გულშემატკივრების რისხვა წესრიგის დამცველებს დაატყდა თავს. ქვებს ესროდნენ სამთავრობო ტრიბუნასაც, სადაც მე ვიდექი...“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ.78).*

ქართველ ფეხბურთელებს საკავშირო პირველობაზე მიზანმიმართულად ჩაგრავდნენ — **თბილისის „დინამოს“** არაერთხელ შეუშალეს ხელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გამხდარიყო, რადგან კრემლში სურდათ, რომ ქვეყნის პირველობა მხოლოდ მოსკოვურ გუნდებს მოეპოვებინათ, ანუ მოკავშირე რესპუბლიკებს ფეხბურთშიც კი უნდა ეგრძნოთ, რომ „უმცროსი ძმები“ არიან და ამას უნდა შეგუებოდნენ!

ჰოდა, იმ ავბედით დღეს, **„ზარიასთან“** მატჩისას, ქართველებს იმ უსინდისო მსაჯობაზე, როგორც იტყვიან, ყელში ამოასხათ და, მოედანზე შევარდნით, ფაქტობრივად, ანტისაბჭოთა დემონსტრაცია მოაწყვეს! მითუმეტეს, სამთავრობო ტრიბუნაზე მყოფ **შევარდნაძესა** და მის კომპარტიას ცოცხალმკვდარს აგინებდნენ!

შევარდნაძემ ტრიბუნიდან ორჯერ მიმართა აბობოქრებულ ხალხს, დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ ამაოდ! ჰოდა, საქართველოს კომპარტიის ლიდერმა მართლაც უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — მოედანზე გამწარებულ მასაში თავად შევარდა:

***„საჭირო იყო შოკისმომგვრელი მოქმედება. იძულებული ვიყავი, ტრიბუნიდან პირდაპირ ხალხში გავსულიყავი (ეს გადახტომა უფრო იყო). ამას ნამდვილად არავინ ელოდა. რამდენიმე თანამშრომელი გამომყვა. ჩემთვის მოულოდნელად, მაყურებელმა გზა მომცა და პირდაპირ მინდორზე გავედი. მთელი მოედანი ახალგაზრდებით იყო სავსე.***

***— ბიჭებო, — მივმართე მათ, — ხომ ხედავთ, თქვენთან ვართ, მსაჯებს კი ჩვენ მოვუვლით.***

***ეს ვთქვი და გასასვლელისკენ გავემართე. არ ველოდი, ეს უზარმაზარი მასა ისე გამომყვა“*** *(იქვე, გვ. 79).*




მემუარისტი იმ შეგრძნებასაც იხსენებს, როგორ მიუძღოდა წინ ამ აბობოქრებულ ვულკანურ ლავას:

***„გაგანია ზაფხული იყო და დიდი სიცხე იდგა, თან „გამცილებელთა“ ცხელი სუნთქვა მდევდა, სული მეხუთებოდა. ჩემი ტანსაცმელი ოფლით ისე გაიჟღინთა, რომ იტყვიან, გასაწური იყო. ნახევარი კილომეტრი ვიარე სტადიონიდან, მეტი აღარ შემეძლო, სუნთქვა მიჭირდა და გარშემო მყოფთ მივმართე: „გამიგეთ, უბრალოდ ცუდად ვარ, სადაცაა წავიქცევი...“ ეტყობა, ადამიანის ფერი აღარ მედო. ახალგაზრდებმა წრე შეკრეს და ამოსუნთქვის საშუალება მომცეს. შემდეგ თანდათანობით დამშვიდნენ და ნელ-ნელა დაიშალნენ კიდეც“*** *(იქვე, გვ. 79).*

შევარდნაძისგან განსხვავებით, ამ ახალგაზრდებს, ასაკიდან გამომდინარე, აშკარად არ ახსოვდათ 21 წლის წინანდელი მოვლენები, როდესაც **1956 წლის 9 მარტს** თბილისის ცენტრში ათასობით დემონსტრანტი პირდაპირ ავტომატებიდან და ტყვიამფრქვევებიდან დახვრიტეს! შევარდნაძეს კი ის სისხლიანი კალო კარგად ახსოვდა და ამიტომაც სრულიად საფუძლიანად ამბობს დასკვნის სახით:

***„გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქვა: იმ დღეს სტადიონზე დიდი სისხლისღვრა ავიცილეთ თავიდან, რადგან ვიცოდი, რომ „საქმეში ჩასარევად“ უკვე ემზადებოდნენ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ასეთი სასწაულები მხოლოდ განგების ძალით ხდება“*** *(იქვე, გვ. 79).*

ამის შემდეგ მემუარისტი იხსენებს იმ კონფლიქტებს, რომლებიც ვერ მოაგვარა და ამის გამო, მისივე თქმით, დანაშაულის გრძნობაც კი ღრღნიდა:

***„პოლიტიკოსის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა კონფლიქტების დროულად აღკვეთა და განმუხტვაა. იქნებ ამიტომაც მახსენდება სწორედ ის კონფლიქტები, რომლის მოგვარებაც ვერ შევძელი. მახსენდება არამხოლოდ საკუთარი მარცხის, არამედ იმ ტკივილის გემოც, რომელიც მათ მოუტანეს ქვეყანას, საზოგადოებას, კონკრეტულ ადამიანებს. ამ კონფლიქტების მასშტაბი და ხარისხი სხვადასხვა იყო. ისინი ერთნაირი სიმძაფრით და სიძლიერით აღიბეჭდა ჩემში, ჩამრჩა სულში და დანაშაულის გრძნობას მიღვივებენ.***

***არადა, ღმერთმანი, ძალა არ დამიშურებია, რომ ისინი ჩამეხშო, მაგრამ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ვერ შევძელი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის შესაძლებლობებსაც ხომ აქვს საზღვარი“*** *(იქვე, გვ. 79).*

**შევარდნაძე** ამას, უპირველეს ყოვლისა, **„თვითმფრინავის ბიჭების“ გახმაურებულ საქმეზე** ამბობს: საქართველოს კომპარტიის თავკაცს მაშინ სულ რომ თავდაყირა ეარა, კრემლში არავინ გადააწყვეტინებდა ერთპიროვნულად **თვითმფრინავის გამტაცებელთა** შეწყალებას, რადგან ეს ტერორისტული აქტი იყო, მძევლების აყვანითა და, თანაც მფრინავისა და ბორტგამცილებელი ქალის მსხვერპლით:

***„1983 წლის ნოემბერი: ახალგაზრდების ჯგუფმა თბილისის აეროპორტიდან აფრენის შემდეგ სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა. მათი გულუბრყვილო ჩანაფიქრით, ეს იყო საბჭოთა კავშირიდან გაქცევის რეალური საშუალება, რომელსაც მსხვერპლი არ უნდა მოჰყოლოდა. ეს ახალგაზრდები საკმაოდ შეძლებული ოჯახებიდან იყვნენ; სტუდენტური, პიროვნული კარიერაც აწყობილი ჰქონდათ. მათთვის, პრივილეგირებული ოჯახის შვილებისთვის, უცხოეთში წასვლა არ უნდა ყოფილიყო ძნელი... მათ საბჭოთა კავშირში ცხოვრება აღარ სურდათ და, ალბათ, ცალ-ცალკე წასვლასაც შეძლებდნენ, მაგრამ მაინც ასე ერთად მოინდომეს წასვლა ქორწილის იმიტაციით, ხმაურით, თვითმფრინავის გატაცებით“*** *(იქვე, გვ. 80).*

უნდა ითქვას, **შევარდნაძე** პირადად მივიდა აეროპორტში და სცადა გამტაცებლებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ:

***„გამტაცებლებმა ვერ მოახერხეს საბჭოთა კავშირის სივრცის დატოვება და თვითმფრინავი კვლავ თბილისის აეროპორტში დაეშვა, სადაც მას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებმა შემოარტყეს ალყა. მე მივედი იმ თვითმფრინავთან, ვთხოვე გამტაცებლებს, გაეთავისუფლებინათ მძევლები და დაეტოვებინათ თვითმფრინავი, მაგრამ უშედეგოდ. იმ დროისთვის თვითმფრინავში უკვე იყო მსხვერპლი — ბორტგამცილებელი, მგზავრი... შემდეგ ერთმა გამტაცებელმა თავი მოიკლა, ამასობაში საქმეში მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოფრენილი „სპეცრაზმი“ ჩაერია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა დახოცილთა რიცხვი“*** *(იქვე, გვ. 80).*

შევარდნაძეს ლამის მთელმა სამეცნიერო თუ სახელოვნებო ელიტამ მიმართა თხოვნით, სასიკვდილო განაჩენი აეცილებინა თვითმფრინავის გამტაცებლებისთვის, მაგრამ, როგორც მემუარისტი ამბობს, ეს მის ძალებს აღემატებოდა!

მან ვერ დაარწმუნა მოსკოველი ბოსები, რომ ტერორისტებად მონათლული ახალგაზრდები, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანები შეიწირეს, სასიკვდილო განაჩენს არ იმსახურებდნენ:

***„ამ ტრაგედიის თავიდან აცილება მე ვერ შევძელი; მივედი მათთან, ვცადე, დავლაპარაკებოდი, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოვძებნე შესაბამისი სიტყვები, მათ კი ჩემი მოსმენა არ ისურვეს. ვერ შევძელი, ისინი დამერწმუნებინა, შეგუებოდნენ დამარცხებას და ჩაბარებულიყვნენ, ვერ შევძელი...***

***მე უკვე აღარაფერი შემეძლო... მოვლენებს უკვე მე აღარ ვმართავდი...***

***ეს ჩემი მარცხი და ჩემი მოუშუშებელი ტკივილია“*** *(იქვე, გვ. 81).*

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



ერთ-ერთი უიშვიათესი ფოტო, რომელზეც 1977 წლის 23 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მომხდარი დიდი არეულობის დასაწყისია აღბეჭდილი

# მო გელა ნდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**



# რას ელის ა შვილი?

ალეკო ელისაშვილი - ყანწებით ვსვამთ ქალის სადღეგრძელოს, მაგრამ ქალი შემოდის დარბაზში და მმართველი პარტია არ ესალმება - ხალხური ლექსის ავტორი „ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობაო“, ალბათ, საფლავში ბრუნავს

ვაააახ, კაცო... როცა სჭირდებათ, როგორ უცებ გამოზრდილობიანდებიან და გამოკეთილშობილდებიან ხოლმე! მაიცადე და... **არჩევნების პერიოდში ყ-ქალა რო ეძახეთ და ტლაპოში ათრიეთ, ეგ როგო იყო, ქალის სადღეგრძელო მაშინ რატო არ გახსენდა?**

„ტოჟე მნე ჟენტმენ“!

**თუ ქალისადმი პატივისცემით იყავი გამსჭვალული, მაშინ ამოგეღო ხმა, ათასნაირი სიბინძურე რომ დაასხეს თავზე. შეიძლება რაღაც დოზით იმსახურებდა კიდეც, მაგრამ შენ ხომ ჯენტლმენობას აწვები... თანაც ეხლა დონდლო სააკაშვილის შესაწყალებლად გჭირდებათ და ეთითლიბაზებით, ხო?**

ეთითლიბაზეთ, ფეხებქვეშ თუნდაც კისელივით დაეღვარეთ,

**ეგ თქვენი 5-პროცენტიანი ბარიერი არავის გადაუღახოთ!**

# მასხარების აქცია პრეზიდენტის სასახლეში!




ოღონდ სადმე დაუძახონ, ყველგან მიპრაკუნდებიან — აქაოდა გვაფასებენ, ჭკუას გვეკითხებიან და პატივსა გვცემენო.

ეს **ხანდაზმული თაღლითიც** ისეთს წამოაწყვენს ხოლმე, უნდა ისხდეთ და იცინოთ: **ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ, ვისაც რუსული ხელისუფლების შეცვლა უნდაო.**

ზოგი მიხვდა, რომ **„რუსული“-ს** ძახილი უკვე გაცვდა და დიდი გოიმობაა, ეს კი ისევ იქ არი, დეპოში!

☺

ბიჭო... **ტიპი იმაზე უნდა ფიქრობდეს, 5%-იანი ბარიერი რანაირად უნდა გადავლახოო და იგრე იჭალყვება, გეგონება, საკონსტიტუციო უმრავლესობით მოგრიალებს.**

თან ახალიც ვერაფერი მოუგონია, ისევ — **რუსო, რუსო-ვო!**

ერთი „მუსტანგი“ გამოაგორა ავტოსაჯინიბოდან და ისიც ფეხებში აუფეთქდა.

ახლა დასკლეროზებულ სალომე ბაბოს მიაკითხა — **მოდი, გავაკეთოთ რამეო.**

რა უნდა გააკეთოთ, თქვე ყავლგასულებო.

☺

ჰა, ჰა, ჰა!

**რუსული ხელისუფლება უნდა შევცვალოო** — დაუჩემებია ამას, „ბორჯომი“ რუსებს რო მიჰყიდა და შემდეგ ამ ხელისუფლებამ გამოისყიდა!

# სილნააკრაავი

საზოგადოებაში გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ **ნატა ამორალი** 2012 წლამდე **არ აკეთებდა იმას, რასაც ამბობს!**

აბა, დაფიქრდით, ამას რომ 2012 წლამდე **ეკეთებინა ის, რაც დაუჩემებია,** განა ეგეთი ახურუშებული, აღტყინებული და დაუოკებელი იქნებოდა? და, საერთოდ, ამას რომ როდისმე ის ეკეთებინა, რის შესახებაც ახლა ლაპარაკობს, ეგრე ჯორცხენასავით არ ირბენდა და ყოველ წუთს შუა თითს არ გვაჩვენებდა.

☺

რა ეშველება ახლა ამ აჯილღას?

არც არაფერი!

თუ ნაცებში მაინც გამოჩნდა ვინმე ხისთავიანი, რომელიც ამას დააოკებს, ხომ კარგი, თუ არადა, ირბენს აეგრე და ბოლოს სადმე გადაიჩეხება ღვინიასავით.

**კახეთში ეგეთზე იტყვიან, ეშმაკმა სილა ჰკრაო.**

**ჰკრა და ჰკრა, ამ ჩვენ ფეხებს!**





# ცხვირი სალორეშიც კი არ უნდა შეაყოფინო!

საკომიტეტო სხდომიდან, **გააძევესო...** პრინციპში, არც უმაგისობა იყო, მაგრამ **უფრო გააგდეს.** ერთი კუდუსუნში არ ამოურტყამთ ჰიტლაყასუნი, თორე დანარჩენი ზუსტად იგრე იყო, როგორც ინდურ კინოებშია ხოლმე.

**რატო, რა დააშავაო?** — იკითხავთ თქვენ და მართლებიც იქნებით.

ამან, ამ **სალომე ძალომ,** რატომღაც ნაავარიებ „ზილს“ რო ჰგავს, სიტყვით გამოსვლის უფლება მიიღო თუ არა, ეგრევე ბიძინა ივანიშვილს მიასკდა — **„ქართულ ოცნებაში“ ვინცა ხართ, ყველანი ოლიგარქს ემსახურებით, მისი მონები ხართ და უნდა გრცხვენოდეთო.**

ამან თქვა, კაცო, ამან — **მამუკა ხაზარაძის** ხელის ქვეითმა — **ბიძინა ივანიშვილი პარტიის საპატიო თავმჯდომარე კი არა, პირწავარდნილი ოლიგარქიაო.**

ისე, ჩვენში დარჩეს და... კი იყო **ტაი-ტუით** გამოსაგდები!

იცით, **ტაი-ტუი** რას ნიშნავს?

ამ სიტყვას ვერც ერთ ლექსიკონში ვერ იპოვით... მარტო ქიზიყში იტყვიან ხოლმე, როცა ადამიანს საიდანმე აგდებენ და თან კიდე ჰკიცხავენ.

**ისე კი, ეს მარტო საკომიტეტო სხდომიდან კი არ უნდა გამოაგდო, არამედ სალორეშიც კი არ უნდა შეაყოფინო ცხვირი!**

# პოლიტმათხოვრობის მოკლე კურსი

ანა დოლიძე / Anna Dolidze
3 დღე ·

ფინანსურს ნაწილში გვჭირდება თქვენი დახმარება
❗ ჩვენ ვართ დღეს ერთადერთი პარტია, რომელიც არ არის მიბმული დიდ დაფინანსებაზე და მთლიანად დამოკიდებულია ხალხის შემოწირულობაზე.
დიდ მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის დამატებითი კითხვებისთვის დამიკავშირდით პირად შეტყობინებაში #ხალხისთვის პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის #ერთად

კაი ცხოვრება მოგინდათ? მაყუთი გჭირდებათ? ამისათვის სულაც არ არის საჭირო, ვენახსა და ბაღ-ბოსტანს ეცეთ! დინჯი ნაბიჯებით მიდიხართ იუსტიციის სახლში, არეგისტრირებთ ე.წ. პოლიტიკურ პარტიას, წერთ დებულებას, შინაარსს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ხშირად იყოს ნახსენები **„დემოკრატია“, „საქართველო“ და „ხალხი“.** თავიდან, ალბათ, ჭუტლექსაანთ უბორნიაში დაინტერესდებიან, მით უფრო, თუ ბიძინა ივანიშვილს ინტენსიურად ლანძღავთ, თუმცა, როგორც კი მიგიხვდებიან, რომ არაფრის გადამხდელი არ ბრძანდებით, უმალ შეგეშვებიან, მაგრამ არც ეგ არი პრობლემა, აგერაა **„ფეისბუკი“ და „ტიკ-ტოკი“,** სადაც აკეთებთ იმას, რასაც აკეთებს, მაგალითად, **ანნა დოლიძე, ოდესღაც კაკაბაძისა:** წერთ ვიდეოს, სადაც დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ თქვენ ხართ ის ერთადერთი პარტია, რომელსაც შეუძლია, დაამარცხოს „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი.



**დიახ, ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად უნდა ახსენოთ, ამ დროს თქვენი პარტიული მიზანი უფრო მეტ სიდიადეს იძენს. თუ ოლიგარქიაზეც ვისაუბრებთ, თლა უკეთესი.**

აუცილებლად უნდა თქვათ, რომ, ფაქტობრივად, უკვე ხართ ხელისუფლებაში, თანაც საკონსტიტუციო უმრავლესობით, დარჩა მხოლოდ დროის ფაქტორი — **სულ რაღაც 8 თვეში დაიწყება ძალაუფლების გადმობარება!** (ამ დროს არ უნდა გაგეცინოთ, თორემ ეგრევე გაიშიფრებით).

☺

დაბოლოს... ფინალი!

**მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ლანძღვით გულს მოიოხებთ, მოსახლეობას უნდა შეაპაროთ, რომ ბიძინა ივანიშვილის დასამარცხებლად აუცილებელია ფული, რომელიც საერთოდ არ გაგაჩნიათ და სულგრძელობით დაელოდებით თუნდაც ორიოდე ლარს.**

ლართან დაკავშირებული კვნესა-მუდარა ძალიან მოკრძალებულად უნდა აღმოგხდეთ. უკეთესი იქნება, ცოტა საწყალი გამომეტყველებაც მიიღოთ და მერე ისიც თქვათ, რომ ფული საქართველოს გადასარჩენად არის საჭირო და ამას დედაისტორია არ დაგივიწყებთ!

☺

დაგვიჯერეთ, ამ დროს აუცილებლად გამოჩნდებიან გულაჩუყებული მამულიშვილები. ემიგრანტები ვიცი — ევროებსა და დოლარებსაც ხშირად რიცხავენ.

მა რაააა, ძალიან ბევრ ემიგრანტს ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ყოველ დილით მათრახით გაწვალებთ და უნდა გამოგიხსნათ. ეგ არი და ეგ... თქვენ კიდე ეგრევე ნუ იქაჩებით ეგრევე ვენახებსა და ბაღბოსტნებში სამუშაოდ, **მიბაძეთ ანას — თან ფულსა შოულობ, თან სამშობლოს ემსახურები!**



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია და ავტომობილის მართვა

*— ავტომობილებს, როგორც ტექნიკურ ანდა გადაადგილებისა და კომუნიკაციის საშუალებას, ძირითადად, რომელი პლანეტები მართავენ? მათგან რომელი განსაზღვრავს მძღოლის რეაქციას თუ სხვა უნარ-ჩვევებს და რა მიუთითებს ადამიანის პირად ჰოროსკოპში მის, როგორც მძღოლის, შესაძლებლობებს? ზოგადად, რა თავისებურებანი ახასიათებს ვერძის ნიშნით დაბადებულ მძღოლებს? რას ახდენენ სწრაფად და ზუსტად? ჯირითზე როდის არ ამბობენ უარს ანდა რომელია მათი დადებითი თვისება და რა იცავს საჭის მართვისას ვერძსა და მის თანმხლებ პირებს სავალალო ავარიებისგან? კუროს ნიშნით დაბადებულს, ზოგადად, როგორც მძღოლს, რა აღიზიანებს, როგორ უმკლავდება საკუთარ სისუსტეებს ანდა რატომ ხდება ბევრისთვის მისაბაძი ობიექტი? მანქანის შეძენამდე რას ცდილობს? რა უყვარს, რა უჭირს ანდა რომელი თვისების წყალობით რისკავს გზებზე მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სიტუაციასა და მანევრის შედეგს შეაფასებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, ავტომობილი, რომელიც ადრე ფუფუნების საგნად მიიჩნეოდა, დღეს ყოველდღიური გადაადგილებისთვის აუცილებელ საშუალებად გადაიქცა და ასტროლოგიამაც ავტოსაშუალებანი, მათი მართვა თუ გადაადგილება საკმაოდ კარგად შეისწავლა. ამასთან დაკავშირებით, დაგვისახელეთ ის უმთავრესი ციური სხეულები ანდა ასტროლოგიური მაჩვენებლები, რომელნიც ადამიანის, როგორც მძღოლის, რაობას განსაზღვრავენ?**

**— ეს მარტივი საკითხი არ გახლავთ, რადგან უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება, სხვადასხვა შემთხვევა, სხვადასხვა მძღოლი და ა.შ. თუმცა, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ორ პლანეტას — ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველ მარსსა და გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველ მერკურს.** თავად ავტომობილს, როგორც ტექნიკურ საშუალებას, პლანეტა **მარსი** მართავს, ხოლო, როგორც გადაადგილების და საკომუნიკაციო საშუალებას, პლანეტა **მერკური** განაგებს. გარდა ამისა, პლანეტა **მერკური** განსაზღვრავს მძღოლის სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის უნარს, **მარსი** კი — მის გამბედაობას, მიზანსწრაფულობას. ამიტომაც ამ ორი პლანეტის განლაგება ადამიანის პირად ჰოროსკოპში დიდწილად მიგვანიშნებს იმის შესახებ, თუ ეს პიროვნება როგორი იქნება მძღოლის ამპლუაში, ანუ გვიჩვენებს, რა თვისებებით არის დაჯილდოებული, რას უნდა უფრთხილდეს და რომელი თვისება უნდა გაიძლიეროს. ანდა სულაც შეძლებს კი ავტომობილის მართვას, თუ მისთვის მძღოლობა რეკომენდებული არ არის. მაგრამ დაბეჯითებით ამის თქმა, მოგეხსენებათ, შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის პირადი ნათალური რუკის განხილვისას. ზოგადად კი, ესა თუ ის ადამიანი, როგორც მძღოლი, დავახასიათოთ ზედაპირულად მისი ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით. ტრადიციულად, დავიწყოთ პირველი ნიშნით.

**1. ვერძის ნიშნით დაბადებულს გზებზე ყოველთვის ამოიცნობთ საჭის მართვის თავისებურებით. იგი მუდამ სწრაფად და ზუსტად იწყებს მანევრს და ასევე სწრაფად და ზუსტად ასრულებს მას, რათა ახალი მანევრისთვის მოემზადოს. ვერძი,** არც ჯირითობაზე იტყვის უარს, თუკი გადატვირთული გზა ან გზებზე საცობები ამის საშუალებას მისცემს. ნელა სიარული კი მისთვის მომაბეზრებელი და დამღლელია, ამიტომ ამგვარ სიტუაციაში, შეიძლება პროვოცირებაც დაიწყოს, რათა როგორმე სამშვიდობოს გააღწიოს. ჩვეულებრივ, **ვერძისთვის** მნიშვნელოვანია უსაფრთხოება და გზებზე კომფორტული გარემო. თუ დაინახავს მძღოლს, რომელსაც რაიმე უჭირს, აუცილებლად დაეხმარება. უფრო მეტიც, შეიძლება ტარებისას დაშვებული შეცდომაც აპატიოს, ოღონდ ეს შეცდომა უნებლიე უნდა იყოს და არა მიზანმიმართული. მითუფრო, რომ **ვერძი** წვრილმან კონფლიქტს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ხოლო მსხვილ კონფლიქტს წარმატებით ართმევს თავს. ზოდიაქოს ამ ნიშნის წარმომადგენელთა ერთ-ერთი დადებითი თვისება არის ძლიერი ნებისყოფა. **ვერძი** საკმაოდ მტკიცე პრინციპებით გამოირჩევა, რაც საჭის მართვისას პერიოდულად სიჯიუტეში ვლინდება. მას ძალიან უყვარს სისწრაფე, რომლისგანაც სიამოვნებას იღებს და თავს სუპერ მძღოლად გრძნობს. თუმცა, ამის უფლებას საკუთარ თავს მხოლოდ თავისუფალ გზებზე მისცემს, იქ, სადაც საგზაო შემთხვევების ალბათობა მინიმალურია. ნიშანდობლივია ისიც, რომ **ვერძის** კონსტრუქციული ხედვა და სწრაფად აზროვნების უნარი ყველაზე რთულ სიტუაციაშიც დაიცავს მას და მის გარშემო მყოფებს სავალალო ავარიებისგან და საბედისწერო შემთხვევისგან.

**2. კუროს, როგორც მძღოლს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ნიშნის წარმომადგენელს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. უარყოფითიდან შეიძლება გამოვყოთ მოუთმენლობა და მუდმივი უკმაყოფილების გამოხატვა.** ეს ეხება როგორც გზებს, ისე გვერდით მყოფ ავტომობილებს თუ ქვეითებს. **კუროს** ყველაფერი აღიზიანებს, მაგრამ იცის რა საკუთარი სისუსტე, ცდილობს, თავი მაქსიმალურად გააკონტროლოს და პროფესიულად მართოს საჭე. **ნიშანდობლივია, რომ მას რთულ და შეზღუდულ პირობებშიც ძალუძს, მოხდენილად, სწრაფი მანევრით გაუმკლავდეს რთულ სიტუაციას და ბევრისთვის სამაგალითო მიბაძვის ობიექტი გახდეს. კურო** საკუთარი ავტომობილის შეძენამდე ცდილობს კარგად დაეუფლოს საჭის მართვას, აითვისოს აუცილებელი უნარები, მოისმინოს გამოცდილ მძღოლთა რჩევები. **კუროს ნიშნით დაბადებული, ჯანსაღი კონსერვატიულობის წყალობით, გზებზე გარისკავს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სიტუაციას და შესაძლო მანევრის შედეგს შეაფასებს.** მას არ უყვარს, როცა ვინმე „კუდზე აჯდება", თავად კი ხელის მუხრუჭის გამოყენებით ან მოცურების ინერციის მეოხებით მოძრაობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **კურო** თავის ავტომობილს კარგად უვლის და ისე ეჩვევა, რომ შეცვლა უჭირს, ამიტომ ახალი მანქანის შეძენის შემდეგაც დიდხანს ძველს ვერ ელევა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 12 – 18 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**კარგი პერიოდია ახალი სამსახურის, პროექტის ან საქმიანობის დასაწყებად. ინტენსიური ურთიერთობები გაგიხალისებთ ყოფას და გაგიადვილებთ საჭირო ინფორმაციის მიღებას. ფინანსური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ, რაშიც ნათესავები, მეგობრები ან კოლეგები დაგეხმარებიან. ფიზიკური ამტანობაც მოიმატებს. სასიყვარულო ურთიერთობისას, გაუგებრობის შემთხვევაში, ეცადეთ, ყველა დეტალი მშვიდად გაარკვიოთ. მოგზაურობა კი ჯობს, დროულად დაასრულოთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ახალი შემოთავაზებანი მომხიბვლელი აღმოჩნდება და შესაძლოა, ცვლილებებზე დაგაფიქროთ. ფულს გაუფრთხილდით და უყაირათოდ ნუ დახარჯავთ. სასიყვარულო კავშირი ტრანსფორმირებას საჭიროებს, რათა ერთფეროვანი და მომაბეზრებელი არ გახდეს. მოგზაურობა და გადაადგილებები დადებითად აისახება თქვენს განწყობაზე. მდგრადი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად კი აუცილებელი იქნება დროდადრო დასვენება და სრულფასოვანი ძილი.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**თავს სანაქებოდ იგრძნობთ, რაც მშვიდად მუშაობისა და ცხოვრების საშუალებას მოგცემთ. რთულ საკითხთა გადასაწყვეტად ეცადეთ, წინასწარ სწორი სიტყვები მოიძიოთ, რათა ურთიერთგაგების მოპოვება შეძლოთ. საქმეში მცირეოდენი გარისკვა გამართლებული იქნება, მაგრამ, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს დამატებითი ცოდნის მიღება. კარგი პერიოდია ახლო მანძილზე გამგზავრებისა და ოჯახთან ან შეყვარებულთან ერთად ბუნების წიაღში დასვენება-მოდუნებისთვის.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**დროებით მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებასა და ახალი საქმის დაწყებას. სამომავლო გეგმის დაზუსტება მიზნის მიღწევას გაგიადვილებთ. კარგი პერიოდია ახალი საქმის ანდა საკითხის შესასწავლად. თუ არ იჩქარებთ და არ გარისკავთ, ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. მეგობართან არსებული გაუგებრობა დანარჩენი მეგობრების დახმარებით გაანეიტრალეთ. მოგზაურობისას კი სიდინჯე და დაკვირვება გმართებთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**თავს ენერგიულად იგრძნობთ და შესაძლოა, ახალ საქმიან ურთიერთობასაც ჩაუყაროთ საფუძველი. ამ დროს გაცნობილი ადამიანები კარგი მეგობრები გახდებიან. ჯანმრთელობისა და განწყობის გაუმჯობესება ახალი გეგმების განხორციელებაშიც ხელს შეგიწყობთ. პირად სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობებში გადაწყვეტილებები დროულად მიიღეთ და მოქმედება დაიწყეთ. მოგზაურობაც წარმატებული იქნება, თუ ყურადღებას არ მოადუნებთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**საქმის წარმატებულად წარმართვაში ახლობლები დაგეხმარებიან, თუმცა, ამისთვის აუცილებელია მათთან უპრეტენზიო ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ სხვების იმედად ნუ იქნებით, უცნობებსა და ახალგაცნობილებსაც ნუ ენდობით. ილუზიებს მოერიდეთ და პრაქტიკულად მიუდექით საქმიან თუ პირად მოვალეობას. მგზავრობისას წესები დაიცავით და ყურადღება გამოიჩინეთ. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ერიდეთ ძალისმიერ ვარჯიშსა და სპორტის ექსტრემალურ სახეობებს.**

## 12 – 18 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**კარგი პერიოდია საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობისთვის და ბევრ ადამიანთან ურთიერთობისთვის. თუმცა, ჯობს, მოგზაურობების რაოდენობა შეამციროთ. საქმიანობისას ერთდროულად რამდენიმე სფეროსთან შეხება მოგიწევთ, რაც თქვენს ავტორიტეტს უფრო აამაღლებს. ეცადეთ, საქმიან პარტნიორებს თქვენი შეხედულებების მართებულობა კამათის გარეშე დაუმტკიცოთ. პირად ცხოვრებაში კი შესაძლოა, სასიყვარულო პარტნიორზე გახდეთ დამოკიდებული.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**შემოქმედებითი პოტენციალი მოიმატებს. ნუ გაიკვირვებთ, თუ ამ პერიოდში რაიმე საიდუმლოს ამოხსნით ანდა ჩახლართულ სიტუაციას გაამარტივებთ. მეტად რომანტიკული იქნებით, რაც ახალი სასიყვარულო პარტნიორის გაცნობასა და ურთიერთობის დაწყების ალბათობას გაზრდის. მოგზაურობისას არაერთ საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას დააგროვებთ, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კი მიზანშეწონილი იქნება ფიზიკური ვარჯიში და ბუნების წიაღში სეირნობა.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**კარგი პერიოდია ახალი სამსახურის დასაწყებად ან თანამდებობის მისაღებად. შესაძლოა, ფინანსური ან სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. გაზრდილი შრომისუნარიანობა და ამტანობა კი დაგეხმარებათ შემოქმედებაში. ქორწინებაში მყოფებს თავის შეკავება მართებთ საწინააღმდეგო სქესის ადამიანებთან ურთიერთობისას. მოერიდეთ ხშირ გადაადგილებებსა და დიდ ფიზიკურ დატვირთვას, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ იქნება, თუმცა, ახლო ნათესავები და ოჯახის ახლობლები დაგეხმარებიან. ნაჩქარევი გადაწყვეტილებისგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციაც შეამოწმეთ. მეტად მომხიბლავი იქნებით და ამიტომ ნებისმიერი რომანტიკული ურთიერთობა შესაძლოა, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს. მგზავრობისას ან დასვენებისას შესაძლოა, ახალ სიყვარულს ჩაეყაროს საფუძველი.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**თანამოაზრეთა მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, აქტიურად იმოქმედეთ. შრომა და შემართება სათანადოდ დაგიფასდებათ, რაც ავტორიტეტსაც აგიმაღლებთ. არ არის გამორიცხული სიურპრიზები, სასიამოვნო გარდაქმნები ანდა სოციალური სტატუსის ამაღლება. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგია გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ცნობისმოყვარეობითა და პრაქტიკულობით ბევრ საქმეს თავს გაართმევთ. ჩანაფიქრის განხორციელებისთვის კი მცირეოდენი გარისკვაა საჭირო. ოჯახურ და პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი მოთმინება გამოიჩინეთ და ნუ გაიბუტებით. ასევე ნუ გადაიღლებით და მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს მოერიდეთ, რათა ჯანმრთელობა არ გაიუარესოთ. მოგზაურობა და უცხოელებთან კავშირი კი დადებით შედეგს მოიტანს.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 13,16 და 17 თებერვალი

**10 თებერვალი – ახალმთვარეობა, პიკი – 03.01 საათზე.**
**24 თებერვალი – სავსემთვარეობა, პიკი – 16.31 საათზე.**

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. სარკომა; 7. სადმე; 10. ბეღელი; 11. სკოტი; 12. ნიკულინი; 14. ნარდი; 15. მარაბუ; 16. ნაირა; 17. სარდინია; 18. გრაფა; 19. დიროლი; 22. პლატო; 23. გიგანტი; 26. გლოვო; 27. სამყარო; 28. ნიკა; 30. რესივერი; 32. შავი; 34. ნარკოზი; 35. იუმორი; 38. ლიოტა; 39. ანისი; 40. ლაზიკა; 43. ეოლითი; 44. აისი; 46. სოფია; 49. ბოროდინი; 50. კივერი; 53. დარდი; 54. ლატი; 55. კერამიკა; 59. თორნიკე; 60. კატა; 61. იგლუ; 63. დისკობოლი; 66. რონინი; 67. ამალა; 68. პაბი.

შვეულად: 1. დეკანი; 2. ლეკალო; 3. სინუსი; 4. რაკურსი; 5. მეი; 6. ბოლივარი; 7. სინაგოგა; 8. დარბაზობა; 9. ეპილატორი; 11, სინაპი; 13. ლაიკა; 19. დასენი; 20. რემარკა; 21. ლიანოსი; 23. გორილა; 24. გასკონი; 25. ნივეა; 28. ნიუ; 29. კიო; 31. რიბოკი; 32. შინ; 33. ვესტი; 36. მძიმე; 37. რაისი; 40. ლეონე; 41. ზეობა; 42. კვიცი; 44. აიდა; 45. სირმა; 47. ფხა; 48. აზიმუტი; 50. კითარა; 51. ვერანი; 52. რაიონი; 54. ლეი; 55. კოდა; 56. რუსო; 57. მაო; 58. კვო; 60. კიმ; 62. გოა; 64. ბუ; 65. ლა.

გულივერიკოტონიკიმონოკლიმატიანემიამოტორალი
კატალოგიკასტაკატონეპილიკანიბალიშიფერიალია



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 12 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.01 საათზე, ჩადის 17.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.35) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 08.33 საათზე, ჩადის 20.43 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 10.17 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.33 საათიდან 17.27 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს თქვენი მიზნები და სურვილები დააზუსტეთ. სრული კონცენტრირება გმართებთ, რათა გაარკვიოთ, სად არის სიკეთე და სად — ბოროტება. მოერიდეთ ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ახალი და დიდი საქმის დაწყებას. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, კონტრაქტის დასადებად, კაპიტალდაბანდებისთვის, ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი საიდუმლო საქმიანობა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, სისხის გაცემა ან აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ტერფები, ნერვული სისტემა, თავი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო. **საღამოს** — ლალი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 13 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.00 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 08.51 საათზე, ჩადის 22.00 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 10.24 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ყურადღება ძირითად საკითხზე გაამახვილეთ. ნუ გადაიღლებით და ნუ იჩქარებთ დაწყებული რაიმეს დასრულებას. დღეიდან ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში (23 მარტამდე), რაც გააძლიერებს რეფორმატორულ, ორიგინალურ სულისკვეთებას, მოქმედებისას თავისუფლებას, სპონტანურ იმპროვიზაციას, ტექნიკურ შესაძლებლობებს, პროგრამული სისტემების ათვისების უნარს და ასევე სულსწრაფობასა და სიჯიუტესაც. დღეს თვალებს ნუ გადაღლით, ემოციები აკონტროლეთ. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, დადგენილი წესების დარღვევა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ხელმძღვანელობასთან კონტაქტისთვის, თირკმლებისა და შარდსასქესო სისტემის სამკურნალოდ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 14 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.59 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.13) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 09.21 საათზე, ჩადის 23.15 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 10.31 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.22 საათიდან 19.03 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ პლანეტების — **მარსისა** და **პლუტონის** შეერთება მერწყულის ზოდიაქოში განაპირობებს ეკოლოგიურ და ტექნოგენურ კატასტროფას, ფეთქებად სიტუაციებსა და აგრესიულობას. დღეს ეცადეთ, აქტიურად, თუმცა, არააგრესიულად იმოქმედოთ, მოერიდეთ კამათს. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, თვალების დაღლა, ალკოჰოლის მიღება, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ხელშეკრულების დადება. კარგი დღეა მოწინავე იდეისა და ბიზნესპროექტის წარმოსაჩენად, ტექნიკის გასარემონტებლად, მგზავრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი. **საღამოს** — აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 15 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.57 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 09.47 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 10.41 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** აქტიური კონტაქტები და საკუთარი აზრის გამოთქმა ხელს შეუწყობს კარგ შედეგს. მოერიდეთ ჭორაობას, შეუსრულებელი დაპირების გაცემას, ზედმეტ კრიტიკულობას. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ქმედებები, ცივი და გაზიანი სასმლის მიღება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების შესაძენად, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 16 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 17.35 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.53) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 10.16 საათზე, ჩადის 17 თებერვალს 00.30 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 10.53 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 19.02 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.02 საათიდან 23.41 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში (12 მარტამდე), რაც ურთიერთობებისას გაამახვილებს თავისუფლებას, ორიგინალურ თვითგამოხატვას, ცნობისმოყვარეობას, სიახლეებს, ინტერნეტით გაცნობის შესაძლებლობებს და ასევე სიზარმაცეს, სიჯიუტეს და სულსწრაფობასაც. დღეს შესაძლებელია ძველი გეგმისა და მოვალეობისაგან გათავისუფლება. კარგი დღეა ავეჯის გადაადგილების ან შეძენისთვის, სამზარეულოს განახლებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. ვაჭრობისთვის, ფინანსური ოპერაციებისთვის, მგზავრობისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, სიჯიუტის გამოვლენა, გაბრაზება და ყვირილი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 17 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.55 საათზე, ჩადის 17.36 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 10.52 საათზე, ჩადის 18 თებერვალს 01.44 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 11.13 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ინტუიციას დაეყრდენით! მოთმინება გამოავლინეთ. მაღალია ცდუნებების, ჭორების, ქურდობის, ილუზიების ალბათობა. სასიკეთოა მიტევება. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა, ქორწინება, ახალი საქმის დაწყება. კარგი დღეა საკომუნიკაციო აპარატურის (ტელევიზორის, ტელეფონის, კომპიუტერის) შესაძენად, მოლაპარაკებებისთვის, კონტაქტებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ინფორმაციის მიღება-გადაცემისთვის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, სერდოლიკი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 18 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 17.37 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 11.35 საათზე, ჩადის 19 თებერვალს 02.53 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.43 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** ინტუიციას დაეყრდენით! ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ. მოერიდეთ უჰაერო სივრცეებს, სიმძიმეების აწევას, ზედმეტ ლაპარაკს და საიდუმლოს გამხელას. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება, თმის შეჭრა-შეღებვა, ზედმეტი ინფორმაციის მიღება. კარგი დღეა მიმოწერისთვის, მგზავრობისთვის, მშენებლობისთვის, სწავლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, საფირონი, ქარვა, ლაზურიტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

---

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბაღდათის, ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტებში სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა გამო და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.**

---



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია უდიდეს მწუხარებას და გულისტკივილს გამოხატავს** სახელოვანი მსახიობის, რეჟისორისა და სპორტსმენის, ქართველი ერის თვალსაჩინო შვილის

## სოსო ჯაჭვლიანის

გარდაცვალების გამო და **უსამძიმრებს** მის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

---

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს** ღირსეული მოქალაქისა და მეგობრის, გამორჩეული მუსიკოსისა და კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

## ვაჟა აზარაშვილის



გარდაცვალების გამო და **უსამძიმრებს** მის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

---



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს** ტელეკომპანია „იმედის“ ოპერატორის

## მიშო ბიძინაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და **უსამძიმრებს** მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

---


# ხალხური მაგიური მედიცინა

***ფირმა „იადიგარ დაუდი“ (დავით ბაგრატიონი, მეფე, ექიმი, მეცნიერი, მკვლევარი — ის აღიარებდა საერო, სატაძრო, სახალხო და მაგიურ მედიცინას მე-15 საუკუნეში). ფირმის დამფუძნებელი და დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი მრავალწლიანი გამოცდილებით, განკურნების სრული გარანტიით გთავაზობთ მკურნალობას სახალხო და მაგიური მედიცინის მეთოდებით ( მაგია ხომ ნიშნავს სასწაულს):***

**1.** ფუტკრის პროდუქტებით დიეტის გარეშე. **კუჭ-ნაწლავის წყლულებს და ეროზიებს** (სისხლმდენი, გიგანტური პილორუსის შევიწროება), **შებერილობას, ფაღარათს, ბუასილს, ქოლეცისტიტს, ჰაიმორიტს, პირიდან სუნს, კლიმაქს, ბრონქიტს, პირის ღრუს, კანის და ფრჩხილების სოკოს. ბავშვებში სასქესო ორგანოს განუვითარებლობას, წვრილ ჭიას, ენურეზს, წითელ ქარს, ქუსლის დეზს** (მარილების წანაზარდი), **პიელონეფრიტს და სხვა დაავადებებს.**

მამაკაცებში — **სქესობრივ სისუსტეს, სპერმის ნაადრევ და უნებლიე გამოყოფას, პენისის ანთებას, კონტაქტის შიშს, პროსტატიტს.**

**2.** მაგიური მედიცინით (ფოტოსურათით) — **აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, დეპრესიას, ეჭვიანობას, პესიმიზმს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, შებოჭილობას, უშვილობას** (შავი ძალებით გამოწვეული) და სხვა პრობლემებს.

**გაგაცნობთ პაციენტების ბარათებს:** 1. მეუღლეს, 40 წლის მამაკაცს ჰქონდა **თორმეტგოჯა ნაწლავზე გიგანტური წყლული, პილორუსის შევიწროებით.** იწვა საავადმყოფოში საოპერაციოდ, მოსალოდნელი იყო სირთულეები. იქვე უცნობმა ადამიანმა გვირჩია მიგვემართა **ქალბატონი ნანასთვის.** მოხდა სასწაული, საოპერაციო მაგიდიდან ჩამოიყვანეს პაციენტი. სრულად გამოჯანმრთელდა. მადლობა მსუბუქი გამონათქვამია, რაც ჩვენ ვერ შევძელით, ღმერთმა გადაგიხადოთ.

2. ვარ მოქმედი ოჯახის ექიმი (ქალბატონი), საკმაოდ გამოცდილი, **ჩავიკეტე ჩემს თავში, ვეღარ ვმუშაობდი, აღარც სიცოცხლე მაინტერესებდა.** წამლები ვერაფერს მშველიდა. შვილიც ექიმი მყავს და წამიყვანა **ქალბატონ ნანასთან.** მან მიზეზი დამიდგინა — ნეგატიური ზემოქმედება. სრულად გამომაჯანმრთელა უწამლოდ. ფოტოსურათი დაიტოვა და პატარა დავალება მომცა. ასეთი რამის ნამდვილად არ მჯეროდა, მაგრამ ფაქტის წინაშე დავდექი. სამი დღის შემდეგ უკეთესობა ვიგრძენი, ახლა უკვე სამსახურშიც გავედი. მადლობა ქალბატონ ნანას.

3. 40 წლის მამაკაცი გახლავართ, **ასოს ანთება** დამემართა. ვიარე ექიმებში — შედეგი ნული. მივმართე **ქალბატონ ნანას,** დამისვა დიაგნოზი — ინფექციური დაავადება. მომცა დასალევი წამალი, ვანების სითხე, მალამო და ამოვისუნთქე. ვერ აღვწერ, რა მძიმედ ვიყავი.

4. 46 წლის კაცი ვარ, შემაწუხა **ნაღვლის ბუშტმა** (ყელი მქონდა მოკეცილი), **პირიდან საშინელი სუნი, შებერილობა, ფაღარათი და მთელი კუჭ-ნაწლავი მოშლილი.** მოვხვდი **ქალბატონ ნანასთან** და ორი თვის წინ დავამთავრე მკურნალობა. სიტყვები არ მყოფნის მადლობის გამოსახატად, ისე კარგად ვარ.

**თბილისი, წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად., მე-2 სართ., ოფისი 777. ტელეფონი: 599 49 84 23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით ნებისმიერ დღეს.**

| ჯ. სვიფტის პერსონაჟი | თხელი ჩითი | იაპონური სამოსი | ჰავა | სისხლ-ნაკლებობა | შეჯიბრი მოტოციკლებით |
|---|---|---|---|---|---|

| ღრუკ-უნთოვანი ორგანო | ... ანჯაფარიძე | მცირე ალკოჰოლიანი სასმელი | ერთგვარი სათვალე | ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი | იაპონელი მწერალი | შეჯიბრება ავტომობილებით |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 3. ავთვისებიანი სიმსივნე; 7. რომელიმე ადგილას, ანუ; 10. პურეულის შესანახი ნაგებობა; 11. ამერიკელი რეჟისორი; 12. რუსი კომიკოსი მსახიობი; 14. თამაში კამათლებით; 15. ყარყატების ოჯახის დიდი ფრინველი; 16. მწერალი ... გელაშვილი; 17. იტალიის კუნძული; 18. სვეტი ცხრილში; 19. ერთგვარი სალეჭი რეზინი; 22. ზეგანი; 23. ძალიან დიდი, უზარმაზარი; 26. შეკვეთით სახლში მიტანის სერვისი; 27. დედამიწის და სხვა ციური სხეულების ერთიანი სისტემა; 28. რუსული კინოჯილდო; 30. კომპრესორული დანადგარი; 32. სტენდალი — „წითელი და ...“; 34. წინასაოპერაციო ძილი; 35. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; 38. ამერიკელი მსახიობი; 39. ქალაქი თურქეთში; 40. ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში; 43. ქვის ხანის უძველესი პერიოდის მოძველებული სახელწოდება; 44. განთიადი; 46. ბულგარეთის დედაქალაქი; 49. რუსი კომპოზიტორი; 50. ძველებური მაღალი სამხედრო ქუდი; 53. ვაება, წუხილი; 54. ლატვიის ვალუტა; 55. თიხის ნაკეთობანი; 59. ა. წერეთელი „... ერისთავი“; 60. შინაური ცხოველი; 61. ესკიმოსების ქოხი; 63. ბადროს მტყორცნელი; 66. პატრონდაკარგული სამურაი; 67. მეფის მხლებლები; 68. ინგლისური ლუდხანა.

შვეულად: 1. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 2. ფიგურული სახაზავი; 3. კუთხის ერთ-ერთი ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. ხედვის კუთხე; 5. ინგლისელი მევიოლინე ქალი; 6. ვენესუელის ფულის ერთეული; 7. ებრაელთა ტაძარი; 8. რაუტი; 9. საეპილაციო საგანი; 11. ვაშლის ჯიში; 13. ერთგვარი რბილი ტყავი; 19. მომღერალი ჯო ...; 20. შენიშვნა, მინაწერი; 21. სავანის ტიპი მდინარე ორინოკის ვაკეზე; 23. მაიმუნის სახეობა; 24. საფრანგეთის პროვინცია; 25. გერმანული კოსმეტიკური ნაწარმის ფირმა; 28. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 29. რუსი ილუზიონისტი; 31. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 32. თავის სახლში, ანუ; 33. დასავლეთი; 36. დიდი წონის; 37. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი; 40. იტალიელი რეჟისორი; 41. ვისიმე მეფობის ხანა; 42. ცხენის ნაშიერი; 44. ვერდის ოპერა; 45. ოქრომკედი; 47. თევზის ძვალი; 48. სვლის პირდაპირი მიმართულება დედამიწის ზედაპირზე; 50. ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი; 51. ოხერი, ტიალი; 52. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული; 54. ფრანგი კომპოზიტორი; 55. სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 56. ფრანგი ფილოსოფოსი; 57. ჩინელი ბელადი ... ძედუნი; 58. საერთაშორისო სამართალში — სტატუს ...; 60. მსახიობი ... ბესინჯერი; 62. ინდოეთის შტატი; 64. რა? სად? როდის? — თამაშის პრიზი ბროლის ...; 65. მე-6 ნოტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 30-ე გვერდზე*

| გარკვეული წესით შედგენილი რისამე სია | მოდელი ლეტიცია | რომაელი პოლიტმოღვაწე | ვარხვი | ლოგინის ნაწილი | ზღაპრული არსება | საფლობი ტალახი |
|---|---|---|---|---|---|---|

| შინაური ცხოველი | მეცნიერება აზროვნების შესახებ | წყვეტილად, მოწყვეტით | მილების გადასაბმელი მილაკი | კაციჭამია, ველური | მოდელი კლაუდია ... | ქართული გაზეთი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

😊 სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

❓ ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⤵ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

💼 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ორშ. | 👍 | ⚥ | 📖 | 👫 | 👎 | 🤝 | 💣 | 👫 | 👎 | 💼 | 💼 | 😐 |
| 13 სამშ. | 🎁 | 💣 | 🎁 | 🌴 | 💣 | ☝ | ❗ | 🎁 | 🎁 | 🔔 | 🎁 | ☝ |
| 14 ოთხშ. | 💣 | ❗ | 🔔 | 💼 | 😐 | 👫 | 💼 | ☯ | 👍 | ❓ | ✈ | 👫 |
| 15 ხუთშ. | 👍 | 🔔 | ❗ | 🤝 | 👍 | 🤝 | 🔔 | 😐 | 🎁 | 💣 | ☝ | 🌴 |
| 16 პარ. | 🤝 | ✈ | ⚥ | ☝ | 🍷 | 🎁 | ☝ | 💣 | ❓ | ☯ | 👍 | ❗ |
| 17 შაბათი | 📖 | 💣 | 🎉 | ⤵ | 👍 | 🔔 | ☯ | 🌴 | 📖 | 🌴 | 🎉 | 😊 |
| 18 კვირა | ⤵ | 😐 | 🔔 | 😐 | ❗ | ⚥ | 🤝 | 😊 | 🎁 | ⚥ | 🎁 | 📖 |

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა. 🎉

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე. 📖

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით. 👍

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე. 💣

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას. ✈

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ. 🤝

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას. 🃏

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას. ☯

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება. 🍷

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას. ❗

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი. 🌴

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 12 – 18 თებერვალი №8 (1526)
გამოდის ორშაბათობით

მეწილეობრივი ამხანაგობა "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com

გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.

2009882637296

